# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 მაისი 1999 №86 (859) ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასიანი ქუთაისელი



დავით ჯანაშიას აზრით, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი თავად დავით ჯანაშიაა

## როგორ არ სჯეროდათ პარმასი




რისთვის გააძევა კორადომ ონოპკო?

## ჯომოლუნგმას ორთავ მხარეს ქართველებმა უკრაინელებს უჭირისუფლეს

დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე (8848 მ) ამსვლელთათვის მაისის პირველი ნახევარი გადამწყვეტი იერიშების დროა. ამ დროს პრაქტიკულად დასრულებულია ყველა საიერიშო ბანაკის მოწყობა და მარშრუტის დამუშავება. ამდენად, ჩვენი ყურადღებაც ერთიორად იზრდება საქართველოს მთამსვლელთა ორივე ექსპედიციის მიმართ.

გუშინ ჩრდილოეთის ფერდობიდან მოიერიშე საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიციის მეთაურმა გია თორთლაძემ გვაცნობა, რომ მწვერვალზე უკვე ასულან უკრაინელები, ჩვენები კი მათ კვალდაკვალ მიყვებოდნენ. სამწუხაროდ, ერთ-ერთი უკრაინელი დალუპულა, სხვებს კი ხელ-ფეხი ისე ძლიერად მოჰყინვიათ, რომ სხვათა დაუხმარებლად შესაძლოა ჯგუფის სხვა წევრებიც დალუპულიყვნენ. უკრაინელებთან ყველაზე ახლოს ჩვენი ექსპედიციის წევრები აღმოჩნდნენ და, ცხადია, დახმარება აღმოუჩინეს. ისინი სამშვიდობოს ჩამოიყვან-ჩამოაცილეს, დალუპულმა კი, როგორც სხვა მრავალმა მთამსვლელმა, ცასთან ახლოს ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

ახლა ჩვენი მთამსვლელები 6500 მეტრზე მდებარე პირველ ბანაკში ელიან გამოდარებას. ადგილობრივი მეტეოსამსახურის ცნობით, ჯომოლუნგმაზე საიერიშოდ ხელსაყრელი ამინდი ოთხ-ხუთ დღეში დადგება და ჩვენი მთამსვლელებიც მაშინ გაუდგებიან გზას მწვერვალისკენ.

სამხრეთიდან მოიერიშე ჩვენს მთამსვლელებს, რომლებსაც ბენო ქაშაკაშვილი მეთაურობს, ბოლო ინფორმაციის მიხედვით, ბოლო საიერიშო ბანაკი 8300 მეტრზე უნდა დაედგათ, რაც განუხორციელებიათ კიდეც, საბაზოშიც დაბრუნებულან, რამდენიმე დღით შეუსვენიათ და ორიოდე დღის წინათ კვლავ ზემოთ გადგომიან გზას გადამწყვეტი იერიშისთვის.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# ახალი ქართველები ევროპულ ელიტას ყრმობიდან ეჩვევიან

## კოპალეიშვილმა ქართველი ბიჭები რჩეულ ევროპელებში გარია

UEFA UNDER-18 Championship

*გუშინ საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა ჩეხეთისას 2:1 მოუგო და ივლისში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. შვედეთში მასპინძელთა გარდა ბერძნები, იტალიელები, ესპანელები და ირლანდიელებიც იქნებიან. ორი ფინალისტიც დღეს, საფრანგეთ — ხორვატიის (პირველი მატჩი 4:0) და ბოსნია — პორტუგალიის (1:2) მატჩებში გაირკვევა. ევროპის 8 რჩეულ ნაკრებს უეფა 27 მაისს კენჭისყრით ორ ჯგუფად დაალაგებს, გამარჯვებულები ოქრო-ვერცხლისთვის ითამაშებენ, მეორენი კი ბრინჯაოსთვის.*

იუზა კაციტაძის და ბადრი კეთილაძის (ფოტო) რეპორტაჟი ბათუმიდან იხილეთ მეორე გვერდზე



ბადრი კეთილაძე ბათუმიდან

გუშინ ბათუმში: საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრები ჩეხთა 2:1 ძლევით ევროპის ჩემპიონატის ფინალის მონაწილეა

# პარმა? მარსელი? პასუხს მოსკოვი გასცემს

UEFA CUP

*დღეს მოსკოვის ხუთვარსკვლავიანი, მაგრამ უვარგისმოედნიანი სტადიონი „ლუჟნიკი“ ისტორიაში პირველად მასპინძლობს დიდ ევროფინალს — იტალიური „პარმა“ ფრანგული „მარსელის“ წინააღმდეგ. თასთაგან ყველაზე ახალგაზრდა და იმავდროულად ყველაზე ხანდაზმული უეფას თასი თავის მორიგ მფლობელს ელის.*

იხილეთ მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე გვერდები



REUTERS მოსკოვიდან



დიდი მატჩის წინ ასე ამზადებდნენ „ლუჟნიკის“ სტადიონს

# თქვენ გაიხარეთ, ბიჭებო!!!

ბათუმი. „დინამო". 11 მაისი. 17 საათი. 5 000 მაყურებელი

## საქართველო 2:1 ჩეხეთი

18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი

საპასუხო მატჩი. პირველი მატჩი 2:2

1:0 დილმელაშვილი (18), 1:1 ურბანეკი (28), 2:1 გაგუა (78)
**საქართველო:** ბათიაშვილი, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, საჯაია, დევიძე (ჯ. მუჯირი 85), მენთეშაშვილი, დილმელაშვილი, გველესიანი, ნოზაძე (გაგუა 77), ჯაკობია, მიქაძე (იმედაძე 46)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; კორღალიძე, აბრამიძე, რომანაძე
**ჩეხეთი:** ტიხაჩეკი, გრიგერა, დრობნი, სილმბროდი, კოუნოვსკი, პოლაკი (სვიტაკი 77), მიულერი (კობილიკი 65), როსიცკი, ბაროში, ურბანეკი, შპილაჩეკი (მატუშეკი 71)
*სათადარიგონი:* ჩუდოვსკი; პიტაკი
**გაფრთხილება:** ბაროში (18), გრიგერა (38), მიულერი (41), ხიზანეიშვილი (43), მენთეშაშვილი (66), ურბანეკი (78), დილმელაშვილი (87)
**გაძევება:** ბაროში (81)
**მსაჯები:** კარმენ ალექსეევი; კრასიმირ ნიკოლოვი, კრასიმირ მერეზოვი (სამივე ბულგარეთი); იოსებ კახიანი (საქართველო)
**უეფას დელეგატი:** მეჰმედ სპახო (ბოსნია)

**იუზა კაციტაძე ბათუმიდან**

სამი კვირის წინ ჩეხურ ოპავაში ნათამაშევმა 2:2-მა ქართველ 18-წლამდელებს ივლისის ბოლოს შვედეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი დაუტოვა, რადგანაც საპასუხო შეხვედრისათვის ჩვენები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. გუშინ ბათუმის „დინამოს" სტადიონზე „კოპალას ბიჭებს" 0:0-ის ან 1:1-ის „გაგორებაც" აძლევდათ ხელს. ქართველთა მეტოქე ჩეხებს კი მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ეფიქრათ, თუმც სტუმრებს რამდენიმე ნაკლებადსავარაუდო ვარიანტიც უტოვებდა საბოლოო წარმატების იმედს. ვთქვათ, 3:3 ან უფრო უხვგოლიანი ფრე და 2:2-იც, რომლის შემთხვევაშიც თამაშს დამატებითი დრო და, შესაძლოა, 11-მეტრიანების სერია მოჰყოლოდა. აი ასეთი სიტუაცია იყო საპასუხო მატჩის წინ და... მიუხედავად გუნდების წინაშე მდგარი განსხვავებული სირთულის ამოცანებისა, ბევრი მაინც იკავებდა თავს პროგნოზისაგან და, მათ შორის, ჩვენი ნაკრების თავკაცი ვახტანგ კოპალეიშვილი. აი, მოვრჩებით თამაშს და ყველაფერს გეტყვითო — გვეხუმრა კიდეც მწვრთნელი. არა, „კოპალას" თავისი ბიჭებისა რომ ეიმედებოდა, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ, მაგრამ ხომ იცით... ჩეხეთი მაინც ჩეხეთია. ამას სლოვაკეთთან ერთადყოფნაშიც გამოუჩენია თავი და უსლოვაკეთოდაც და, სწორედ რომ ევროპაზე. აქ დიდების ნაკრებსაც ვგულისხმობთ და პატარებისასაც, ოღონდ ამჯერად ისტორიას ნუ მოვყვებით. იმას კი აუცილებლად შეგახსენებთ, რომ ჩვენებურთა გუშინდელმა მეტოქემ შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე კიევში მასპინძელ უკრაინელებს და სომხებს აჯობა. ჩეხებმა ბათუმში თავიანთი უძლიერესი მოთამაშეები ჩამოიყვანეს, რომელთაგან ერთი ნახევარმცველი იან პოლაკი მთავარი ნაკრების წევრიცაა. ალბათ, ამიტომაც ფრთხილობდა „კოპალა"... არადა, ხომ ვიცით, ბიჭები გასამარჯვებლად განაწყო.

თამაშს დაძაბულობა დასაწყისშივე დაეტყო. მეტოქეები უშიშრად ეკვეთნენ ერთმანეთს. პირველი „ჩხვლეტა" ჩვენებმა იგემეს. ეს მე-6 წუთზე მოხდა. იან პოლაკი ორ მცველში „გაძვრა" და ძლიერადაც დაარტყა საჯარიმოს წინა ხაზიდან. კიდევ კარგი, ააცილა. ამის შემდეგ მასპინძლებმა კარგა ხნით გადაინაცვლეს ჩეხთა ნახევარზე. სტუმართა მეკარის მზადყოფნა პირველად დილმელაშვილმა შეამოწმა. სამსუნსფორელმა დათომ შორიდან გაგზავნა ბურთი კარისკენ, ტიხაჩეკი ადგილზე დაუხვდა. მერე ჩვენებმა დიდი ძალებით შეუტიეს და მე-17 წუთზე რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. ხიზანეიშვილმა მოედნის ცენტრიდან სტუმართა საჯარიმოში ჩაჰკიდა, ტიხაჩეკი კარიდან შორს გამოვიდა და მოიგერია, მაგრამ პირდაპირ დევაძეზე და სოსომაც შორიდან „გაისროლა", ბურთი კარში მიფრინავდა, მაგრამ ტიხაჩეკმა უკან დაბრუნება მოასწრო და კუთხურზე გადააგდო. ეპიზოდი ჩვენთვის სასიკეთოდ გაგრძელდა. გველესიანმა მარჯვნიდან ჩააწოდა სტუმართა საჯარიმოში. მცველებზე ადრე მაღალ ბურთს დილმელაშვილმა შეაგება თავი და ანგარიშიც გაიხსნა. უკეთესს რას ინატრებდი! მაგრამ ჩეხები ამ გოლმა ბოლომდე ვერ გატეხა. მართალია, სტუმრები ცოტა ხნით დაიბნენ, მაგრამ მერე ძალა მოიკრიბეს და აქეთ შემოგვიტიეს. მცველმა დრობნიმ საკუთარი ნახევრიდან წინ, მარცხენა ფლანგზე გაუჭრა შპილაჩეკს, ამანაც საუკეთესო გაგრძელება მოძებნა, ზუსტი პასით ჩვენს მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ურბანეკი, რომელმაც 10 მეტრიდან ასევე ზუსტად დაარტყა. ჩეხებმა მერეც იაქტიურეს. 30-ე წუთზე მასპინძლები როსიცკის სახიფათო დარტყმას გადაურჩნენ. შესვენებამდე დარჩენილ დროში ჩვენები უფრო სოლიდურად გამოიყურებოდნენ, სტუმართა ნახევარს არ სცილდებოდნენ, მაგრამ სახიფათო მომენტი საპირისპირო მხარეს შეიქმნა. ბაროშ — შპილაჩეკ — ურბანეკის სწრაფად გათამაშებული კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დასრულდა, ოღონდ ბურთი მიზანს ასცდა.

ჩამოთვლილი ეპიზოდების გარდა პირველ ტაიმში ისიც იყო აღსანიშნავი, რომ ბულგარელმა არბიტრმა სამი სტუმარი და ერთი ჩვენი მოთამაშე გააფრთხილა. კარმენ ალექსეევი შესვენების შემდეგაც მკაცრი იყო, ფეხბურთელებს მცირედსაც არ პატიობდა.

მეორე ტაიმი ვახსენეთ და ბარემ ახლავე ვთქვათ, რომ იგი „კოპალას ბიჭების" უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩვენებმა თამაშის ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე, ტაქტიკითაც, ტექნიკითაც და გამძლეობითაც.



გრიგოლ იმედაძე (№17) საჰაერო ბრძოლებს ნაჩვევია

48-ე წუთზე ჯაკობია მარცხენა ფლანგზე დაუსხლტა გრიგერას და საჯარიმოს კუთხიდან ძლიერად დაარტყა მეკარესგან შორეულ კუთხეში. ოდნავ არაზუსტად. სამ წუთში მენთეშაშვილმა მარჯვნიდან კარგად ჩააწოდა სტუმართა კარის გასწვრივ, მაგრამ პარტნიორებმა არ დაუფასეს. 57-ე წუთზე გრიგერამ თავურით კინაღამ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. მერე გველესიანს მიეცა გატანის შანსი. მასაც აუცდა თავური. ჩეხები ბურთის უმისამართო მოგერიებასაც ძლივს ახერხებდნენ. მასპინძლები კი მეტოქეს არ ეშვებოდნენ და ასე მომწიფებული მეორე გოლიც გაიტანეს. სათამაშოდ წუთით ადრე გამოსულმა ვალერი გაგუამ მენთეშაშვილის კარგი გადაცემის შემდეგ ტიხაჩეკი პირშიჩალაგამოვლებული დატოვა.

აქ კი სტუმრებს ნერვებმაც უმტყუნა. მსაჯმა ჯერ ურბანეკს უჩვენა ყვითელი ბარათი, შემდეგ ბაროშსაც, რომელიც აშკარად ეუხეშა საჯაიას. ბაროშისთვის ეს მეორე გაფრთხილება იყო და ყველაზე სახიფათო ჩეხს მოედნის დატოვება მოუხდა. სტუმრები სრული შემადგენლობით ვერ ხეირობდნენ და კაცნაკლულნი რაღას იზამდნენ. თუმცა, ერთხელ მაინც შემოგვიტიეს და ბათიაშვილმა საკუთარი ოსტატობა როსიცკის დარტყმულზე სწორი რეაქციითაც დაგვიმტკიცა.

მერე იყო საფინალო სასტვენი... ქართველთა ზღვა სიხარული. ერთობ ძნელია აღწერო ის, რაც თამაშის შემდეგ სტადიონზე ხდებოდა. ოვაციები, დოლ-მუსიკა. სიხარულის ცრემლები...

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა შვედეთის საგზური მოიპოვა!

ყოჩაღ, „კოპალას ბიჭებო", ყოჩაღ „კოპალა"!

არ მოკვდება ქართული ფეხბურთი, არა!



ოპავაში ორი ბურთის გამტანი ლაშა ჯაკობია გუშინ მეტოქის ფეხებში ჩავარდნასაც არ ერიდებოდა

### მატჩის შემდეგ

პრესკონფერენციაზე ჩეხთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილოშ კვაჩეკი და ჩვენი გუნდის უფროსი თამაზ კოსტავა მოვიდნენ.

*მილოშ კვაჩეკი:* ოპავაში 2:2-მა რთული ამოცანის წინაშე დაგვაყენა. საკუთარ მოედანზე გაგვიჭირდა და სტუმრად ხომ ძნელ თამაშს ვვარაუდობდით. უიმედოდ მაინც არ ვიყავით, სამი კვირა მაქსიმალურად გამოვიყენეთ. გუნდი ბათუმში უკეთ მომზადებული ჩამოვიყვანეთ, მაგრამ როგორც ნახეთ, არ გაგვიმართლა. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვინ დაასწრებდა გატანას. ეს თქვენებმა მოახერხეს და ამ გოლმა გაგვტეხა, თუმცა პირველ ტაიმში თამაში მაინც თანაბარი იყო. მეორეზე არაფერს ვამბობ, ქართველებმა გვაჯობეს. მინდორი უხარისხო იყო, ცხელოდა, მაგრამ ამით მარცხს არ ვამართლებ. ჩემი აზრით, არბიტრმა ზედმეტი სიმკაცრე გამოიჩინა და ამით თამაშს ავნო. თქვენი გუნდიდან მეათე ნომერს (ლაშა ჯაკობია) გამოვარჩევდი — ბრწყინვალე ფეხბურთელია, მეოთხე ნომერიც (ედიკ საჯაია) კერკეტი კაკალი გამოდგა, მეკარემაც მოსაწონად ითამაშა. ვნანობთ, რომ დავმარცხდით, მაგრამ რა გაეწყობა. საქართველოს ნაკრებს ახალ წარმატებებს ვუსურვებ.

*თამაზ კოსტავა:* ჩვენი გამარჯვების თავი და თავი ვახტანგ კოპალეიშვილია, მწვრთნელს გარჯა დაუფასდა. რაღა თქმა უნდა, მადლობა ბიჭებს, ვაჟკაცურად ითამაშეს. დიდი საქმე გაკეთდა — ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე მოგვიწევს თამაში. წინ უფრო საპასუხისმგებლო ბრძოლები გველის და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რათა არც მომავალში შევრცხვეთ. შვედეთისთვის მოსამზადებელ პროგრამას უახლოეს ხანს შევიმუშავებთ. ნაკრების ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება. აქ მხოლოდ საუკეთესოებმა უნდა ითამაშონ. თუკი ვინმე თავს გამოიჩენს, ნაკრებში ახალ ფეხბურთელებსაც სიამოვნებით მოვიწვევთ. თამაშმა გუნდის სუსტი მხარეებიც გამოააშკარავა. ასე რომ, სამუშაო თავსაყრელად გვაქვს. ვფიქრობ, საშვედეთოდ უკეთესად მოვემზადებით.

საქართველოს ნაკრების ლიდერს *ლაშა ჯაკობიას* თამაშის დასრულებისთანავე ვთხოვეთ სიტყვა:

— ყველას ძალიან გვიხარია, მართლა დიდი ბედნიერებაა. ასეთი წუთები დაუვიწყარია. მადლობა ბათუმს გულთბილი მასპინძლობისთვის, მადლობა ჩვენს გასამხნევებლად მოსულ გულშემატკივრებს. წინ ფინალური ეტაპია და თავს არ დავზოგავთ. თამაში რომ შეგვიძლია, მგონი, დავამტკიცეთ. ჩეხები აშკარად დავჩაგრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასიანი ქუთაისელი

*„დაზარალებულმა ფილიგრანული სიზუსტით შეასრულა საჯარიმო და დიდი ხნის ნატვრაც აისრულა. ეს გოლი მეასე იყო ეროვნულ ჩემპიონატში მის მიერვე გატანილთა ჩამონათვალში“ — ამ სიტყვების წაკითხვის საშუალებას გუშინდელი „სარბიელი“ მოგცემდათ. ზუსტი ამბავია — „დაზარალებული“ დავით ჯანაშია გახლავთ. თბილისის „დინამოს“ კარში გატანილი მესამე გოლი ტორპედოელისთვის საიუბილეო, მეასე გამოდგა. დავით ჯანაშია, ოთარ კორღალიძის, მერაბ მეგრელაძის, გიორგი დარასელიას და ლევან ხომერიკის შემდეგ მეხუთე ქართველი „ასიანი“ გახდა.*

*მიმდინარე საფეხბურთო სეზონს „ტორპედოსთვის“ წარმატებული ნამდვილად ეთქმის. თითქმის განაღდებული ვერცხლის მედლები (ისე ქუთაისელებს ჩემპიონობის თეორიული შანსებიც აქვთ დარჩენილი) და თასის მოპოვების რეალური შანსი — ურიგო შედეგი სულაც არ გახლავთ. გუნდის წარმატებული გამოსვლა დავით ჯანაშიას კარგმა თამაშმაც განაპირობა. იგი „სარბიელმა“ პირველი წრის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზეთა შორის საუკეთესოდ ცნო. „სარბიელი“ გამოკითხვას სეზონის ბოლოსაც ჩაატარებს და ვინ იცის...*

*რიგით მეხუთე „ასიანი“, რომ ნაღდი ქუთაისელი და ენაწყლიანი მოსაუბრეა, ამაში ქვემოთაც დარწმუნდებით.*

*ისე, დავით ჯანაშიამ მეასე გოლი 1991 წელსაც გაიტანა, ოლონდ ის გოლი საიუბილეო ქუთაისის „ტორპედოსთვის“ იყო.*



მამუკა ღარჩია ქუთაისიდან

დავით ჯანაშია ვალტერ გუჩუას სარმას დაუსხლტა

**— დათო, გილოცავთ მეასე, საიუბილეო გოლს.**

— გმადლობთ. ძალიან გახარებული ვარ, ეს რომ შევძელი. მგონი, არ არის ურიგო შედეგი.

**— რა თქმა უნდა. „დინამოსთან“ მატჩამდე თუ იცოდით, რომ ჩემპიონატის მატჩებში 99 გოლი გქონდათ გატანილი?**

— ვიცოდი, როგორ არა. ჩემს გატანილ თითოეულ ბურთს ვითვლი. ამაში უჩვეულო არაფერია. ბოლოს და ბოლოს ფეხბურთელი ხომ გოლის გასატანად გადის მოედანზე.

**— „დინამოსთან“ მატჩის წინ არჩევანი რომ გქონოდათ, რას ისურვებდით, გოლის გატანას თუ „ტორპედოს“ მოგებას?**

— რა თქმა უნდა, „ტორპედოს“ მოგებას. გოლის გატანას დარჩენილ შეხვედრებშიც მოვახერხებდი. დაუმარცხებელი ჩემპიონის ძლევა ერთიორად სასიამოვნო იყო ჩემთვისაც და თანაგუნდელებისთვისაც.

**— თავად შეხვედრაზე რას იტყოდით?**

— ასეთ თამაშებს ძნელად ივიწყებს ფეხბურთელი. „დინამო“ რა ძალასაც წარმოადგენს, ყველას კარგად მოგეხსენებათ. მაგრამ არც ველოდით, ისე ადვილად ვძლიეთ. ჩვენი კარგი თამაშის წყალობით მეტოქისთვის მინიმალური შანსიც არ დაგვიტოვებია. იმ დღეს „ტორპედო“ გამარჯვებას იმსახურებდა და ასეც მოხდა.

**— პირველ წრეში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთა შორის მართლაც საუკეთესო იყავით, მეორეში კი საგრძნობლად მოუკელით. რა იყო მიზეზი?**

— გეთანხმებით, რომ ჩემპიონატის მეორე ნახევარი პირველთან შედარებით აშკარად ჩავაგდე, მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლებად ვარ დამნაშავე. მეორე წრის წინ ვარჯიში ჩვეულებრივად განვაახლე, მაგრამ, როგორც იცით, ტრავმა მივიღე და სამი კვირა გამიცდა. ვფიქრობ, ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა და სასურველი ფორმიდან ამოვვარდი. ეს რომ არ მომხდარიყო, გარწმუნებთ, მეტსაც მივაღწევდი.

**— ევროსარბიელზე შარშანდელივით წლეულსაც ითამაშებთ, თანაც უფრო პრესტიჟულ ტურნირში...**

— ამისთვის მზადებას ამთავითვე ვიწყებთ. „ლომელთან“ განცდილმა მარცხმა მწარე მოგონება დაგვიტოვა, მაგრამ გარკვეული გამოცდილებაც შეგვძინა. წლეულს უფრო მეტის მიღწევა გვმართებს. ისე, მგონია, რომ საწყის ორ ეტაპს უპრობლემოდ გავივლით, ვნახოთ...

**— მახსოვს, პირველი წრის მერე „ტორპედოს“ ჩემპიონობის შანსებს სკეპტიკურად უყურებდით...**

— ამას იმიტომ ვამბობდი, რომ გუნდი ფაქტობრივად უსახსროდ იყო დარჩენილი, უფულო გუნდს კი მიზნის მიღწევა ყოველთვის გაუჭირდება.

**— ცოტა უცნაურია, სამეოურეწრეოდ ფული გამოჩნდა, მაგრამ მიუხედავად თეორიული შანსისა, ჩემპიონები ალბათ მაინც ვერ გახდებით. მიზეზი?**

— მიზეზი ისევ ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ. „ტორპედომ“ საშინაო შეხვედრაში მარცხის ტოლფასი ფრე ითამაშა „არსენალთან“, მანამდე კი სულაც „ვიტ ჯორჯიასთან“ დამარცხდა. ამ დაკარგულმა ქულებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა, თორემ ასე რომ არ მომხდარიყო, მჯერა, დიდ პრობლემებს შევუქმნიდით „დინამოს“ და იქნებ ჩემპიონებიც გავმხდარიყავით.

**— ჩემპიონატის პირველი წრის გასრულების შემდეგ კარიერის უცხოეთში გაგრძელების საშუალებაც გქონდათ, მაგრამ მაინც „ტორპედოში“ დარჩით...**

— გეხსომებათ, ბელგიურ „ლომელს“ სატრანსფერო თანხა ეძვირა, ისრაელში წასვლა მაშინ თავად არ ვისურვე. სხვა გუნდებთან მოლაპარაკებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ყველაზე რეალური ვარიანტი მაინც თბილისის „დინამოში“ გადასვლა იყო, მაგრამ მე ქუთაისელი კაცი ვარ, „ტორპედო“ ჩემთვის ბევრს ნიშნავს და საქართველოში სხვა კლუბში თამაშზე არც ვფიქრობ.

**— ახლა თუ გაქვთ უცხოეთში კარიერის გაგრძელების საშუალება, მგონი, ფრანგი მენეჯერიც გყავთ...**

— როჟე არნო ბელგიაში გავიცანი, მაგრამ მასთან შემდეგ ურთიერთობა არ მქონია. შევთანხმდით, როცა უცხოეთში თამაშს მოვიწადინებდი, უნდა მეცნობებინა და ისიც დაიწყებდა მუშაობას. ჩვენი შეთანხმება დღესაც ძალაშია. ბუნებრივია, უცხოეთში თამაში მსურს და ალბათ წავალ კიდეც ევროტურნირების შემდეგ. გადაწყვეტილი მაქვს, „ტორპედოს“ დავტოვებ ამ კლუბის დიდი სიყვარულის მიუხედავად, რადგან კარიერაზეც უნდა ვიზრუნო. უცხოურ კლუბში თამაში (ისე, კლუბსაც გააჩნია) ჩემი დიდი სურვილია. ასე რომ, საქართველოს და მშობლიური კლუბის დატოვება მომიწევს.

**— ესე იგი, 150-ე გოლის მილოცვის შესაძლებლობა აღარ მოგვეცემა.**

— ნუ გადაიწყვეტთ იმედს, ფეხბურთის თამაშს დიდხანს ვაპირებ. გარწმუნებთ, მერაბ მეგრელაძის ხნის რომ ვიქნები, აუცილებლად დავუბრუნდები საქართველოს ჩემპიონატს და ვნახოთ...

**— ეროვნული ნაკრების სათავეში იოჰან ბოსკამპის მოსვლაზე რას იტყოდით?**

— რა უნდა ვთქვა. იქნებ საქმეს სასიკეთოდაც წაადგეს ყოველივე, მაგრამ ჩემი ნაკრებში თამაში ამ ეტაპზე გამორიცხულია.

**— რატომ?**

— არა მგონია, ბოსკამპი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს დაეყრდნოს, თანაც...

**— თანაც?**

— დღეისთვის ნაკრებში დაბრუნება გამიჭირდება...

**— ვერ დაგეთანხმებით. ამბობს ეს კაცი, ლეგიონერებთან ერთად ადგილობრივ მოთამაშეებსაც დავეყრდნობიო, თანაც უცხოურ გუნდში თამაშს თქვენც აპირებთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს კლუბების ნაკრების შემადგენლობაშიც ხართ გამოძახებული...**

— რა ვიცი, ეროვნული ნაკრების წევრობა ჩემი დიდი სურვილია. ვინ იცის, იქნებ... რაც შეეხება კლუბების ნაკრებს, ალბათ ვერ ვითამაშებ, ორი კვირის წინ ქუსლი ვიტკინე და „დინამოსთან“ მატჩში კიდევ უფრო გავიმიზეზე.

**— სეზონის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი დასახელდება. ვინ მიგაჩნიათ ასეთად.**

— დავით ჯანაშია. ისე, ზურაბ იონანიძე რომ არ დაშავებულიყო და ბოლომდე ეთამაშა, ალბათ საუკეთესო ფეხბურთელი იქნებოდა, მაგრამ მაინც... ჩემს შემდეგ.

**ბაატა კვანტალიანი**



ეს-ესაა, დავით ჯანაშიამ მეასე გოლი გაიტანა



ლევან ხომერიკი



ოთარ კორღალიძე



გიორგი დარასელია



მერაბ მეგრელაძე



დავით ჯანაშია

| ასგოლიანები და კანდიდატები | | | 1990 | 1991 | 91-92 | 92-93 | 93-94 | 94-95 | 95-96 | 96-97 | 97-98 | 98-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 117 | ლევან ხომერიკი | ბათუმი | — | 0 | 12 | 22 | 14 | 6 | 8 | 18 | 23 | 14 |
| 105 | გიორგი დარასელია | უცხოეთი | 3 | 5 | 9 | 15 | 17 | 26 | 13 | 15 | — | 2 |
| 105 | ოთარ კორღალიძე | | 21 | 14 | 40 | 23 | 4 | 1 | — | 2 | — | — |
| 104 | მერაბ მეგრელაძე | უცხოეთი | 5 | 3 | 6 | 41 | 31 | 5 | — | 13 | — | — |
| 100 | დავით ჯანაშია | ტორპედო | 4 | 6 | 19 | 15 | 14 | 11 | 8 | — | 9 | 14 |
| 97 | დავით მახარაძე | გურია | 18 | 10 | — | 8 | 20 | 5 | 7 | 11 | 1 | 17 |
| 96 | ზურაბ იონანიძე | ტორპედო | 1 | 3 | 11 | 14 | 14 | 12 | 23 | — | 3 | 15 |
| 92 | მიხეილ აშვეთია | დინამო | — | — | — | — | — | 5 | 31 | 24 | 11 | 21 |
| 92 | ზვიად ენდელაძე | მარგვეთი | — | — | 18 | 4 | 1 | 17 | 40 | — | 6 | 6 |
| 92 | მამუკა ხუნდაძე | უცხოეთი | 2 | 10 | 13 | 19 | 14 | 25 | 9 | — | — | — |
| 91 | გელა გაბისონია | უცხოეთი | 16 | 7 | 5 | 8 | 11 | 21 | 12 | 6 | 1 | 4 |
| 89 | გივი ქობელაშვილი | | 11 | 7 | 18 | 12 | 21 | 13 | 6 | — | — | 1 |
| 87 | ივანე ჯულელი | უცხოეთი | 11 | 3 | 27 | 22 | 16 | 8 | — | — | — | — |
| 84 | ალექსანდრე იაშვილი | უცხოეთი | — | — | — | — | 19 | 24 | 26 | 9 | 6 | — |

*კვირას ქუთაისელმა დავით ჯანაშიამ ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში თავისი მეასე გოლი გაიტანა. ჯანაშიას „ტორპედომ“ კვირასვე „დინამოს“ 3:1 მოუგო და მეათედ გაჩემპიონება მომდევნო ტურამდე გადაუდო.*

*27-ე ტურში კიდევ ერთი საგულისხმო მოვლენა მოხდა — საქართველოს თასის პირველი მფლობელი და პირველი ორი ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი „გურია“ პირველი ჯგუფიდან გავარდა. გავარდა, რა დიდი ამბავია, ლანჩხუთელები კარგა ხანია, გამოტირებული გვყავსო, ეგებ, იფიქროთ. ასეცაა, მაგრამ ახლა საწერ-საკითხავი სხვა მხარეს მიგვყავს.*

*„გურიამ“ უკვე მერამდენედ წააგო, ლანჩხუთელთა გოლები მერამდენედვე დავით მახარაძემ გაიტანა. მახარაძე ჩემპიონატის მთავარ ბომბარდირ მიხეილ აშვეთიას სულ ოთხი გოლით ჩამორჩება, მაგრამ აქედანვე ცხადია, მის გადასწრებას რომ გაუჭირდება. გამორიცხული არაფერია, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ შაბათს აშვეთიას „დინამო“ მახარაძის „გურიას“ მასპინძლობს, ყველაფერი ნათელი გახდება. მაშ, რა რჯიდა დავით მახარაძეს გურულთა წლევანდელი 28 გოლიდან 17 თავად არ გაეტანა? თავდამსხმელია და გატანა სწადია, მართებს და გააქვსო, იფიქრებთ. ვერც აქ შემოგედავებათ კაცი, გუშინდლამდე ასევე ფიქრობდა ბევრიც, მაგრამ ასგოლიანთა კომპანიას და მასთან მიახლოებულთა ნუსხას რომ ჩავხედოთ, დავით მახარაძეს ჭეშმარიტ ჩანაფიქრს მივუხვდებით.*

*ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი ტურია და მახარაძეს კიდევ სამი გოლის გატანა უკლია, დავით ჯანაშიას მსგავსად მეათე ჩემპიონატში რომ აისრულოს საწადელი — ასბურთიან ზღურბლს გადააბიჯოს.*

*პირველმა ასი გოლი ოთარ კორღალიძემ გაიტანა მეხუთე ჩემპიონატში, მერვე გათამაშებაში მერაბ მეგრელაძემ გამოიჩინა თავი, სულ რაღაც ერთ თვეში გიორგი დარასელია გაუტოლდა საქართველოს ჩემპიონატში ყველაზე სახელიან მეგოლეებს და ქართული ცათამბჯენის კენწეროზე დასახლებული მათთან ერთად ახალი მეზობლების შემატებას დაელოდა. მეოთხედ ლევან ხომერიკმა მიუკაკუნა სამეულის კარს შარშანდელ სეზონში და აგერ ახლახანს, კვირას, დავით ჯანაშიას გოლი, რომელიც „დინამოს“ ჩინებული საჯარიმო დარტყმით გაუტანა, მეასე აღმოჩნდა.*

*ოთარ კორღალიძემ თამაში მიატოვა და მწვრთნელთა სკამზე გადაინაცვლა, რუსულ მესამე ლიგაში თამაშობს მერაბ მეგრელაძე, მაგრამ მისი ასაკიდან გამომდინარე, საეჭვოა, 104 ქართულ გოლს კიდევ შემატოს.*

*დარჩენილ სამ ტურში ასიან თასმაზე გადახტომის რეალური შანსი მხოლოდ დავით მახარაძეს აქვს. მართალია, გურულთა ბომბარდირს ტორპედოელი ზურაბ იონანიძე ერთადერთი გოლით ჩამორჩება, მაგრამ უკვე 5 ტურია, ტრავმირებულია და მახარაძესთან გაჯიბრებას ალბათ ვერ შეძლებს.*

*იონანიძეს კვალში აშვეთია, ენდელაძე და ხუნდაძე უდგანან. ამათგან მიზანთან ყველაზე ახლოს მეათე ჩემპიონატის დინამოელი ბომბარდირია. თუმცა სამ ტურში 8 გოლის გამტანი ამჟამად არც მიხეილ აშვეთია ჩანს. გაისად კი ისევ საქართველოში ითამაშებს თუ არა, ძნელი სათქმელია.*

*თუ ისევ ჩვენში ითამაშა, ალბათ, კარგა ხანს ვერავინ დაეწევა ასისთავ ლევან ხომერიკს, რომელმაც „ბათუმში“ დაბრუნების მერეც გააგრძელა ბომბარდირული თვისებების გამოვლენა.*

**ვახტანგ ბზიკაძე**

# ყაველაშვილს თავური უთავაზეს



მიხეილ ყაველაშვილი

ციურიხის „გრასჰოპერის" ქართველი თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი კვლავ დაშავდა და დროებით დასვენება მოუწევს. ყაველაშვილმა ტრავმა შვეიცარიის ჩემპიონატის მატჩში მიიღო. „ბაზელთან" თამაშის 28-ე წუთზე, ერთ-ერთი ორთაბრძოლისას მიშას სახეში მეტოქის თავი მოხვდა და შესაცვლელი გახდა.

ყაველაშვილს მარცხენა თვალთან საკმაოდ დიდი ჭრილობა ჰქონია, თან ძარღვიც გაწყვეტია და ახლა სერიოზულ მკურნალობას საჭიროებს. „გრასჰოპერის" ექიმთა თქმით, ქართველ ლეგიონერს გაუმართლა, რადგან შეჯახება შეიძლებოდა უფრო ცუდად დასრულებულიყო.

რამდენ ხანს მოუწევს მიხეილ ყაველაშვილს უქმად ყოფნა, ჯერჯერობით უცნობია. მისი სახით „გრასჰოპერმა" დიდი დანაკლისი განიცადა, რადგან ბოლო დროს ჩვენებურის პროგრესი აშკარაა. ყაველაშვილს გოლებიც საკმაო გაჰქონდა და კუბილაი თურქილმაზის გუნდიდან გაგდების შემდეგ „კალიების" ერთ-ერთ ლიდერადაც იქცა.

შეგახსენებთ, ყაველაშვილი მიმდინარე სეზონში უკვე მესამედ დაშავდა. პირველი ტრავმა მან ჩემპიონატის დაწყებამდე, ბრაზილიურ შეკრებაზე მიიღო და ამის გამო რამდენიმე ტურიც გამოტოვა. მეორედ კი ქართველ თავდამსხმელს ამ ცოტა ხნის წინ უმტყუნა ბედმა, თუმცა მალე გამოჯანმრთელდა და ფორმაც ბოლომდე აღიდგინა.

ვანო ოქრობირიძე

# ნემსაძეს საფიქრალი გაუჩენია

საქართველოს ნაკრების კაპიტანსა და იტალიური სერია B-დან გავარდნის პირას მყოფი „რეჯანას" ნახევარმცველ გიორგი ნემსაძეს ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. სწორედ ამის გამო გამოტოვა მან ჩემპიონატის XXXIII ტურის მატჩი „ჯენოასთან". როგორც თავად გიორგიმ გვითხრა, თამაშამდე მას სამი დღე უქმად გაუტარებია და არც მატჩის შემდეგ უვარჯიშია გუნდთან ერთად. „რეჯანას" ექიმებს უთქვამთ, რამდენიმე დღეც მოიცადე, გამოიშუშდი, ჯერ ნუ გარისკავ, საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ არაფერი გიჭირსო. ნემსაძესაც რაღა დარჩენია, ექიმების რჩევას მისდევს და გამოჯანმრთელებას ელის. ამით კი მხოლოდ საქართველოს ეროვნული ნაკრებილა თუ მოიგებს — „რეჯანა" ხომ ფაქტობრივად მეორე ლიგიდანაც გავარდნილია.

ნემსაძეს ახლა სხვა საფიქრალიც გაუჩენია. მან „რეჯანას" ხელმძღვანელებს ადრინდელი დანაპირები უნდა გაახსენოს — თუ „რეჯანა" სერია B-ს დატოვებს, კლუბიდან უპრობლემოდ გაგათავისუფლებთო — ასე უთხრეს ნემსოს მაშინ, როცა იგი ექვს თვეს პლუს სამწლიან კონტრაქტს აფორმებდა.

სეზონის გასრულებამდე ალბათ არაფერი გამოვა. მერე კი, ვნახოთ... შეგახსენებთ, „რეჯანამდე" გიორგი ნემსაძე დანიური „ბრონდბიუ" ეპატიჟებოდა, ბერძნული „ოლიმპიაკოსი" კი მასთან საქმის დაჭერას ამ სეზონის გასრულების შემდეგ აპირებდა.

ჭობა ინასარიძე



გიორგი ნემსაძეს ექიმებმა დასვენება ურჩიეს

Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

„აიეტი TV"-ის საკონტაქტო ნომრებია

910 ან 910 111

თუ ადრე გიჭირდათ აიეტთან დაკავშირება,
ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია
აკრიფეთ 910 ან 910 111
დღე-ღამის ნებისმიერ
დროს და მოგემსახურებით

# იაშვილს ჯერ აქუნძულებენ

ბუნდესლიგის წლევანდელი ჩემპიონატის პირველი წრის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ალექსანდრე იაშვილმა რამდენიმეთვიანი მკურნალობა გაასრულა და გუშინ რომ დავუკავშირდით, ერთი კარგი ამბავი გვამცნო — დილაობით ძუნძული დავიწყე და მძიმე ტრავმის შემდეგ თავს ნორმალურად ვგრძნობო.

ბუნდესლიგაში სეზონის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა და, ცხადია, ქართველი თავდამსხმელი „ფრაიბურგს" ველარ შეეშველება. თუმცა ფრაიბურგელებმა ლიგაში დარჩენის საკითხი უმისოდაც, კობიაშვილის და ცქიტიშვილის დახმარებით, ფაქტობრივად, მოაგვარეს და იაშვილი, მისივე თქმით, მომავალი ჩემპიონატისთვისღა მოემზადება.

ჭობა ინასარიძე

# მეორე ჯგუფი

## დასავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

XXIII ტური

8 მაისი

**რიონი 1:0 საირმე**

1:0 წიწილაშვილი (54)
გაფრთხილება: აბულაძე (რიონი), ი. ლოლაძე, სირბილაძე (ორივე საირმე)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

**ოკეანე 3:1 მაღაროელი**

0:1 სევასტოპულო (6), 1:1 კრავეიშვილი (56), 2:1 კაცაძე (71), 3:1 კრავეიშვილი (90)
გაფრთხილება: ნ. ლოლაძე (მაღაროელი)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**რაჭა 3:2 მეშახტე**

1:0 ჯმუხაძე (40), 1:1 ჩაფიძე (57), 1:2 სახელაშვილი (65), 2:2 შარაბიძე (71), 3:2 ჯმუხაძე (74)
გაფრთხილება: მეტონიძე (რაჭა), ავალიშვილი (მეშახტე)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

10 მაისი

**ტორპედო 2 1:0 გაგრა**

1:0 ფუტკარაძე (69)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**იბერია 2 3:1 მარგვეთი**

1:0 რ. ცომაია (2), 2:0 ნ. გიორგაძე (32), 2:1 სულაკაძე (85), 3:1 ბანძელაძე (90)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

**სამგურალი 2 3:1 ჩიხურა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სულორი | 21 | 19 | 2 | 0 | 68:16 | 59 |
| მარგვეთი | 21 | 17 | 2 | 2 | 73:23 | 53 |
| ოკეანე | 22 | 13 | 2 | 7 | 33:31 | 41 |
| მეშახტე | 21 | 13 | 1 | 7 | 51:33 | 40 |
| გაგრა (-3) | 21 | 13 | 1 | 7 | 44:25 | 37 |
| სამგურალი 2 | 21 | 11 | 4 | 6 | 40:34 | 37 |
| რაჭა | 22 | 9 | 2 | 11 | 46:44 | 29 |
| რიონი | 21 | 7 | 4 | 10 | 26:31 | 25 |
| ტორპედო 2 | 21 | 6 | 4 | 11 | 25:30 | 22 |
| იბერია 2 | 22 | 6 | 4 | 12 | 38:46 | 22 |
| საირმე (-3) | 21 | 4 | 2 | 15 | 16:43 | 11 |
| ჩიხურა (-3) | 21 | 2 | 3 | 16 | 27:81 | 6 |
| მაღაროელი (-3) | 21 | 1 | 3 | 17 | 23:73 | 3 |

## „ბ" ქვეჯგუფი

XXIII ტური

8 მაისი

**სალხინო 2:4 კოლხეთი**

0:1, 0:2 კ. ხურცილავა (37, 38), 0:3 ქაშიბაძე (58), 1:3 ხაბეიშვილი (72), 2:3 გ. გაგუა (76), 2:4 აბაკელია (90)
გაფრთხილება: დ. დარჯანია, კ. დარჯანია, ფოჩხუა (ყველა სალხინო), ჭიჭინაძე, ალანია, ვართაგავა (ყველა კოლხეთი)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**სამეგრელო 3:3 ენგური**

0:1 კ. სიჭინავა (2), 0:2 ჭაჭუა (10), 1:2 ჭეჟია (21), 2:2 მ. ახალაია (42), 2:3 ჭაჭუა (46), 3:3 ჭეჟია (83)
გაფრთხილება: ბელქანია (სამეგრელო), მ. კვარაცხელია (ენგური)
მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი)

**ეგრისი 3:0 სქური**

1:0 გეგია (8), 2:0 წულაია (44), 3:0 მიქავა (55)
გაფრთხილება: ჯიშკარიანი (ეგრისი), ფილფანი (სქური)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

10 მაისი

**კოლხეთი 2 2:0 მერცხალი**

1:0 ბურჭულაძე (36), 2:0 კრასოვსკი (38)
გაფრთხილება: დოლბაია (კოლხეთი 2), მანჯავიძე (მერცხალი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი)

**შუქურა 4:2 ფაზისი**

**ოდიში 2 2:0 ბახმარო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 21 | 17 | 2 | 2 | 64:13 | 53 |
| კოლეჯი | 21 | 12 | 5 | 4 | 40:20 | 41 |
| შუქურა | 21 | 12 | 3 | 6 | 44:28 | 39 |
| ფაზისი | 21 | 12 | 1 | 8 | 42:29 | 37 |
| სქური | 21 | 11 | 2 | 8 | 44:45 | 35 |
| ენგური | 21 | 10 | 5 | 6 | 43:32 | 35 |
| ოდიში 2 | 21 | 8 | 6 | 7 | 30:25 | 30 |
| მერცხალი | 21 | 8 | 2 | 11 | 31:35 | 26 |
| ბახმარო | 22 | 7 | 4 | 11 | 22:33 | 25 |
| ეგრისი | 22 | 6 | 5 | 11 | 25:44 | 23 |
| კოლხეთი 2 | 21 | 6 | 3 | 12 | 18:41 | 21 |
| სამეგრელო | 22 | 5 | 4 | 13 | 28:43 | 19 |
| სალხინო | 21 | 3 | 0 | 18 | 33:76 | 9 |

## აღმოსავლეთი. „ა" ქვეჯგუფი

XXVII ტური

7 მაისი

**ალაზანი 1:0 დინამო 3**

1:0 დარჩიაშვილი (77)
გაფრთხილება: ხატიაშვილი (ალაზანი), ლ. ახალაია (დინამო 3)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

8 მაისი

**ლარწყალი 6:1 არსენალი 2**

1:0, 2:0 წიკლაური (2, 44), 3:0 გოძიაშვილი (47), 4:0, 5:0 ტოკლიკიშვილი (50, 55), 5:1 გ. გოცირიძე (60), 6:1 მიკუჩაძე (71)
გაფრთხილება: ზ. დავითაშვილი (არსენალი 2)
მსაჯი: ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

**ზოოვეტი 0:4 აკადემია**

0:1 ფაცურია (11), 0:2 მ. ვაშაკიძე (28), 0:3 დ. ბახტაძე (62), 0:4 ჯულელი (64)
გაფრთხილება: გურგენიძე (ზოოვეტი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ალგეთი 0:3 უნივერსიტეტი იბერია**

**ხალიბი 0:3 ყვარელი**

*„ხალიბს" ჩაეთვალა წაგება*

10 მაისი

**ჭაბუკიანი 5:0 მრეტები**

1:0 უ. მეტრეველი (5), 2:0 გუნია (30), 3:0 ომანიშვილი (73), 4:0 პაქსაშვილი (75), 5:0 შეყილაძე (80)
გაფრთხილება: გიგუაშვილი (ჭაბუკიანი)
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**ძანაგკო 4:1 სამგორი**

1:0 ეკალაძე (10), 2:0 ცერცვაძე (50), 3:0 ჩაჩანიძე (65), 4:0 ცერცვაძე (78), 4:1 გეგეშიძე (89)
გაფრთხილება: ქათამაძე (სამგორი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემია | 25 | 21 | 2 | 2 | 56:9 | 65 |
| ლარწყალი | 25 | 20 | 5 | 0 | 78:16 | 65 |
| ყვარელი | 25 | 16 | 5 | 4 | 44:18 | 53 |
| ჭაბუკიანი (-3) | 25 | 15 | 4 | 6 | 46:23 | 46 |
| არსენალი 2 | 25 | 14 | 3 | 8 | 40:24 | 45 |
| კახეთი | 25 | 12 | 6 | 7 | 45:32 | 42 |
| ხალიბი | 25 | 13 | 2 | 10 | 41:30 | 41 |
| ზოოვეტი | 25 | 10 | 7 | 8 | 46:40 | 37 |
| დინამო 3 | 25 | 11 | 3 | 11 | 38:37 | 36 |
| უნივერსიტეტი იბერია | 25 | 7 | 4 | 14 | 23:31 | 25 |
| ალგეთი | 26 | 7 | 1 | 18 | 28:58 | 22 |
| მრეტები | 26 | 5 | 2 | 19 | 26:53 | 17 |
| ალაზანი | 26 | 5 | 2 | 19 | 27:65 | 17 |
| სამგორი | 25 | 4 | 3 | 18 | 28:62 | 15 |
| ქანაგკო (-3) | 25 | 3 | 3 | 19 | 19:90 | 9 |

## „ბ" ქვეჯგუფი

XXIII ტური

8 მაისი

**საუ 2:0 მესხეთი**

1:0, 2:0 თალაკვაძე (78, 81)
გაფრთხილება: ჭიჭინაშვილი, ლეკიშვილი (ორივე საუ), ბერძენიშვილი, ისაკაძე (ორივე მესხეთი)
მსაჯი: დ. ინდუაშვილი (რუსთავი)

**განთიადი 5:2 იბერია**

1:0, 2:0 ფეიქრიშვილი (28, 34), 2:1 კოშკაძე (39), 3:1, 4:1 ფეიქრიშვილი (44, 55), 5:1 შაქარაშვილი (86), 5:2 ხატიაშვილი (87)
გაფრთხილება: კოტეტიშვილი (განთიადი)
მსაჯი: ა. ორდინიძე (ონი)

**დილა 2 0:3 ცხინვალი**

0:1, 0:2 ნასუაშვილი (8, 15), 0:3 ეჯოშვილი (65)
გაფრთხილება: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**დინამო 2 — ლოკომოტივი 2**

*გადაიდო*

9 მაისი

**ვარძია 0:4 ქარელი**

0:1 მიდელაშვილი (21), 0:2 ნათელაძე (31), 0:3, 0:4 იობაშვილი (40, 80)
გაფრთხილება: სოლოიანი (ვარძია), გრიგალაშვილი (ქარელი)
მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

10 მაისი

**თორი 1:0 ივერია**

1:0 ზარანდია (80)
გაფრთხილება: როხვიძე (თორი)
მსაჯი: ვ. ელოევი (ცხინვალი)

**ჟინერი 0:3 ცხუმი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 21 | 19 | 0 | 2 | 61:14 | 57 |
| ცხინვალი (-3) | 23 | 19 | 2 | 2 | 64:14 | 56 |
| ქარელი | 23 | 15 | 3 | 5 | 48:18 | 48 |
| ლოკომოტივი 2 | 22 | 14 | 3 | 5 | 57:33 | 45 |
| ივერია | 23 | 12 | 6 | 5 | 53:31 | 42 |
| ცხუმი | 23 | 10 | 4 | 9 | 42:32 | 34 |
| განთიადი | 23 | 10 | 4 | 9 | 39:39 | 34 |
| საუ | 23 | 8 | 5 | 10 | 40:40 | 29 |
| თორი | 23 | 8 | 2 | 13 | 29:35 | 26 |
| მესხეთი | 23 | 6 | 5 | 12 | 35:48 | 23 |
| იბერია | 22 | 6 | 1 | 15 | 40:49 | 19 |
| დილა 2 | 23 | 5 | 3 | 15 | 28:56 | 18 |
| ვარძია | 23 | 4 | 4 | 15 | 21:63 | 16 |
| ჟინერი | 23 | 1 | 2 | 20 | 18:103 | 5 |

*შენიშვნა: (-3) — დაკლებული აქვთ სამი ქულა*

საქართველოს ჩემპიონატი

27 ტური

# ისტუნეთ ჯაჭვის ხიდიდან!

## ანუ ამბრედუზო-მედუზო, ტორპედო!



ტორპედოელებმა „დინამოს“ ძლევით დიდად გაიხარეს

იიუ! რა გემრიელი ლუკმა მიირთვა „ტორპედომ“? ჰო-ჰო-ჰო, როგორ იძია შური? აუ, რა გაიხარეს ქუთათურმა გულშემატკივრებმა? არა, რაც გინდა თქვით და ჯერაც ტოკავს ქართული ფეხბურთი, ისევ ავლენს არსებობის ნიშნებს.

ერთ ქუთაისურ ანეკდოტს გაგახსენებთ, ჭიჭიკიას რომ უთხრეს — გორბაჩოვმა ჯაჭვის ხიდიდან გადახტომა აკრძალაო და ამის გამგონემ შიგ შუაგულ რიონში რომ გაადინა ტყაპანი (რა თქმა უნდა, ჯაჭვის ხიდიდან). „ტორპედოსაც“ ასე მოუვიდა, გაალიზიანეს გუნდი, იმდენი იძახეს, „დინამოს“ წაუგებელი სერიაო, ზედიზედ მეათე ჩემპიონობა და ევროპის რეკორდიო, სატურნირო ცხრილის ერთ-ერთ გრაფაში უმწიკვლო ნულიო და სხვა ამისთანები. ადგა „ტორპედო“ და პატიოსნად, პატიოსან ბრძოლაში წაუგებელი სერიაც შეაწყვეტინა მარად ჩემპიონს და იმ „ბულკივით“ ნულსაც ერთიანი ჩაანაცვლა — 1999 წლის 9 მაისის შემდეგ მეათე ეროვნულს დაუმარცხებელი გუნდი აღარ შერჩა.

ასეა, ჯაჭვის ხიდიდან გადახტომა ზოგჯერ პრინციპის საქმეა.

„ტორპედო“ — „დინამოს“ შეხვედრაში ერთიც მოხდა აღსანიშნავი — ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში თავისი რიგით მეასე გოლი გაიტანა დავით ჯანაშიამ. საიუბილეო გოლი მისივე წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან გაიტანა დავითმა და „გივი კილაძის“ გადაძეძგილი ტრიბუნებიც ბლომად აყვირა.

დანარჩენი მატჩები კი მეათე ეროვნულისთვის ჩვეული სცენარით წარიმართა — ლიდერებმა ილიდერეს, აუტსაიდერებმა უარესად ჩააოხრეს ისედაც ჩაოხრებული საქმე, ვილაცამ მოიგო, ვილაცამ წააგო და 27 ტურიც მორჩა.

28-ე ტურს მეორეჯგუფელობას უპატაკებს ქართული ფეხბურთის აწ უკვე ტკბილი მოგონება ლანჩხუთის „გურია“. მან მეორეჯგუფელის საპატიო წოდება „სამგურალთან“ მატჩის შემდეგ გაიკრა და გაისიდან ერთი რანგით დაბლა მოუწევს ბურთის გორება. დიდად ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა ლანჩხუთში, ეგ იყო, მორიგი დუბლი შეასრულა დავით მახარაძემ და დარჩენილი თამაშების სიმცირეს რა ვუთხარით, თორემ ეგებ ბომბარდირობისთვისაც გამოეკრა ხელი.

ვერ გეტყვით, გორის „დილას“ არხეინობაში გაეჯიბრა თუ რაშია საქმე, შინაური შეხვედრა დათმო სამტრედიის „იბერიამ“. სამტრედიელთათვის უსაშველო არაფერი მომხდარა, მათ თავი კარგა ხანია ქუდში აქვთ, ეგ არის, რუსთავის „გორდამ“ აილო „სნიკერსივით“ ტკბილი და კალორიული სამი ქულა. იმდენად საჭირო, რომ თითქმის პირველჯგუფელობა დაიბევა.

ეტყობა, გადათამაშებას თავს ვერ დააღწევს „სიონი“. არადა, ვისაც ბოლნისელების ერთი თამაში მაინც უნახავს, დაგვეთანხმება — მეორე წრის მიწურულს „სიონი“ სულაც არ გახლავთ ხელწამოსაკრავი გუნდი. მაგრამ ამ ტურში მათი მეტოქე „ვიტ ჯორჯია“ იყო და წაგებაც, ასე თუ ისე, კანონზომიერი მოვლენაა, ვიტელებმა სხვაც არაერთი გაამწარეს. „სიონს“ რაც შეეხება, გიორგი ქორიძის და დოლიძის ორ გოლს ვერაფრით უპასუხეს ქვემოქართლელებმა და ძველებურად მეთოთხმეტე ადგილზე იტკეპნებიან.

წააგო რიგით მეორე აუტსაიდერმა ზუგდიდის „ოდიშმა“. 24-ე ტურის სკანდალის შემდეგ ზუგდიდელებს სტადიონი მიუდისკვალიფიკაციეს და მათაც ხობში მიიღეს ფოთის „კოლხეთი“. ბევრიც არაფერი, რიგითი მატჩი იყო — კოლხებმა დასაწყისშივე მოითავეს საქმე, ორი უპასუხო გოლი გაიტანეს და ინტერსაგზურისთვის ბრძოლაში მორიგი სიმაღლე აიღეს.

მართალია, ვერც თასს, ვერც ჩემპიონობას, ალბათ, ვერც ვერცხლს ვერ შეწვდა „ლოკომოტივი“, მაგრამ ბრინჯაო ნამდვილად გაინაღდა. რკინიგზელებმა ჩვეულად, ლუდუშაურის კინკილა გოლის მეშვეობით „მერანის“ ბჭენი დალეწეს და ვარლამ კილასონიას, დავით ჯანელიძის და ზურაბ არჩვაძის არყოფნაშიც მოახერხეს სამი ქულის აღება. „მერანს“ კი რა ენაღვლება, „იბერია“ და „დილა“ თუ აძლევენ თავს გასეირნების უფლებას, ტრანსპორტელებს აწყენთ ვითომ?

ჰო, „დილა“? დილამ, რა თქმა უნდა, წააგო, რა თქმა უნდა, შინ. ამჯერად „არსენალთან“. არმიელთაგან გოლები მათმა მინდვრის პოლკოვნიკმა ზაზა ზირაქიშვილმა გაიტანა, რასაც გორელმა მარეხაშვილმა ერთითღა უპასუხა და 1:2-იც შედგა. ამ შედეგით „დილას“ ბევრი არაფერი დაუკარგავს, ისევე როგორც არც „არსენალს“ მომატებია ბევრი რამე.

„ბათუმი“ — თსუ-ს შეხვედრა კი გადაიდო. მოგეხსენებათ, გუშინ „ბათუმში“ „კოპალას ბიჭები“ ჩეხ თანატოლებს მასპინძლობდნენ და ყაირათიანმა მასპინძლებმა ბათუმის სტადიონის მინდორი დაასვენეს.

ეს იყო და ეს, სხვა გამორჩეული და ყურადსაღები ოცდამეშვიდე ტურში არაფერი მომხდარა — ერთადერთი „ტორპედომ“ ისკუპა ჯაჭვის ხიდიდან.

ამბრედუზო-მედუზო, „ტორპედო“!

**კონსტანტინე გოგიჩაიშვილი**

---

ქუთაისი
9 მაისი
18 საათი
გივი კილაძე
20 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:1 დინამო**

1:0 მეგრელაძე (13), 1:1 აშვეთია (50), 2:1 ჩხეტიანი (59), 3:1 ჯანაშია (86)
ტორპედო: ქანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი (მაზანიშვილი 79), დ. ჯანაშია, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 31), ვაჩიბერაძე (ჩხაბერიძე 85)
*სათადარიგონი:* სტურუა; იონანიძე, კ. ჯანაშია
დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, მ. მაჭავარიანი, პ. ჯინჭარაძე, ა. სახვაძე (გოგიჩაიშვილი 46), კიკნაძე (ჩომახიძე 66), ალექსიძე, ტულუში (ქებაძე 77), აშვეთია, გუჩუა
*სათადარიგონი:* მამალაძე; ა. მუჯირი
გაფრთხილება: ხვადაგიანი (24), მიქაძე (36), გუჩუა (85)
გაძევება: ვაშაკიძე (86)
მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), კ. მესხი (ზუგდიდი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

თბილისი
9 მაისი
18 საათი
მიხეილ მესხი
800 (ტევადობა 18 000)

**ლოკომოტივი 1:0 მერანი**

1:0 ლუდუშაური (43)
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (კაციაშვილი 70), გოგობერიშვილი, კ. მელქაძე, შ. ხუჯაძე (დ. გოდერძიშვილი 46), დ. ბაქრაძე, გ. ლუდუშაური (ნ. მინდიაშვილი 86), წივწივაძე
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; კოტორაშვილი, ნ. მელაძე, ზ. არჩვაძე
მერანი: ლომაია, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, ხარებავა, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი (ბაჯელიძე 88), ბ. ამბიძე, ბერაია (თოლორდავა 46), ჩუხუა, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ჭინჭარაული, დ. ჭელიძე, ივანიშვილი
მსაჯები: მ. მალაღურაძე; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ო. ხეცაძე (ყველა თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

სამტრედია
9 მაისი
18 საათი
ეროსი მანჯგალაძე
1 000 (ტევადობა 15 000)

**იბერია 1:2 გორდა**

0:1 ალადაშვილი (50), 1:1 ლურსმანაშვილი (59), 1:2 პატარიძე (65)
იბერია: ვარდანიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე (მიქელთაძე 56), გეგეშიძე, მუმლაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ფილიპაშვილი (ვარდიაშვილი 46)
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; რ. ცომაია, ზ. ფხაკაძე, ნ. გიორგაძე
გორდა: მ. ქორიძე, კედელაშვილი, ბექაური, სიდამონიძე, მ. გაბელაია, ინასარიძე (მ. სახვაძე 84), კ. ჩიგოშვილი, ზირაქაძე, კიტეიშვილი, პატარიძე, ლ. ალადაშვილი (ლაბაძე 86)
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე; ბაბუნაშვილი, ტარტარაშვილი, მჭედლიძე, რ. მახარაძე
გაფრთხილება: ჩიგოშვილი (57), მუმლაძე (65)
მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

მცხეთა
9 მაისი
18 საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 2:0 სიონი**

1:0 ქორიძე (7), 2:0 დოლიძე (52)
ვიტ ჯორჯია: ქურაძე, ჭანკოტაძე, ქემოკლიძე, ვ. მაისურაძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე (ერაძე 83), მაზიაშვილი (ი. კაპანაძე 87), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (გ. გვაზავა 76)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; თ. ბოკერია
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, დ. სვანიძე, ისიანი (ლ. ამბიძე 61), მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ლ. გაგუა 46), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ტყავაძე, მოსეშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; ფ. არჩვაძე, დ. ჯაფარიძე, ხიდაშელი
მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ელოევი (ცხინვალი), ზ. ჯვარიძე; დ. ხარიტონაშვილი (ორივე თბილისი)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ლანჩხუთი
9 მაისი
18 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

**გურია 2:3 სამგურალი**

0:1 ძაგნიძე (28), 0:2 შენგელია (52), 1:2 დ. მახარაძე (66პ), 1:3 კილასონია (69), 2:3 დ. მახარაძე (81)
გურია: გოგუა (რ. ჩხაიძე 71), თ. ჩხაიძე, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე (სულაქველიძე 46), კ. სვანიძე, გულორდავა, შავშიშვილი, ბოლქვაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ძოძუაშვილი 46), დ. მახარაძე
*სათადარიგონი:* ბერძენიშვილი, ფირცხალაიშვილი, მაჩიტიძე
სამგურალი: ბობოხიძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი (ჯავახაძე 71), ძაგნიძე, გ. კილასონია, აფციაური, გიორგობიანი, პეტრიაშვილი (ზ. ქუთათელაძე 61), სუხიაშვილი, გ. შენგელია (გლუნჩაძე 53)
*სათადარიგონი:* ლ. ქობულაძე, ღონღაძე, მ. ჯინჭარაძე
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. მაისურაძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); პ. ჯულაყიძე (სამტრედია)
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია

გორი
9 მაისი
18 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:2 არსენალი**

0:1, 0:2 ზირაქიშვილი (45, 57), 1:2 მარეხაშვილი (67)
დილა: თ. ილურიძე, ფეზუაშვილი, ლომიძე, გაგნიძე, აკოფიანი (ხიხალაშვილი 81), ლ. გოჩაშვილი, მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მ. მინდიაშვილი (სულთანიშვილი 46), რ. ახალკაცი, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; გუდურაშვილი, არუთუნიანი
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, აბაზაძე, ამირიძე, ა. კაკაშვილი, ხოსროშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ვ. გაგუა, კოხრეიძე, თვალაბეიშვილი
გაფრთხილება: ჩლაიძე (67)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ნ. ბაირამოვი (კასპი)
სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ხობი
9 მაისი
18 საათი
ცენტრალური
150 (ტევადობა 15 000)

**ოდიში 0:2 კოლხეთი**

0:1 ე. გვასალია (5), 0:2 გიორგაძე (10)
ე. გვასალიამ ვერ გაიტანა პენალტი (68, მეკარე)
ოდიში: გოგია, რ. გაბისონია, შონია, აკობია, კაკულია, შელია, ცაცუა, კუტალია, იოსავა, გოგოხია (ტაბალუა), გვიჩია
*სათადარიგო:* მარკოზია
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ლალანიძე (ამაშუკელი 74), ტრაპაიძე, ბულუხია, ე. გვასალია (შავგულიძე 74), კალანდაძე, მ. ქობულაძე (შალამბერიძე 46)
*სათადარიგონი:* ჩემია; ბურკვაძე, ჩადუნელი, პაპავა
გაფრთხილება: ცაცუა (77), ამაშუკელი (77)
მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ა. ქარქაშაძე (თბილისი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
სფფ-ის ინსპექტორი: რ. ჩილაჩავა

XXVIII ტური

15 მაისი

თსუ — ვიტ ჯორჯია (1:0)
არსენალი — ოდიში (2:1)
კოლხეთი — ბათუმი (1:2)
სიონი — იბერია (2:1)
გორდა — ლოკომოტივი (0:0)
მერანი — ტორპედო (0:2)
დინამო — გურია (1:0)
სამგურალი — დილა (1:0)

ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 21 | აშვეთია | *დინამო* |
| 17 | დ. მახარაძე | *გურია* |
| 15 | იონანიძე | *ტორპედო* |
| 14 | ხომერიკი | *ბათუმი* |
| | დ. ჯანაშია | *ტორპედო* |
| 13 | წივწივაძე | *ლოკომოტივი* |
| | მეგრელაძე | *ტორპედო* |
| | ე. გვასალია | *კოლხეთი* |
| 11 | ალექსიძე | *დინამო* |

**სიმბოლური ნაკრები**

გიორგი ქორიძე — *ვიტ ჯორჯია*
ზაზა ზირაქიშვილი — *არსენალი*
ალექსანდრე გოგობერიშვილი — *ლოკომოტივი*
კახა ჩხეტიანი — *ტორპედო*
გიორგი ჭანკოტაძე — *ვიტ ჯორჯია*
დავით ჯანაშია — *ტორპედო*
ბადრი ახვლედიანი — *ტორპედო*
ირაკლი მაღლაკელიძე — *ტორპედო*
ალექსანდრე შეყრილაძე — *ტორპედო*
კახა ალადაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
გრიგოლ ქანტურია — *ტორპედო*

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: ჯემალ ხირხაძე *ტორპედო*

| № | # | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 დინამო (1) | 1 | 27 | 21 | 5 | 1 | 76:15 | +61 | 68 | 13 | 11 | 2 | 0 | 48:9 | +39 | 35 | 14 | 10 | 3 | 1 | 28:6 | +22 | 33 |
| 2 ტორპედო (4) | 2 | 27 | 19 | 4 | 4 | 66:24 | +42 | 61 | 14 | 11 | 2 | 1 | 37:9 | +28 | 35 | 13 | 8 | 2 | 3 | 29:15 | +14 | 26 |
| 3 ლოკომოტივი (6) | 3 | 27 | 15 | 10 | 2 | 34:13 | +21 | 55 | 14 | 9 | 5 | 0 | 18:4 | +14 | 32 | 13 | 6 | 5 | 2 | 16:9 | +7 | 23 |
| 4 კოლხეთი (3) | 4 | 27 | 13 | 6 | 8 | 53:35 | +18 | 45 | 13 | 9 | 1 | 3 | 34:12 | +22 | 28 | 14 | 4 | 5 | 5 | 19:23 | -4 | 17 |
| 5 ბათუმი (2) | 5 | 26 | 10 | 11 | 5 | 35:19 | +16 | 41 | 13 | 7 | 5 | 1 | 25:7 | +18 | 26 | 13 | 3 | 6 | 4 | 10:12 | -2 | 15 |
| 6 ვიტ ჯორჯია (10) | 9 | 27 | 12 | 4 | 11 | 34:26 | +8 | 37 | 14 | 7 | 2 | 5 | 19:11 | +8 | 23 | 13 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 0 | 17 |
| 7 მერანი (7) | 6 | 27 | 9 | 9 | 9 | 24:25 | -1 | 36 | 13 | 5 | 5 | 3 | 9:6 | +3 | 20 | 14 | 4 | 4 | 6 | 15:19 | -4 | 16 |
| 8 იბერია (დ) | 7 | 27 | 10 | 5 | 12 | 40:42 | -2 | 35 | 14 | 5 | 4 | 5 | 21:15 | +6 | 19 | 13 | 5 | 1 | 7 | 19:27 | -8 | 16 |
| 9 დილა (9) | 8 | 27 | 10 | 5 | 12 | 35:45 | -10 | 35 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:17 | +6 | 23 | 13 | 3 | 3 | 7 | 12:28 | -16 | 12 |
| 10 არსენალი (დ) | 10 | 27 | 8 | 11 | 8 | 31:41 | -10 | 35 | 13 | 3 | 7 | 3 | 15:20 | -5 | 16 | 14 | 5 | 4 | 5 | 16:21 | -5 | 19 |
| 11 გორდა (11) | 11 | 27 | 7 | 10 | 10 | 26:38 | -12 | 31 | 13 | 5 | 5 | 3 | 17:17 | 0 | 20 | 14 | 2 | 5 | 7 | 9:21 | -12 | 11 |
| 12 სამგურალი (12) | 14 | 27 | 8 | 3 | 16 | 27:50 | -23 | 27 | 13 | 4 | 1 | 8 | 12:19 | -7 | 13 | 14 | 4 | 2 | 8 | 15:31 | -16 | 14 |
| 13 თსუ (8) | 12 | 26 | 6 | 9 | 11 | 21:29 | -8 | 27 | 13 | 4 | 3 | 6 | 16:18 | -2 | 15 | 13 | 2 | 6 | 5 | 5:11 | -6 | 12 |
| 14 სიონი (13) | 13 | 27 | 6 | 7 | 14 | 25:47 | -22 | 25 | 13 | 4 | 6 | 3 | 15:14 | +1 | 18 | 14 | 2 | 1 | 11 | 10:33 | -23 | 7 |
| 15 ოდიში (5) | 15 | 27 | 6 | 2 | 19 | 20:55 | -35 | 20 | 14 | 4 | 1 | 9 | 13:25 | -12 | 13 | 13 | 2 | 1 | 10 | 7:30 | -23 | 7 |
| 16 გურია (14) | 16 | 27 | 3 | 3 | 21 | 28:71 | -43 | 12 | 14 | 3 | 1 | 10 | 18:33 | -15 | 10 | 13 | 0 | 2 | 11 | 10:39 | -29 | 2 |

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთის** ჩემპიონატის 26-ე ტურის შეხვედრები გაიმართა ორშაბათს: ოპავა — სლავია 0:4, ოლომოუცი — სლოვანი 3:0, დრნოვიცე — ტეპლიცე 0:2, კარვინა — ჩმელი 2:0, ვიქტორია (პლზენი) — დუკლა 2:1, ჰრადეც კრალოვე — ბანიკი 0:2, სპარტა — ბობი 4:1, იაბლონეცი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 0:1. ჩემპიონატს 53 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს პრაღის „სპარტა“.

**ბელგიური სპორტული პრესის ცნობით, ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებმა სეზონის საუკეთესო მოთამაშედ პირველობის ლიდერის „გენკის“ გვინეელი თავდამსხმელი სულეიმან ულარე აღიარეს. გვინეელმა ფეხბურთელმა, რომელმაც მიმდინარე ჩემპიონატში უკვე მოასწრო 16 გოლის გატანა, საგრძნობლად აჯობა მეორე-მესამე ადგილებზე გასულ თანაკლუბელ ბრანკო სტუპარს და „ლოკერენის“ ტანმაღალ თავდამსხმელ იან კოლერს. „გენკის“ მწვრთნელი ემე ანტუენისი, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე ბრიუსელის „ანდერლეხტში“ გადადის, საუკეთესო მწვრთნელად ცნეს. შეგახსენებთ, რომ თუ „გენკმა“ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ჰარელბეკს“ მოუგო, ჩემპიონი პირველად გახდება.**

**უკრაინის** ჩემპიონატის 24-ე ტური ორშაბათს სამი თამაშით დასრულდა. ტურის შედეგები ასეთია: ცსკა — მეტალურგი (დონეცკი) 2:1, კრივბასი — ტავრია 1:1, პრიკარპატიე — მიკოლაევი 2:1, მეტალურგი (ზაპოროჟიე) — მეტალურგი (მარიუპოლი) 3:0, დნეპრი — მეტალისტი 0:0, ზირკა — კარპატი 2:2, შახტიორი — ნივა 1:1, ვორსკლა — დინამო 0:2. ჩემპიონატს 22 თამაშიდან 55 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს კიევის „დინამო“. დონეცკის „შახტიორს“ 24 თამაშიდან 53 ქულა აქვს და მესამე ადგილზე მყოფ ლვოვის „კარპატს“ მთელი ცხრა ქულით უსწრებს. ლვოველებმაც 24 თამაში ჩაატარეს.

**ესტონეთის ჩემპიონატის მეხუთე ტურის თამაშები გაიმართა ამ დღეებში: ლანტანა — იოჰვი 2:0, ტულევიკი — ფლორა 2:4, ტალინი — ლევადია 0:3, ლელე — ნარვა 0:3. ხუთი ტურის შემდეგ ჩემპიონატს 15 ქულით ტალინის „ფლორა“ ლიდერობს. მეორე ადგილზე მყოფ „ლევადიას“ 13 ქულა აქვს, ხოლო მესამეზეა ათქულიანი „ტულევიკი“.**

**შვედეთის** ჩემპიონატის მე-5 ტურის ექვსი მატჩი შედგა კვირას და ორშაბათს: ფროლუნდა — დურგარდენი 1:1, აიკ — ჰელსინგბორგი 2:1, ტრელებორგი — ელფსბორგი 2:1, კალმარი — მალმიო 1:0, ერებრუ — ნორჩეპინგი 2:1, ჰალმშტადი — ჰამარბიუ 3:1. ჩემპიონატს სამი ლიდერი ჰყავს — აიკმა, ორგრიტემ და ფროლუნდამ 10-10 ქულა დააგროვეს, თუმცა „ორგრიტეს“ კონკურენტებთან შედარებით მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერი მიხაელ პრეეცი ბერლინის „ჰერტაში“ კიდევ სამი წლით დარჩება. „ჰერტას“ წარმომადგენლის კლაუს ფილდენტორპის განცხადებით, 31 წლის თავდამსხმელმა კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც მისი გასამრჯელო საგრძნობლად გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატში პრეეცს 19 გოლი აქვს გატანილი. ცნობილი გახდა, რომ ბერლინელთა ხორვატი ნახევარმცველი ანტე კოვიჩი, რომელიც 23 წლისაა, ნახევარი წელიწადი ველარ ითამაშებს. კოვიჩი ბუნდესლიგის ბოლო ტურში, მიუნხენის „ბაიერნთან“ ფრედ 1:1 ნათამაშევ მატჩში დაშავდა.**

**შოტლანდიის** ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა გლაზგოს „სელტიკის“ თავდამსხმელს მარკ ვიდუკას 25 ათასი გირვანქის ანუ 40 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. საქმე ისაა, რომ ავსტრალიელმა თავდამსხმელმა „დანფერმლაინთან“ 2:1 მოგებულ მატჩში მეტოქეს შეაფურთხა. ვიდუკას შეურაცხყოფილი ფეხბურთელისთვის საჯაროდ ბოდიშის მოხდაც მოუწევს.

**გერმანიის ჩემპიონატის აუტსაიდერი მიონხენგლადბახი „ბორუსია“ თანახმაა, გაყიდოს ნიჭიერი ნახევარმცველი სებასტიან დისლერი. ბერლინის „ჰერტას“ თავმჯდომარემ რობერტ შვანმა განაცხადა, რომ კლუბები შეთანხმებულან ტრანსფერის თანხაზე და ზაგრებში დისლერის ბერლინის კლუბში გადავა. 19 წლის ნახევარმცველს გადაბირება მიუნხენის „ბაიერნს“ და „ლევერკუზენსაც“ ეწადათ, თუმცა ყველას მაინც ბერლინის „ჰერტამ“ აჯობა. ფეხბურთელი ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.**

## პორტუგალია

XXXI ტური

**სეტუბალი 1:0 ბენფიკა**

1:0 გონსალესი (12)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 31 | 22 | 6 | 3 | 75:24 | 72 |
| ბოავიშტა | 31 | 19 | 10 | 2 | 52:24 | 67 |
| სპორტინგი | 31 | 17 | 10 | 4 | 60:26 | 61 |
| ბენფიკა | 31 | 17 | 7 | 7 | 61:25 | 58 |
| გიმარაეში | 31 | 13 | 7 | 11 | 49:38 | 46 |
| ლეირია | 31 | 12 | 9 | 10 | 31:27 | 45 |
| სეტუბალი | 31 | 12 | 8 | 11 | 32:37 | 44 |
| ამადორა | 31 | 11 | 10 | 10 | 32:37 | 43 |
| სალგეიროში | 31 | 7 | 15 | 9 | 39:48 | 36 |
| მარიტიმუ | 31 | 9 | 9 | 13 | 38:40 | 36 |
| ფარენსე | 31 | 9 | 8 | 14 | 33:49 | 35 |
| ბრაგა | 31 | 8 | 11 | 12 | 34:50 | 35 |
| კამპომაიორენსე | 31 | 9 | 7 | 15 | 37:46 | 34 |
| რიუ ავე | 31 | 7 | 11 | 13 | 24:42 | 32 |
| ალვერკა | 31 | 7 | 10 | 14 | 30:43 | 31 |
| ბეირა მარი | 31 | 6 | 13 | 12 | 30:46 | 31 |
| შავეში | 31 | 5 | 10 | 16 | 36:60 | 25 |
| აკადემიკა | 31 | 4 | 9 | 18 | 29:60 | 21 |

## ესპანეთი

XXXVI ტური

**მალიორკა B 2:0 ორენსე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 36 | 19 | 11 | 6 | 62:40 | 68 |
| რაიო | 36 | 16 | 12 | 8 | 57:44 | 60 |
| ატლეტიკო B | 36 | 17 | 9 | 10 | 58:47 | 60 |
| ტოლედო | 36 | 16 | 11 | 9 | 48:40 | 59 |
| ნუმანსია | 36 | 17 | 8 | 11 | 57:36 | 59 |
| სევილია | 36 | 16 | 10 | 10 | 51:43 | 58 |
| ლას პალმასი | 36 | 14 | 14 | 8 | 48:35 | 56 |
| ოსასუნა | 36 | 14 | 12 | 10 | 41:37 | 54 |
| ლეიდა | 36 | 14 | 12 | 10 | 41:38 | 54 |
| რეკრეატივო | 36 | 12 | 15 | 9 | 33:22 | 51 |
| კომპოსტელა | 36 | 13 | 12 | 11 | 47:41 | 51 |
| მერიდა | 36 | 13 | 11 | 12 | 42:35 | 50 |
| ბადახოსი | 36 | 12 | 11 | 13 | 29:31 | 47 |
| ალბასეტე | 36 | 10 | 14 | 12 | 28:33 | 44 |
| სპორტინგი | 36 | 11 | 11 | 14 | 35:41 | 44 |
| ლოგრონიესი | 36 | 11 | 11 | 14 | 42:49 | 44 |
| ლეგანესი | 36 | 10 | 13 | 13 | 34:39 | 43 |
| მალიორკა B | 36 | 12 | 7 | 17 | 44:52 | 43 |
| ბარსელონა B | 36 | 12 | 5 | 9 | 46:54 | 41 |
| ეიბარი | 36 | 8 | 7 | 21 | 30:54 | 31 |
| ერკულესი | 36 | 7 | 10 | 19 | 30:56 | 31 |
| ორენსე | 36 | 6 | 6 | 24 | 33:69 | 24 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

# მიუნხენში დღესასწაულს ელიან



მიუნხენში 26 მაისსაც ასეთი სიხარულის იმედი აქვთ

**მიუნხენის** „ბაიერნი“ წლეულს მართლაც ძალიან კარგ ფორმაშია. ბავარიული კლუბი მიმდინარე სეზონში სამ ფრონტზე იბრძვის და ყველგან წარმატებით. ერთი ბრძოლა კვირას უკვე მოიგო — „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონი გახდა და შარშან დაკარგული ჩემპიონობა დაიბრუნა. ახლა გუნდს ორი მნიშვნელოვანი მატჩი დარჩა გასამართი. 26 მაისს მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდებიან, ხოლო 12 ივნისს ბერლინში გერმანიის თასის ფინალი ელით ბრემენის „ვერდერთან“.

„ბაიერნის“ წლევანდელი წარმატებები უპირველეს ყოვლისა გუნდის მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს უკავშირდება, რომელიც ამ სეზონის დაწყებამდე ჩაუდგა კლუბს სათავეში. ჰიტცფელდმა „ბაიერნი“ თავიდანვე მობილურ და შეკრულ გუნდად აქცია. მიუნხენელებმა ჩემპიონატი ძალიან კარგად დაიწყეს და ბოლომდე ასე გააგრძელეს. ლიდერობა მხოლოდ ერთხელ (ისიც ერთი ტურით), პირველი წრის მიწურულს დაკარგეს, მაშინაც გაპირველებულ „ლევერკუზენზე“ ერთი მატჩით ნაკლები ჰქონდათ ნათამაშები.

კლუბმა მთელი სეზონი ძალიან სტაბილურად ჩაატარა. ჩავარდნა, არც ჰქონიათ. ეგ იყო, მეორე წრის შუაში ზედიზედ სამი თამაში ვერ მოიგო (აქედან ორი ფრედ დაასრულა), თუმცა ამას ჰქონდა მიზეზი. იმ დროს „ბაიერნი“ მეორე ადგილზე მყოფ „ლევერკუზენს“ თხუთმეტი ქულით უსწრებდა და თავს მოდუნების საშუალება მისცა.

ეს სეზონი თითოეულმა მიუნხენელმა ფეხბურთელმა კარგად ჩაატარა, მაგრამ რამდენიმე მათგანი გამორჩევას ნამდვილად იმსახურებს: ლოთარ მათეუსი, მარიო ბასლერი, შტეფან ეფენბერგი და ამჟამად ტრავმირებული ბრაზილიელი ჯოვანე ელბერი, რომელთა თამაშსაც უბრალოდ ბრწყინვალე ეთქმის. ისიც სათქმელია, რომ შტეფან ეფენბერგი, ბოლო დროის ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, პირველად გახდა გერმანიის ჩემპიონი.

„გახდე ქვეყანაში უძლიერესი, ეს მართლაც დიდი ბედნიერება ყოფილა“ — თქვა „ეფემ“ კვირას „ჰერტასთან“ დასრულებული მატჩის შემდეგ.

„ეს ფაქტი მართლაც განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, მაგრამ წინ სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. იმედია, მასაც მოვიგებთ და მერე ერთ დიდ დღესასწაულს მოვაწყობთ“ — განაცხადა ფრანც ბეკენბაურმა, „ბაიერნის“ პრეზიდენტმა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა.

„ერთ ფრონტზე ომი მოვიგეთ, ახლა ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერთან“ მეორე და უმთავრესი ბრძოლა გველის“ — ბრძანა ჰიტცფელდმა.

„ბაიერნის“ პრეზიდენტისა და მწვრთნელის სიტყვებმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა საზოგადოება, რომ მიუნხენელები ჩემპიონთა თასის მოგებას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ჩემპიონობას, ქვეყნის თასი კი მიუნხენში ალარც ახსოვთ.

ახლა „ბაიერნს“ შეუძლია, 26 მაისისთვის მშვიდად მოემზადოს. ჰიტცფელდი მომავალ ტურებში ზოგიერთ ფეხბურთელს, ალბათ, დაასვენებს კიდეც. უფრო რთულად აქვს საქმე მის მეტოქე „მანჩესტერ იუნაიტედს“, რომელიც პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის იბრძვის და მის მოსაპოვებლად დიდი ოფლის ღვრა მოუწევს. ეს მიუნხენელებს გარკვეულწილად უფრო მეტ შანსს აძლევს, შანსს იმისა, რომ 1976 წლის შემდეგ „ბაიერნი“ კვლავ დაეუფლება ევროპის საკლუბო ფეხბურთში უმთავრეს ჯილდოს,რომელსაც აქამდე ზედიზედ სამჯერ ფლობდა.

**ვანო ოქრობირიძე**

## გერმანიის ჩემპიონატის გამარჯვებულები

გერმანიის ჩემპიონები

1903 ლაიფციგი
1905 უნიონ 92 (ბერლინი)
1906 ლაიფციგი
1907 ფრაიბურგი
1908 ვიქტორია (ბერლინი)
1909 ფენიქსი (კარლსრუე)
1910 კარლსრუე
1911 ვიქტორია (ბერლინი)
1912 ჰოლშტაინი (კილი)
1913 ლაიფციგი
1914 ფიურტი
1920 ნიურნბერგი
1921 ნიურნბერგი
1923 ჰამბურგი
1924 ნიურნბერგი
1925 ნიურნბერგი
1926 ფიურტი
1927 ნიურნბერგი
1928 ჰამბურგი
1929 ფიურტი
1930 ჰერტა (ბერლინი)
1931 ჰერტა (ბერლინი)
1932 ბაიერნი (მიუნხენი)
1933 ფორტუნა (დიუსელდორფი)
1934 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1935 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1936 ნიურნბერგი
1937 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1938 ჰანოვერ 96
1939 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1940 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1941 რაპიდი (ვენა)
1942 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1943 დრეზდენი
1944 დრეზდენი
1948 ნიურნბერგი*
1949 მანჰაიმი
1950 შტუტგარტი
1951 კაიზერსლაუტერნი
1952 შტუტგარტი
1953 კაიზერსლაუტერნი
1954 ჰანოვერ 96
1955 როტ-ვაისი (ესენი)
1956 ბორუსია (დორტმუნდი)
1957 ბორუსია (დორტმუნდი)
1958 შალკე 04 (გელზენკირხენი)
1959 აინტრახტი (ფრანქფურტი)
1960 ჰამბურგი
1961 ნიურნბერგი
1962 კიოლნი
1963 ბორუსია (დორტმუნდი)
1964 კიოლნი**
1965 ვერდერი (ბრემენი)
1966 მიუნხენ 1860
1967 აინტრახტი (ბრაუნშვაიგი)
1968 ნიურნბერგი
1969 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1970 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1971 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1972 ბაიერნი (მიუნხენი)
1973 ბაიერნი (მიუნხენი)
1974 ბაიერნი (მიუნხენი)
1975 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1976 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1977 ბორუსია (მიონხენგლადბახი)
1978 კიოლნი
1979 ჰამბურგი
1980 ბაიერნი (მიუნხენი)
1981 ბაიერნი (მიუნხენი)
1982 ჰამბურგი
1983 ჰამბურგი
1984 შტუტგარტი
1985 ბაიერნი (მიუნხენი)
1986 ბაიერნი (მიუნხენი)
1987 ბაიერნი (მიუნხენი)
1988 ვერდერი
1989 ბაიერნი (მიუნხენი)
1990 ბაიერნი (მიუნხენი)
1991 კაიზერსლაუტერნი
1992 შტუტგარტი
1993 ვერდერი
1994 ბაიერნი (მიუნხენი)
1995 ბორუსია (დორტმუნდი)
1996 ბორუსია (დორტმუნდი)
1997 ბაიერნი (მიუნხენი)
1998 კაიზერსლაუტერნი
1999 ბაიერნი (მიუნხენი)

*1904, 1915-19, 1922 და 1945-47 წლებში ჩემპიონატები არ ჩატარებულა.*

**1948-დან 1990-წლამდე გერმანიის ჩემპიონად ნაგულისხმევია მაშინდელი დასავლეთ გერმანიის ჩემპიონატების გამარჯვებულები.*

***1964 წლიდან გერმანიის (გფრ-ს) ჩემპიონატი ბუნდესლიგად იწოდება.*

# შემცირება

**ესპანეთის** პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას სურს კლუბებში ლეგიონერთა რაოდენობა შემცირდეს. ასოციაციის აზრით უცხოელი ფეხბურთელები ადგილობრივი კადრების გაზრდას და ძლიერ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას აფერხებენ.

დღესდღეობით ესპანეთის ფეხბრუთის ფედერაციის გადაწყვეტილებით პრიმერა დივიზიონის კლუბებს უფლება აქვთ შემადგენლობაში არაევროკავშირის ქვეყნებიდან ექვსი მოთამაშე იყოლიონ, მოედანზე კი ერთდროულად ოთხი მათგანი ათამაშონ.

ესპანეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციას უცხოელთა წინააღმდეგ გალაშქრება იმან აფიქრებინა, რომ ახლახან, ნიგერიაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მომგები ესპანეთის გუნდიდან, თავიანთი გუნდების შემადგენლობაში ვერცერთი მათგანი ვერ ხვდება.

— ლეგიონერთა რაოდენობა აუცილებლად უნდა შემცირდეს. თუ ესპანეთის ფეხბურთის მომავალზე ვზრუნავთ რადიკალური ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადავდგათ — განაცხადა ესპანეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხერარდო გონსალეს მოვილამ.

ამ საკითხზე ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა ხდება სინამდვილეში რეალში?



ლორენსო სანსი

ამას წინათ ბრაზილიელი სუპერფორვარდის, რონალდოს მადრიდის „რეალში“ შესაძლო გადასვლაზე გაცნობეთ. გასულ კვირაში ესპანეთის ერთ-ერთ რადიოსადგურში გამოსვლისას სამეფო კლუბის პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა თქვა, სავსებით შესაძლებელია ეს ტრანსფერი შედგეს, მაგრამ რონალდოს გადაბირება ძალიან რთული ოპერაცია იქნებაო. სანსის ამ სიტყვებს მადრიდში დიდი რეზონანსი მოჰყვა, რაც არაბუნებრივი და ულოგიკო ნაღდად არ ყოფილა — რონალდო ხომ ის ფეხბურთელია, რომლის გამოჩენაც ყველგან უზომოდ გაუხარდებათ. მით უმეტეს, ეს „რეალს“ ეხება, ამ გუნდმა 22 წლის თავდამსხმელის „ბარსელონაში“ გამოსვლისას თავის თავზე იგრძნო მისი ძალა. ახლა კი, როცა გამოჩნდა ვარიანტი, რომ ჩემპიონთა თასის მფლობელებმა მოსისხლე მტერს („ბარსელონას“) მისი ყოფილი კოზირით მოუღონ ბოლო, ესპანეთის დედაქალაქში და არა მარტო იქ, ხალხმა მოუთმენლად დაუწყო ლოდინი ტრანსფერის განვითარებას.

მათდა სამწუხაროდ, ყველაფერი ერთ დღეში დასრულდა. ლორენსო სანსი რომ უცნაური ადამიანი იყო, ადრეც იცოდა ხალხმა, მაგრამ ამდენად?

რადიოინტერვიუს მეორე დღეს სანსი კვლავ შეხვდა ჟურნალისტებს და ნამალადევი გაკვირვებით განუცხადა:

— გაოცებული ვარ. ვერ გამიგია, რატომ ატყდა ასეთი ალიაქოთი. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და გარწმუნებთ — არც მოხდება.

ესპანური მეოთხე ხელისუფლება გაოგნდა, მაგრამ მისი გაოცება მერე უნდა გენახათ.

— ზიდანი? მასზე საერთოდ არ ყოფილა სერიოზული საუბარი. ყოველთვის ვამბობდი, რომ ზიდანის „რეალში“ გადმოსვლა შესაძლებელია, თუმცა ეს მომავლის საქმე გახლავთ. დღესდღეობით კი ამაზე ლაპარაკი, უბრალოდ, აბსურდია — ამბობს პრეზიდენტი.

ისე, სანსის საქციელი, ცოტა არ იყოს, უცნაურია და ეს მარტო ჩვენ არ გვენიშნა. ამაზე უკვე მთელი მსოფლიოს საინფორმაციო წყაროები, განსაკუთრებით კი ესპანური მასმედია ბჭობს. ჩუმად არც საფეხბურთო წრეები არიან. კერძოდ, „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ამბობს:

— მართლაც გასაკვირია „რეალში“ მიმდინარე ამბები. ჩემი აზრით, იქ ყველაფერი წესრიგში არ უნდა იყოს. სანსის განცხადებები ვარსკვლავების შეძენაზე ზუსტად ამ ქაოსის მისაჩქმალად არის გაკეთებული. „რეალის“ ხელმძღვანელობა ცდილობს, აქცენტი შეთითხნილ სენსაციებზე გადაიტანოს და ეს არცთუ ოსტატურად გამოსდის.

ვან გაალის სიტყვებში არის სიმართლის მოზრდილი მარცვალი. მადრიდულ კლუბში რომ უთანხმოებაა, ცხადია. რამდენიმე დღის წინ მთავარი მწვრთნელის ჯონ ტოშაკის განუწყვეტელი კრიტიკისთვის გუნდიდან მოკვეთეს ხორვატი დავორ შუკერი, რომელიც „რეალის“ წევრად აღარ ითვლება, შესაბამისად, ხელფასსაც აღარ მიიღებს. კლუბის ხელმძღვანელობასთან გამუდმებული კონფლიქტი აქვთ და გუნდში თავს ცუდად გრძნობენ შუკერის თანამემამულე რობერტ იარნი, იუგოსლავიელი პრედრაგ მიატოვიჩი, ტრანსფერზე დაყენებული ჰოლანდიელი, კლარენს ზეედორფი, ბრაზილიელი სავიო.

გუნდის სათავეში უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის მისვლის შემდეგ „რეალი“ თითქოს კრიზისიდან გამოვიდა, მაგრამ ბოლო ხანს გუნდს კვლავ დაეწყო ჩავარდნა და შესაძლოა, პრიმერა დივიზიონის პირველ ოთხეულში ვერც მოხვდეს, ანუ ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩეს. ბევრის აზრით, მადრიდელთა წარუმატებელი გამოსვლა ტოშაკის მხრიდან ზემოხსენებული მოთამაშეების უგულებელყოფის ბრალია. უელსელი სპეციალისტი მათ იშვიათად აყენებს ძირითადში, რისთვისაც ხშირად მწარე კრიტიკის მოსმენა უწევს. ყველაფერ ამას „რეალის“ გოლეადორის, ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირის, რაულ გონსალესის ტრავმა დაერთო, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა. დაბოლოს, მთავარი. ესპანეთში დიდი ხანია, დადის ხმები, რომ მადრიდის „რეალი“ ფინანსურ კრიზისშია ჩაფლული, რომ სანსს უზარმაზარი ვალები აქვს.

ასე რომ, აზრები ორად გაიყო. ნაწილს სჯერა, რომ მალე „რეალი“ დიდებას დაიბრუნებს და ამაში მას ახალშეძენილი ვარსკვლავები დაეხმარებიან. ნაწილის ღრმა რწმენით, ტურამის, ზიდანის, რონალდოს ყიდვაზე საუბარი უბრალო ფარსი, სპექტაკლია. ჯერჯერობით გადაჭრით რაიმეს მტკიცება ძალიან ძნელია, ამიტომ მოცდა მოგვიწევს. იმედია, მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება.



რონალდო მადრიდში არ მიდის

ბოლოსთვის ამ მოვლენების ერთ-ერთი მთავარი გმირის, რონალდოს სიტყვები შემოვინახეთ. ბრაზილიელმა გაზეთ „მარკას“ უთხრა:

— მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლები ჩემს აგენტებს დაუკავშირდნენ. მათ დიდი სურვილი ჰქონიათ, მილანის „ინტერიდან“ წასვლის შემთხვევაში კარიერა იქ გავაგრძელო, მაგრამ ყველას გასაგონად ვამბობ, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია.

დავით ძოწენიძე

## უნგრეთის ჩემპიონატის გამარჯვებულები

## უნგრეთი

ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე ბუდაპეშტის მ.ტ.კ. უნგრეთის ჩემპიონი გახდა.

ეს კლუბის რიგით ოცდამეერთე გამარჯვება გახლდათ ჩემპიონატებში.

„ოქროს მატჩი“ მ.ტ.კ-მ შინ გამართა „გაზერთან“. მასპინძელთა გამარჯვება პირველ ტაიმში ბელა ილეშის და ფერენც ოროშის მიერ გატანილმა გოლებმა განაპირობა. შეგახსენებთ რომ ილეში 20 გოლით ჩემპიონატის ბომბარდირთა ლიდერია.

— მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ჩემპიონი მესამედ გავხდი, ისე მიხარია თითქოს ოქრო პირველად მომეგოს — განაცხადა მტკ-ს და ქვეყნის ნაკრების ნახევარდაცვის ლიდერმა გაბორ ჰალმაიმ.

29-ე ტური. კიშპეშტ-ჰონვედი — დებრეცენი 0:0; ჰალადაში — ბვსც 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მტკ | 29 | 24 | 2 | 3 | 70:20 | 74 |
| ფერენცვაროში | 29 | 17 | 7 | 5 | 56:34 | 58 |
| უიპეშტი | 29 | 17 | 3 | 9 | 48:32 | 54 |
| დიორ ეტო | 29 | 14 | 9 | 6 | 44:29 | 51 |
| დუნაფერი | 29 | 14 | 5 | 10 | 45:40 | 47 |
| ვაშაში | 29 | 13 | 7 | 9 | 42:37 | 46 |
| ზალაეგერცეგი | 29 | 13 | 7 | 9 | 39:34 | 46 |
| ვაცი | 29 | 12 | 7 | 10 | 43:42 | 43 |
| დიოშდიორი | 29 | 11 | 9 | 9 | 50:49 | 42 |
| დებრეცენი | 29 | 11 | 6 | 12 | 42:34 | 39 |
| გაზერი | 29 | 8 | 11 | 10 | 29:33 | 35 |
| ნიერშეგი | 29 | 9 | 8 | 12 | 41:46 | 35 |
| კიშპეშტი | 29 | 8 | 9 | 12 | 32:44 | 33 |
| ჰალადაში | 29 | 9 | 4 | 16 | 33:47 | 31 |
| ვიდეოტონი | 29 | 6 | 8 | 15 | 32:46 | 26 |
| შიოფოკი | 29 | 5 | 9 | 15 | 27:44 | 24 |
| ბვსც | 29 | 5 | 6 | 18 | 26:45 | 21 |
| კერულეტი | 29 | 4 | 5 | 20 | 34:76 | 17 |

1901 ბუდაპეშტ TS
1902 ბუდაპეშტ TS
1903 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1904 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1905 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1907 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1908 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1909 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1910 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1911 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1912 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1913 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1914 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1917 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1918 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1919 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1920 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1921 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1922 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1923 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1924 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1925 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1926 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1927 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1928 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1929 უნგარია (ბუდაპეშტი)
1930 უიპეშტი (დოჟა)
1931 უიპეშტი (დოჟა)
1932 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1933 უიპეშტი (დოჟა)
1934 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1935 უიპეტში (დოჟა)
1936 უნგარია (ბუდაპეშტი)
1937 უნგარია (ბუდაპეშტი)
1938 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1939 უიპეშტი (დოჟა)
1940 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1941 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1942 ჩეპელი
1943 ჩეპელი
1944 ნადივარადი
1945 უიპეშტი (დოჟა)
1946 უიპეშტი (დოჟა)
1947 უიპეშტი (დოჟა)
1948 ჩეპელი
1949 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1950 ჰონვედი (კიშპეშტი)*
1950 ჰონვედი (კიშპეშტი)*
1951 ბასტია (ბუდაპეშტი)
1952 ჰონვედი (კიშპეშტი)
1953 ვიოროში (ლობოგო)
1954 ჰონვედი (კიშპეშტი)
1955 ჰონვედი (კიშპეშტი)
1957 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1958 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1959 ჩეპელი
1960 უიპეშტ დოჟა
1961 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1962 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1963 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)*
1963 ვაშაში (დიორი)*
1964 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1965 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1966 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1967 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1968 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1969 უიპეშტ დოჟა
1970 უიპეშტ დოჟა
1971 უიპეშტ დოჟა
1972 უიპეშტ დოჟა
1973 უიპეშტ დოჟა
1974 უიპეშტ დოჟა
1975 უიპეშტ დოჟა
1976 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1977 ვაშაში (ბუდაპეშტი)
1978 უიპეშტ დოჟა
1979 უიპეშტ დოჟა
1980 ჰონვედი (კიშპეშტი)
1981 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1982 რაბა ეტო (დიორი)
1983 რაბა ეტო (დიორი)
1984 ჰონვედი (კიშპეშტი)
1985 ჰორვედი (კიშპეშტი)
1986 ჰონვედი (კიშპეშტი)
1987 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1988 ჰონვედი (კიშპეშტი)
1989 ჰონვედი (კიშპეშტი)
1990 უიპეშტ დოჟა
1991 ჰონვედი (კიშპეშტი)
1992 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1993 კიშპეშტ ჰონვედი
1994 ვაცი
1995 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1996 ფერენცვაროში (ბუდაპეშტი)
1997 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)
1998 უიპეშტ დოჟა
1999 მ.ტ.კ. (ბუდაპეშტი)

*1906, 1915-16 და 1956 წლებში ჩემპიონატები არ გამართულა.*
**1950 და 1963 წლებში ჩემპიონი ორ-ორჯერ გამოვლინდა.*

## ისინი ექვსნი დარჩნენ

ნიგერია აღარ აცხადებს პრეტენზიას 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე, გუშინ ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად მოხსნა თავის კანდიდატურა მეორე აფრიკული ქვეყნის — სამხრეთ აფრიკის სასარგებლოდ. ნიგერიის სპორტის მინისტრის ემეკა ომერუას თქმით, იგი შეხვდა მთავარსარდალს, მთავრობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წევრს, გენერალ აბდულსალამი აბუბუკარს, რომელმაც ურჩია, აღნიშნული გადაწყვეტილება მიეღო.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ თავისი კანდიდატურა კიდევ ერთმა აფრიკულმა სახელმწიფომ, განამ მოხსნა და წინასწარი ცნობებით, ეს ქვეყანაც სამხრეთ აფრიკას დაუჭერს მხარს.

ამგვარად, 2006 წლის მსოფლიოს პირველობის მასპინძლობისთვის ბრძოლას ხუთი ქვეყანა აგრძელებს — ეგვიპტე, მაროკო, სამხრეთ აფრიკა, გერმანია, ბრაზილია და ინგლისი.

## ესპანური ფეხბურთის საკეთილდღეოდ

ესპანეთის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ (AFE) ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელთა რაოდენობის შემცირება გადაწყვიტა. დღესდღეობით ესპანეთში ნებადართულია, რომ თითოეულ კლუბს ჰყავდეს 6 არაევროკავშირის წარმომადგენელი მოთამაშე, ხოლო კონკრეტულ მატჩში გამოსვლა აქედან მაქსიმუმ ოთხს შეუძლია.

AFE-ს პროექტის მიხედვით, 2000 წლიდან პრიმერა დივიზიონში მოასპარეზე თითოეულ გუნდს მხოლოდ სამი არაევროკავშირელის ყოლის უფლება ექნება.

თურმე ეს გადაწყვეტილება პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ მას შემდეგ მიიღო, რაც ესპანეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა 20 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ნიგერიაში ახლახან დასრულდა, პირველობა არავის დაუთმო და უძლიერესის ტიტული დაისაკუთრა. არადა, ამ ნაკრების წევრთა უმეტესობა თავიანთ კლუბებში სათადარიგოთა შორის იმყოფება, რაც ქვეყნის ეროვნული გუნდის წარუმატებელი გამოსვლის წინაპირობაა.

— ამ საკითხზე დიდი ხანია, ვმსჯელობთ და მივედით დასკვნამდე, რომ უცხოელთა რიცხვი აუცილებლად შესამცირებელია. თუ ასე მოხდება, ანუ თუ ჩვენი წინადადება დამტკიცდება, მაშინ ახალგაზრდა, მეტად ნიჭიერ ესპანელ ფეხბურთელებს კლუბის ძირითადში ადგილის დამკვიდრება გაუიოლდებათ, რაც მთლიანად ესპანურ ფეხბურთს ძალიან წაადგება — ამბობს AFE-ს პრეზიდენტი გერარდო გონსალეს მოვილა.

იხილავს თუ არა ეს ვარინტი დღის სინათლეს, AFE-ს ხელმძღვანელობის ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის (RFEF) და ლიგის (LFP) წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გაირკვევა.

**ამხანაგური მატჩი** 19 მაისი. სლოვაკეთი — ბულგარეთი

ბულგარეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დიმიტარ ივანკოვი (ლევსკი), იორდან გოსპოდინოვი (ნეფტოხიმიკი); მცველები — ზლატომირ ზაგორჩიჩი (ლიტექსი), ივაილო პეტკოვი (ისთანბულსფორი, თურქეთი), ივაილო იორდანოვი (სპორტინგი, პორტუგალია), როსენ კირილოვი (ადანასფორი, თურქეთი), გეორგი მარკოვი (ლოკომოტივი); ნახევარმცველები — ილიან სტოიანოვი (ლევსკი), რადოსტინ კიშიშევი (ლიტექსი), ზლატკო იანკოვი (ნეფტოხიმიკი), ილიან ილიევი (ლევსკი), მილენ პეტკოვი (ცსკა), სტილიან პეტროვი (ცსკა), ილია გრუევი (ნეფტოხიმიკი), დრაგოლიუბ სიმონოვიჩი (ლიტექსი); თავდამსხმელები — ხრისტო იოვოვი (ლოკომოტივი), ხრისტო სტოიჩკოვი (კაშივა რეისოლი, იაპონია), დანიელ ბორიმიროვი (მიუნხენი, გერმანია)



თასების მფლობელთა თასი

XXXIII გათამაშება 1992–93 წლები

პარმა

პარმა, იტალია

სოლომონ ქულიაშვილი

UEFA Cup Winners' Cup

სრული ისტორია


СПОРТ ЭКСПРЕСС
РОССИЙСКАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ ГАЗЕТА
24 АПРЕЛЯ, СУББОТА
Кубок кубков
78-я минута. Драма в Антверпене
Судья Коррадо похоронил «Спартак»
«Спартак» не очень-то и сопротивлялся...

ასე გამოეხმაურა რუსული „სპორტ ექსპრესი“ ანტვერპენულ ნახევარფინალს

# როგორ არ სჯეროდათ პარმასი

1993 წლის 12 მაისს ლეგენდარულმა „უემბლიმ“ მეორედ უმასპინძლა თასების თასის გადამწყვეტ მატჩს. პირველად, 1965-ში, იქ ლონდონურმა „ვესტ ჰემმა“ გერმანულ „მიუნხენ 1860“-ს მოუგო. მაშინ 100 ათასიანი სტადიონი გადაიჭედა. ამჯერად კი მხოლოდ 37 393 მაყურებელი მოგროვდა. აქედან 15 ათასი იტალიელი იყო, 5 ათასი ბელგიელი და ცოტა ნაკლები... კოლუმბიელი. საქმე ისაა, რომ თურმე იმ დღეს ლონდონში მცხოვრები კოლუმბიელების უმრავლესობა „უემბლიზე“ მისულა, თავისი პარმელი თანამემამულის ფაუსტინო ასპრილიას სანახავად. მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ფინალში ასპრილიას არ უთამაშია.

ლონდონელებს კი მაშინ უსახელო იტალიური და ბელგიური გუნდების საცქერლად თავი არ შეუწუხებიათ. ამას მიზეზიც ჰქონდა. მიმომხილველების მტკიცებით, ორივე გუნდი დაცვით ტაქტიკას აირჩევდა და თამაში უსახური გამოდგებოდა. მით უმეტეს, რომ „პარმაც“ და „ანტვერპენიც“ ბოლო დროს შემტევი ფეხბურთით ვერ დაიკვეხნიდნენ. მაგრამ პროგონოზი არ გამართლდა. ორივე გუნდმა ღია, ალალი ბურთაობა გააჩაღა და ეს მატჩი თასთა თასის ისტორიას ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სანახაობად შემორჩა.

მაგრამ სანამ ფინალზე ვიტყოდეთ, გათამაშების რამდენიმე ძირითადი ამბავი გავიხსენოთ. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ 1992-93 წლის სეზონიდან უეფამ ევროთასებზე ახლად დამოუკიდებლობამიღებული ქვეყნების რამდენიმე წარმომადგენელი დაუშვა. თასთა თასს უკრაინის, სლოვენიისა და ისრაელის გუნდები შეემატნენ. მართალია, ისრაელი ახალ ქვეყნებს არ ეკუთვნოდა, მაგრამ ევროსარბიელზე პირველად გამოჩნდა. ქართველებს კიდევ ერთი წლის ლოდინი დასჭირდათ და ისიც, 1993-ში მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონი, თბილისის „დინამო“ შეუშვეს ევროპაში. თასთა თასზე კი ჩვენებმა პირველად 1995 წელს ითამაშეს.



ნახევარფინალი: ანტვერპენი — სპარტაკი. ონოპკო (მარჯვნივ) ტურნირის საუკეთესო მეგოლის (7 ბურთი) ჩერნიატინსკის წინააღმდეგ

სარბიელის არქივიდან

ახლებიდან, ცხადია, თავი არავის გამოუჩენია. ერთადერთი კერკეტი ისრაელური ფეთახ-თიკვას „აპოელი“ გამოდგა, რომელმაც პირველ წრეში დიდი წინააღმდეგობა გაუწია ჰოლანდიურ „ფეიენოორდს“. როტერდამში მასპინძლებმა მხოლოდ ბოლო წუთზე მოახერხეს ებრაელთა დაცვის გატეხვა, „ფეიენოორდი“ უნგრელი კიპრიხის გოლმა გადაარჩინა. გადაარჩინა იმიტომ, რომ შინ „აპოელმა“ 2:1 მოიგო, მაგრამ ორი მატჩის ჯამში ტურნირს გამოეთიშა.

რაც შეეხება ორი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლებს, უკრაინული ოდესის „ჩერნომორეცმა“ საკვალიფიკაციო წრეში ლიხტენშტაინის „ვადუცი“ გაანადგურა საერთო ანგარიშით 12:1 (მაშინდელ „ჩერნომორეცში“ რუსეთის მომავალი ნაკრების წევრები იური ნიკიფოროვი და ილია ციმბალარი თამაშობდნენ), მომდევნო ეტაპზე კი ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან“ დამარცხდა (0:3, 1:0).

მოსკოვის „სპარტაკმა“ კი, რომელიც პირველად ასპარეზობდა რუსეთის სახელით, თავის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ევროსეზონი ჩაატარა. ლუქსემბურგულ „ავენირს“ მოსკოველებმა ინგლისური „ლივერპული“ და ჰოლანდიური „ფეიენოორდი“ მიაყოლეს. ნახევარფინალში კი ბელგიურ „როიალ ანტვერპენს“ დაუპირისპირდნენ და სწორედ ამ რაუნდში მოხდა ტურნირის სკანდალური ისტორია.

პირველ მატჩში მოსკოველებმა შინ პიატნიცკის გოლით 1:0 მოიგეს. ანტვერპენში კი 78-ე წუთისთვის „სპარტაკი“ 1:2-ს აგებდა და საერთო მდგომარეობა მის წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ დროს ბელგიელებმა შეუტიეს, მაგრამ იერიში ჩაიშალა და ბურთი უკვე გვერდით ხაზთან იყო, როცა ყველამ საჯარიმოში წაქცეული ალექს ჩერნიატინსკი დაინახა. მსაჯი ლაინსმენს მიუახლოვდა და პატარა თათბირის შემდეგ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, თანაც მოსკოველთა კაპიტანი ონოპკო მინდვრიდან გააძევა.

რა მოხდა? მოსკოველთა საჯარიმოში მცველი ივანოვი ჩერნიატინსკის გაჩერებას ცდილობდა. ჭიდილში ჩერნიატინსკი წაიქცა, როგორც მერე, ვიდეოფირის განხილვამ უჩვენა, ბელგიელმა ჯარიმა გამოიგონა, ივანოვმაც ეგრე არ უნდაო და ჩერნიატინსკის გვარიანად უთავაზა. მსაჯმა კი მის მაგიერ ონოპკო გააძევა...

პენალტი ზუსტად შეასრულა ლენჰოფმა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

ნამატჩევს ბელგიელთა მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა თქვა: „ვამბობდი, რომ „სპარტაკს“ სუსტი წერტილები აქვს და ჩვენ ეს გამოვიყენეთ. ობიექტურად დღეს მოსკოველები ჩვენზე ძლიერები არიან, მაგრამ ტაქტიკით ვაჯობეთ და შეცდომები თითქმის არ დაგვიშვია“. რუსებმა ჩერნიატინსკის „დიდი მსახიობი“ უწოდეს, მაგრამ ეს მხოლოდ გულის მოსაფხანი სიტყვები იყო და მეტი არაფერი.

„პარმა“ მხოლოდ მეორედ მონაწილეობდა ევროთასებზე. წინა წელს პარმელებმა უეფას თასის პირველივე წრეში წააგეს ბულგარულ ცსკასთან. მეორე ცდაზე კი გადამწყვეტ მატჩში მოხვდნენ. „ანტვერპენი“ კი ევროტურნირებში 1957 წლიდან მონაწილეობდა და როგორც წესი, საწყის ეტაპებზევე ვარდებოდა. ლონდონში ჩასული ბელგიელები სასტუმრო „სანველ ჰაუსში“ მოეწყვნენ. მეუვსის თქმით, გასულ წელს ამ ოტელში „ბარსელონა“ ცხოვრობდა და „უემბლიზე“ ჩემპიონთა თასი მოიგო. ამიტომაც აირჩიეს ეს იღბლიანი ადგილი. თუმცა მეუვსს მიაჩნდა, რომ „პარმას“ გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდა და არც შემცდარა. პირველი წუთიდანვე იტალიელებმა შეუტიეს. ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ბელგიელები სისწრაფეში ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეს. მე-9 წუთზე ალესანდრო მელის თავური მეკარე სტოიანოვიჩმა კუთხურზე გადააგდო. კუთხურს „პარმის“ კაპიტნისა და ლიბეროს, ლორენცო მინოტის აკრობატული ნახტომი და პირველი გოლი მოჰყვა. ორ წუთში ჩერნიატინსკის გადაცემით სევერინსმა გაათანაბრა, მაგრამ ის საღამო იტალიელებისა იყო. მელიმ და კუოგიმ კიდევ ორჯერ გამოატანინეს სტოიანოვიჩს ბურთი კარიდან და თასსაც ღირსეული პატრონი გამოუჩნდა.

„თამაში ისე წარიმართა, როგორც ვვარაუდობდი, მაგრამ როცა მალევე გავხსენით ანგარიში, ცოტა შემეშინდა. მომეჩვენა, რომ წარმატება ძალიან სწრაფად მოვიდა. აკი არც შევმცდარვარ. ჩემი ფეხბურთელების დიდი მადლობელი ვარ. მათ შეძლეს და სიტუაცია თავის სასარგებლოდ შემოატრიალეს. „პარმამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა“ — თქვა ნამატჩევს იტალიელთა მწვრთნელმა ნევიო სკალამ. მოწინააღმდეგის უპირატესობას არც მეუვსი უარყოფდა: „პარმამ“ გვაჯობა, მაგრამ ჩვენ ღირსეულად ვიბრძოლეთ და ამიტომ ფეხბურთელების მიმართ პრეტენზია არ მაქვს“.

ასეთი იყო „პარმას“ პირველი ნაბიჯები ევროსარბიელზე. მერე ამ გუნდმა დიდი სახელი დაიგდო კონტინენტზე და დღეს ყველა პატივისცემით ეპყრობა. 1993-ში კი... „უემბლი“ მხოლოდ მესამედით შეივსო.



სარბიელის არქივიდან

პარმა ზეიმობს. თასების თასით კაპიტანი ლორენცო მინოტი

**წინასწარი წრე** ბრანიკი (სლოვენია) — ჰამრუნ სპარტანსი (მალტა) 4:0, 1:2; სტრომსგოდსეტი (ნორვეგია) — აპოელი (ფეთახ-თიკვა, ისრაელი) 0:2, 0:2; ავენირი (ლუქსემბურგი) — ტორსჰავნი (ფარერები) 1:0, 1:1; ვადუცი (ლიხტენშტაინი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) 0:5, 1:7

**პირველი წრე**

სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — ავენირი 0:0, 5:1; ბრანიკი — ატლეტიკო (ესპანეთი) 0:3, 1:6; ფეიენოორდი (ჰოლანდია) — აპოელი 1:0, 1:2; მეძი (პოლონეთი) — მონაკო (საფრანგეთი) 0:1, 0:0; ტრაბზონსპორი (თურქეთი) — ტურუნ პალოსეურა (ფინეთი) 2:0, 2:2; ბოჰემიანსი (დუბლინი, ირლანდია) — სტიაუა (რუმინეთი) 0:0, 0:4; კარდიფ სიტი (უელსი) — ადმირა ვაკერი (ავსტრია) 1:1, 0:2; პარმა (იტალია) — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) 1:0, 1:1; აიკ (შვედეთი) — ორჰუსი (დანია) 3:3, 1:1; ლივერპული (ინგლისი) — აპოლონი (კვიპროსი) 6:1, 2:1; ლევსკი (ბულგარეთი) — ლიუცერნი (შვეიცარია) 2:1, 0:1; ვერდერი (გერმანია) — ჰანოვერ 96 (გერმანია) 3:1, 1:2; ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ჩერნომორეცი 0:1, 3:0; ვალიური (ისლანდია) — ბოავიშტა (პორტუგალია) 0:0, 0:3; ეირდი (შოტლანდია) — სპარტა (ჩეხოსლოვაკია) 0:1, 1:2; გლენავონი (ჩრდ. ირლანდია) — ანტვერპენი (ბელგია) 1:1, 1:1 პენ 1:3

**მერვედფინალი**

სპარტაკი — ლივერპული 4:2, 2:0; პარმა — ბოავიშტა 0:0, 2:0; ორჰუსი — სტიაუა 3:2, 1:2; მონაკო — ოლიმპიაკოსი 0:1, 0:0; ვერდერი — სპარტა 2:3, 0:1; ტრაბზონსპორი — ატლეტიკო 0:2, 0:0; ადმირა ვაკერი — ანტვერპენი 2:4, 4:3 დ.დ.; ლიუცერნი — ფეიენოორდი 1:0, 1:4

**მეოთხედფინალი**

ფეიენოორდი — სპარტაკი 0:1 (*პიატნიცკი*), 1:3 (*კიპრიხი; კარპინი 2, რადჩენკო*)
სპარტა — პარმა 0:0, 0:2 (*მელი, ასპრილია*)
ოლიმპიაკოსი — ატლეტიკო 1:1 (*ვაცისი; მოია*), 1:3 (*ცალუხიდისი; მანოლო 2, ალფარო*)
ანტვერპენი — სტიაუა 0:0, 1:1 (*ჩერნიატინსკი; დუმიტრესკუ*)

**ნახევარფინალი**

სპარტაკი — ანტვერპენი 1:0 (*პიატნიცკი*), 1:3 (*რადჩენკო; ჩერნიატინსკი, იკოვლევიჩი, ლენჰოფი*)
ატლეტიკო — პარმა 1:2 (*ლუის გარსია; ასპრილია 2*), 1:0 (*სებასი*)

**ფინალი. ლონდონი. 12 მაისი. 37 393 მაყურებელი**

**პარმა 3:1 ანტვერპენი**

1:0 მინოტი (10), 1:1 სევერენსი (12), 2:1 მელი (30), 3:1 კუოგი (84)

პარმა: ბალოტა, ბენარივო, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, გრიუნი, მელი, ძორატო (პინი 26), ოზიო (პიცი 66), კუოგი, ბროლინი
ანტვერპენი: სტოიანოვიჩი, კიკენსი, ბრუკარტი, ტაიმანსი, შმიდტსი, იაკოვლევიჩი (ვან ვეირდეგემი 57), ვან რეტი, სეგერსი, სევერენსი, ლენჰოფი (მუკრიმი 86), ჩერნიატინსკი
მსაჯი: ასენმახერი (გერმანია)

# ფრანგული «ანჟუ» და იტალიური «ჩინზანო»... ვინ — ვის?




გუშინ საღამოს ფრანგებმა ლუჟნიკების მინდორი გასინჯეს

უეფას თასის ფინალური მატჩი იტალიურ „პარმასა“ და ფრანგულ „ოლიმპიკს“ შორის ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მარსელელებმა ერთი მცირე ბრძოლა უკვე წააგეს და ვინ იცის, იქნებ ის მომავალი, უკვე ნამდვილი დამარცხების საწინდარიც გახდეს. ისე არ გამიგოთ, თითქოს „პარმას“ ვგულშემატკივრობდე. უბრალოდ, მოსკოვში ჩამოსვლისა და ჟურნალისტებთან თუ გულშემატკივრებთან საუბრისთანავე ჩემთვის ცხადი გახდა, რომ უეფას თასის იტალიელი ფინალისტი რუსეთის დედაქალაქში აშკარად მეტი სიმპათიებით სარგებლობს.

რაშია საქმე? რად უნდა სწყუროდეთ რუს ფანებს ბეჭებზე დადებული მარსელის „ოლიმპიკის“ ხილვა? არა, ფინალის მასპინძლებს ნაპოლეონის მიერ მოსკოვის გადაწვა სულაც არ გახსენებიათ. ისინი არც იტალიურ ჩინზანოს ანიჭებენ უპირატესობას ფრანგულ ანჟუსთან შედარებით. ნებისმიერ ბარსა თუ რესტორანში შესვლისას, თუნდაც ქუჩაში, ადვილად დარწმუნდებით, რომ აქაურები საკმაოდ კონსერვატიულნი არიან და უწინდებურად ყველაზე მეტად 40-გრადუსიან, ჩვენთვისაც კარგად ნაცნობ სითხეს ეთაყვანებიან. ეს განსაკუთრებით ღამის საათებში იგრძნობა.

საქმე ბევრად უფრო მარტივად არის. უბრალოდ, ჯერ კიდევ შეხვედრამდე კარგა ხნით ადრე „ოლიმპიკმა“ ერთი ამბავი ატეხა. კლუბის ხელმძღვანელებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, მოსკოვში თამაში არასგზით არ გვინდაო და უეფაში რამდენიმე შესაბამისი უსტარიც კი აფრინეს. უეფამ, რომელიც თავის გადაწყვეტილებებს ძალიან იშვიათად ცვლის, ფრანგების პროტესტი ყურად არ იღო, აქეთ რუსეთის საფეხბურთო კავშირის გავლენიანი პრეზიდენტი, ვიაჩესლავ კოლოსკოვი მიდგამოდგა და საბოლოოდ ყველაფერი უწინდელებურად დარჩა. სანაცვლოდ კი, ფრანგებმა გულშემატკივართა აშკარა ანტიპათია, ხოლო იტალიელებმა კეთილგანწყობა დაიმსახურეს.

სხვა მხრივ, ერთი შეხედვით, ქალაქში მატჩის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს ვერ შენიშნავთ, სანამ ლუჟნიკის ახალგარემონტებულ და მართლაც მშვენიერ სტადიონს არ მიადგებით, ან გულშემატკივართა ტრადიციული თავშეყრის ადგილებს არ მოინახულებთ. აქ უდავოდ ფეხბურთის თემა დომინირებს, თორემ მოსკოვისხელა გიგანტისთვის თუნდაც უეფას თასის ფინალური შეხვედრა დიდი ვერაფერი ბედენაა, მით უმეტეს, რომ რუსეთი ჯერჯერობით არც იტალიაა, არც ესპანეთი და ფეხბურთის სიყვარული ჩრდილოელთათვის სისხლში ბოლომდე გამჯდარი მაინც არ არის.

სხვათა შორის, „ოლიმპიკის“ მიერ გამოთქმულმა პროტესტებმა ერთგვარად მატჩის ორგანიზატორებიც შეაშფოთა. ეს უპირველეს ყოვლისა იმაში გამოიხატა, რომ ამ დღეების განმავლობაში წესრიგის დამყარება პირადად მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა ითავა და უნდა ითქვას, დიდი, იქნებ გადამეტებული მონდომებითაც. საპასპორტო რეჟიმი მოსკოვში ისედაც გამკაცრებულია, ამ დღეებში კი საერთოდ წარმოუდგენლად სასტიკი. სხვისი რა გითხრათ და პირადად მე ქუჩაში ფეხით მოძრაობისას 200 მეტრის გავლასაც ვერ ვახერხებ ისე, რომ საგანგებოდ გამოყოფილმა პატრულმა ან პირქუშმა ომონის თანამშრომლებმა არ გამაჩერონ — საბუთებს, ვინაობას, ჩამოსვლის მიზანს შემეკითხებიან და ბოლოს დიდი დამადლებით მიშვებენ. არ არის გამორიცხული, რომ იგივე დღეში ჩავარდნენ შავტუხა იტალიელებიც, რომელთაც წითელ მოედანსა და ძველ არბატზე მრავლად წააწყდებით, ისევე როგორც ფრანგებს. თუმცა გულშემატკივართა მხრიდან სამართალდამცავებს ჯერჯერობით სერიოზული პრობლემები არ შექმნიათ და მათ შორის უბრალო გამოლაპარაკებებს თუ არ ჩავთვლით, ყველაფერი წესრიგშია.

გარდა ამისა, მოსკოვის მერის მიერ გამოცემულია სასტიკი ბრძანება, რომლის თანამხადაც სტადიონისა და გულშემატკივართა თავშეყრის ადგილების მახლობლად ალკოჰოლური სასმელების (ლუდის ჩათვლით) გაყიდვარეალიზაცია სასტიკად იკრძალება, თუმცა არ არის განსაზღვრული, რა იგულისხმება სიტყვაში — „მახლობლად“.

შეხვედრამდე კარგა ხნით ადრე როგორც ერთ, ისე მეორე გუნდის ქომაგებს რვა-რვა ათასი ბილეთი გამოუყვეს და, როგორც საორგანიზაციო ცენტრში განაცხადეს, უკვე თითქმის ყველა ათვისებულია. ასე რომ, სამართლიანობა ამ მხრივაც დაცული იქნება და ორივე ფინალისტს ფანების თანაბარი რაოდენობა უქომაგებს.

ფეხბურთის რუსი სპეციალისტები პროგნოზებისგან თავს იკავებენ, მაგრამ მაინც იგრძნობა, რომ ისინი უპირატესობას იტალიელებს ანიჭებენ. მაგალითად, ამ აზრს იზიარებენ კონსტანტინ ბესკოვი, ვლადიმერ მასლაჩენკო, გიორგი იარცევი, ოლეგ რომანცევი და მრავალი სხვაც. სამაგიეროდ, პოპულარულმა რუსმა იუმორისტმა ვლადიმერ ვინოკურმა, მაპატიეთ და, სულ მთლად გარეკა, როდესაც ერთ-ერთი მოსკოვური მასშტაბის ტელევიზიით გამოსვლისას „ოლიმპიკს“ უპირობო გამარჯვება უწინასწარმეტყველა და თანაც დიდი ანგარიშიც — 3:0!

ორივე გუნდის ფეხბურთელებმა წინასწარ დაიჭირეს თადარიგი და უშუალოდ მატჩის წინა დღეს მოსკოვში ჩამოსვლაზე უარი განაცხადეს, რათა ამით თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი გართულებები, ფეხბურთელების დაღლა და ასე შემდეგ. ფრანგები სიტუაციასთან უკეთ შესაგუებლად სამი დღით ადრეც კი აპირებდნენ ჩამოსვლას, მაგრამ აკლიმატიზაციასთან დაკავშირებული შეუსაბამობების გამო ბოლოს მაინც გადაიფიქრეს. ამასთან დაკავშირებით, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გაიხუმრა, ჯერ საერთოდ ჩამოსვლა არ უნდოდათ და ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს, ახლა კი სამი დღით ადრე გვიპირებენ სტუმრობას და ვგონებ, აქ ისე მოეწონოთ, უკან გაბრუნებაზე საერთოდ უარი თქვანო.

მოსკოვში დარჩენაზე რა მოგახსენოთ და სამშობლოში დაბრუნებას ორივე გუნდი რომ საპატიო ჯილდოთი არჩევდა, ეს ხომ უეჭველია. მე მოვახერხე, აეროპორტში დავხვედროდი როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ფეხბურთელებს და უნდა მოგახსენოთ, რომ იტალიელები თავის მოწინააღმდეგეზე გაცილებით ყოჩაღად და ცოცხლად გამოიყურებოდნენ. მართალია, დროის დეფიციტის გამო ჟურნალისტებმა ვერც იტალიელებთან თუ ფრანგებთან ვრცლად გასაუბრება ვერ მოახერხეს, მაგრამ პარმელებმა მაინც გაიმეტეს ორიოდე სიტყვა. მათი თავკაცი, ალბერტო მალეზანი ჩვეულებრისამებრ, მეტად დიპლომატიური იყო და ზედმეტის დაცდენის შიშით კითხვებზე მშრალად და თავშეკავებულად პასუხობდა.

**— როგორია თქვენეული პროგნოზი?**

— ნებისმიერი შეხვედრისთვის და მით უმეტეს უეფას თასის ფინალისთვის, პროგნოზის გაკეთება ძალიან რთულია. მაგრამ მიუხედავად ამისა, მწამს ჩვენი ძალებისა და ვიმედოვნებ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

**— რაიმე პრობლემები ხომ არ გაწუხებთ სადღეისოდ?**

— ყველაფერი კარგად არის. გუნდი ბრძოლისთვის მზად გახლავთ.

**— „პარმა“ შეუტევს, თუ უფრო ფრთხილ ტაქტიკას აირჩევს?**

—ეს შემადგენლობაზე იქნება დამოკიდებული, ხოლო ვინ გამოვა სასტარტო შემადგენლობაში, ჯერ თვითონაც არ ვიცი.

უფრო თამამი იყო „პარმას“ არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო, რომელიც მშვენიერ ხასიათზე გახლდათ.

— ჩემი მოვალეობა ბურთების გატანაა და დიდი იმედი მაქვს, რომ ამას ლუჟნიკებზეც მოვახერხებ. რაც არ უნდა იყოს, წინ დიდი მატჩი გველის და აქ თავის გამოჩენა ჩინებული იქნებოდა.

**— მეტოქეთა მცველები ფხიზლად გიდარაჯებენ.**

— ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. არა მგონია, საფრანგეთში იტალიაზე უფრო მჭიდრო ფეხბურთს თამაშობდნენ. ჩემს სამუშაოს ჩვეულებრივ შევასრულებ.

**— რამდენი გოლის გატანას აპირებთ?**

კრესპოს პასუხი აღარ გაუცია. მან გაიღიმა, მშვიდად მიაშურა ავტობუსს და სავარძელში მოთავსდა. თუმცა შემდეგ გამოგვხედა და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ჯერ მკერდზე მიიდო, ხოლო შემდეგ ორი თითი ჰაერში შემართა, ორ გოლს გავიტანო და კვლავ უდრტვინველი გამომეტყველება მიიღო.

საკმაოდ დაბნეულმა „მარსელის“ ფეხბურთელებმა კი ორიოდე სიტყვა ძლივს გაიმეტეს. ვერ მოგახსენებთ, რა იყო მათი უხასიათობის მიზეზი, მაგრამ ისე მომეჩვენა, რომ ყოველ მათგანს, დაწყებული პრეზიდენტიდან, დამთავრებული მასაჟისტით, ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. ძნელი სათქმელია, რამდენად შეუწყობს ხელს ფინალური მატჩის წინ ასეთი განწყობა მარსელელებს, თუმცა ფინალამდე, ამინდივით, შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს.

მართლა, ორიოდ სიტყვის თქმა არც ამინდზე იქნებოდა ზედმეტი. როგორც აქ მითხრეს, სულ რამდენიმე დღის წინ მოსკოვში საშინლად აცივდა და საღამოს თერმომეტრის მაჩვენებელმა -7 გრადუსამდეც კი დაიწია, რამაც მატჩის ორგანიზატორები და გულშემატკივრები კარგა გვარიანად შეაშფოთა, მაგრამ შემდეგ გამოიდარა, შედარებით დათბა კიდეც და ამჟამად თუ იდეალური არა, ყოველ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად სათამაშო ამინდია.

და კიდევ, ჩემს მიერ მოპოვებული უკანასკნელი ინფორმაციით, უეფას თასის დღევანდელი ფინალი, წაგების შემთხვევაში შეიძლება „პარმას“ დაშლის დასაწყისად იქცეს, რადგან იტალიელი ფეხბურთელების განცხადებით, მათმა საკმაოდ მოზრდილმა და მოწინავე ნაწილმა დამარცხების შემდეგ იქნებ კლუბიც მიატოვოს, რაც პარმას პოზიციებს საგრძნობლად შეარყევს. ასე რომ, ეს ფინალი იტალიელთათვის ორმაგად მნიშვნელოვანი გახლავთ.

**ვახტანგ ბოლოთაშვილი**
**მოსკოვიდან**
**საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეა“**
**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**

## ფაქტები. ფაქტები...

UEFA CUP

„პარმა“ რვა წლის განმავლობაში მეოთხედაა ევროთასების ფინალში. უკეთესი დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე 1950-იან წლებში მადრიდის „რეალს“ ჰქონდა.

„პარმა“ გახლავთ მე-19 გუნდი, რომელსაც ოთხ ევროპულ ფინალში ექნება ნათამაშევი.

„პარმას“ წინა ფინალები: 1993 წელი. თასების თასი. „ანტვერპენი“ — 3:1.

1994 წელი. თასების თასი. „არსენალი“ — 0:1.

1995 წელი. უეფას თასი. „იუვენტუსი“ — 1:0, 1:1.

„პარმამ მიმდინარე გათამაშებაში 10 მატჩიდან მხოლოდ ორში არ გაუშვა გოლი.

„პარმას“ რუსეთის და ყოფილი საბჭოთა კავშირის სტადიონებზე ადრე არასდროს უთამაშია.

„პარმამ“ უეფას თასზე ბოლო საშინაო 12 თამაში მოიგო.

„მარსელს“ უეფას თასზე, შინ და სტუმრად, 11 თამაშია მარცხი არ უნვნევია. ბოლოს, გასული სეზონის მეთექვსმეტედფინალში, შვეიცარიაში „სიონთან“ წააგო 0:2.

„მარსელი“ გახლავთ პირველი ფრანგული გუნდი, რომელსაც ხვალიდან სამ ევროფინალში ექნება ნათამაშევი.

„მარსელის“ წინა ფინალები: 1991 წელი. ჩემპიონთა თასი. „ცრვენა ზვეზდა“ — 0:0 (4:5 პენალტებით)

1993 წელი. ჩემპიონთა თასი. „მილანი“ 1:0

„მარსელი“ გახლავთ 26-ე გუნდი, რომელიც მესამე ევროფინალს ითამაშებს.

უეფას შეჯიბრებათაგან უეფას თასი მართალია ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ თუ მის წინამორბედს, ბაზრობათა თასსაც დავამატებთ, მაშინ პირიქით, ყველაზე ხანდაზმული გამოდის. ბაზრობათა თასის პირველი შეხვედრა 1955 წლის 4 ივნისს გაიმართა. ლონდონის გუნდმა 5:0 მოუგო შვეიცარიული ბაზელის გუნდს. ბაზრობათა თასმა 1971 წელს შეწყვიტა არსებობა, მაგრამ საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ პირველი გათამაშება, რომელიც, როგორც მოგახსენეთ 1955 წლის 4 ივნისს დაიწყო, 1958 წელს დასრულდა. ფინალში ბარსელონის გუნდმა ლონდონის გუნდს 8:2 მოუგო.

1971 წელს, ბაზრობათა თასის ბოლო გამარჯვებული გახლდათ „ლიდს იუნაიტედი“. ფინალში მან „იუვენტუსს“ მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი მეტი გოლის წესით აჯობა. ორი მატჩის ჯამში ანგარიში 3:3 იყო.

1972 წელს, უკვე უეფას თასს ჰყავდა პირველი გამარჯვებული. იგი გახლდათ „ტოტენჰემ ჰოთსპური“, რომელმაც ფინალში ასევე ინგლისურ გუნდს, „ვულვერჰემპტონ უონდერერზს“ მოუგო 3:2.

ბაზრობათა თასის ბოლო და უეფას თასის პირველ წლებში ყველას ინგლისური გუნდები სჯობდნენ.

იტალიურ კლუბთა ბატონობა ბოლო წლებში დაიწყო: „ნაპოლი“ (1989), „იუვენტუსი“ (1990), „ინტერი“ (1991), „იუვენტუსი“ (1993), „ინტერი“ (1994), „პარმა“ (1995), „ინტერი“ (1998).

ბოლო 11 წელიწადში ოთხჯერ, ფინალში ერთმანეთს იტალიური გუნდები დაუპირისპირდნენ. 1990: იუვენტუსი-ფიორენტინა; 1991: ინტერი-რომა; 1995: პარმა-იუვენტუსი; 1998: ინტერი-ლაციო.

მადრიდის „რეალი“ ერთადერთი გუნდია, რომელიც ორჯერ ზედიზედ, 1985, და 1986 წლებში მოიპოვა უეფას თასი.

1995 წელს უეფამ საკვალიფიკაციო შეჯიბრებად ინტერტოტოს თასის გათამაშება შემოიღო და „ბორდომ“, რომელმაც სწორედ ამ გათამაშებიდან დაიწყო ასპარეზობა. 1996 წლის მაისში, ფინალში, „ბაიერნთანლა“ წააგო.

უეფას თასის მფლობელი სამჯერ პენალტების სერიამ გამოავლინა. 1984 წელს „ტოტენჰემმა“ „ანდერლეხტს“ ჯამური 2:2-ის მერე 4:3 მოუგო. 1988 წელს „ლევერკუზენმა“ და „ესპანიოლმა“ ჯამური 3:3-ის მერე პენალტებით გაარკვიეს, რომ თასი გერმანული გუნდისაა (3:2), ხოლო 1997 წელს „შალკემ“ ჯამური 1:1-ის მერე „ინტერს“ აჯობა 4:1.

# მასპინძელი

მოსკოვის „ლუჟნიკი“, უეფას თასის დღევანდელი ფინალის მასპინძელი, ოფიციალურად ხუთვარსკვლავიანია, მაგრამ გვარიანი ნერვიულობის საბაბსაც წარმოადგენს: რა დღეში იქნება ამ საღამოს მოედანი?

ბოლო 40 წლის განმავლობაში ამ სარბიელზე მრავალი შეჯიბრება ჩატარებულა, რაც თავისთავად დიდებულია, თუმცა არსებობს პრობლემაც: „ლუჟნიკის“ საფარი, რომელიც 18 თვეში მესამედ შეცვალეს.

სტადიონის რეკონსტრუქცია 1996 წელს დაიწყო. ნაგებობა შიგნით თუ გარეთ მოდური არქიტექტურის მრავალი კომპონენტით მოიკაზმა, მაგრამ მუშებს ნიადაგისთვის არ მიუქცევიათ ყურადღება — მოედანი, რომელიც თითქმის 200 ათასი დოლარი ღირს, ახალი, ლამის დარბაზისეული გადახურვის გამო კინაღამ გაჩანაგდა. 1997 წლის ოქტომბერში, წვიმაში გამართული რუსეთ-ბულგარეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშის შემდეგ იგი მეტისმეტად იყო შელანძღული.

გასულ ზაფხულს რუსებმა ხელახლა გაიღეს 200 ათასი დოლარი, რათა „ლუჟნიკი“ მზად შეხვედროდა მოსკოვის ამბიციური მერიის, იური ლუჟკოვის ახალ პროექტს, ახალგაზრდობის მსოფლიო თამაშებს, რომელიც ივნისში დიდი ზარ-ზეიმით გაიხსნა.

და უკვე გახსნის ცერემონიალის შემდეგ მასპინძლებს მორიგი 100 ათასის გაღება მოუხდათ. ამჯერად მინდორმა უფრო დიდ ხანს, ხუთ მატჩს გაუძლო, მერე კი სარბიელი დაიხურა. ეს სრულიად ბუნებრივი გახლდათ. დღევანდელი ფინალის წინ გარისკვა აღარავის სურდა.

მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ამ საღამოს იტალიელი და ფრანგი მოთამაშეები განსხვავებას იგრძნობენ, როდესაც ამ სეზონში პირველად გათელავენ „ლუჟნიკის“ მინდორს. ეს იქნება რუსულ მიწაზე გამართული პირველი დიდი ევროპული ფინალი.

1956 წლის ბოლოს აგებული სტადიონი 1980 წლის ოლიმპიადის ძირითადი სარბიელი გახლდათ, მაგრამ 40 წლიანი ექსპლოატაციის შემდეგ ნაგებობას კაპიტალური რემონტი დასჭირდა — ხის სკამები პლასტიკურით შეიცვალა, რამაც ტევადობა 103 ათასიდან 83 ათასამდე შეამცირა.

რეკონსტრუქცია, რომელიც 200 მილიონი დოლარი დაჯდა, სამი წლის წინ დაიწყო და 1994 წელს, მოსკოვის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის წინ დასრულდა. დღეს ჩვენს წინაშეა ხუთვარსკვლავიანი შენობა დიდებული ჭერით, რომელიც ყველა ტრიბუნას ფარავს, ჩინებული პრეს-ცენტრით, საუცხოო აუზებითა და უმაღლესი ტექნოლოგიის რადიოფიცირებით.

იანვარში, „ლუჟნიკზე“ ვიზიტის დროს ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმა ბრძანა:

„ეს ბრწყინვალე სტადიონია. ალბათ მისი ბადალი მსოფლიოში ბევრი არც არის“.

ახლა, ჩინოვნიკები მოედნისთვის ლოცულობენ.

**გენადი ფიოდოროვი,**
**როიტერი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# PARMA AC

პარმა (იტალია)
დაარსდა 1913 წელს
პრეზიდენტი: სტეფანო ტანცი
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
სტადიონი: „ენიო ტარდინი" (ტევადობა 29 048)
იტალიის თასის მფლობელი (2): 1992, 99
ევროპის თასების თასის მფლობელი (1): 1993
ფინალისტი (1): 1994
უეფას თასის მფლობელი (1): 1995
ევროპის სუპერთასის მფლობელი (1): 1994

**«პარმა» ფრანგული გუნდების წინააღმდეგ:**
**1995-96 თასების თასი «პარი სენ ჟერმენი» 1:0. 1:3:**
**1998-99 უეფას თასი «ბორდო» 1:2. 6:0**

## 1998-99 გზა ფინალისკენ (+ 6 – 2 = 2 22:10)

1/32 ფინალი

**ფენერბაჰჩე 1:0 პარმა**
1:0 მოლდოვანი (23)

**პარმა 3:1 ფენერბაჰჩე**
1:0 საფეტი (23ს.კ.), 2:0 კრესპო (45), 2:1 ბალიჩი (59), 3:1 ბოგოსიანი (73)

1/16 ფინალი

**ვისლა 1:1 პარმა**
0:1 კიეზა (2), 1:1 კულავიკი (68)

**პარმა 2:1 ვისლა**
1:0 ფიორე (21), 2:0 ზაიაცი (44 ს.კ.), 2:1 ზაიაცი (90)

1/8 ფინალი

**რეინჯერსი 1:1 პარმა**
0:1 ბალბო (51), 1:1 უოლესი (68)

**პარმა 3:1 რეინჯერსი**
0:1 ალბერტცი (29), 1:1 ბალბო (48), 2:1 ფიორე (63), 3:1 კიეზა (68პ)

1/4 ფინალი

**ბორდო 2:1 პარმა**
1:0 მიკუ (40), 2:0 ვილტორდი (44), 2:1 კრესპო (85)

**პარმა 6:0 ბორდო**
1:0 კრესპო (37), 2:0 კიეზა (43), 3:0 ვერონი (48), 4:0 კიეზა (59), 5:0 კრესპო (66), 6:0 ბალბო (89პ)

1/2 ფინალი

**ატლეტიკო 1:3 პარმა**
0:1 კიეზა (13), 1:1 ჟუნინიო (29პ), 1:2 კიეზა (40), 1:3 კრესპო (61)

**პარმა 2:1 ატლეტიკო**
1:0 ბალბო (35), 1:1 რობერტო (64), 2:1 კიეზა (82)

*ენრიკო კიეზა — 7; ერნან კრესპო — 5; აბელ ბალბო — 4; სტეფანო ფიორე — 2; ალენ ბოგოსიანი, ხუან ვერონი — 1; ორი ავტოგოლი*



სარბიელის არქივიდან

მეოთხედფინალი. ბორდო — პარმა 2:1. ვილტორდის ამ გოლმა ფრანგები 2:0 დააწინაურა, თუმცა ეს მათი ბოლო წარმატება გამოდგა

# დიდებული ხეიბრები მოსკოვში



REUTERS მოსკოვიდან

პარმელი ფრანგები ბოგოსიანი (მარცხნივ) და ტურამი თანამემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებიან

„პარმამ" გასულ კვირაში იტალიის თასი მოიპოვა, დღეს კი უეფას თასის მოგებას შეეცდება. საამისოდ გუნდს, რომელიც ამ ათი წლის წინ ჯერ კიდევ სერია B-ში თამაშობდა, ფრანგული „მარსელის" დამარცხება მოუწევს.

მართალია წამყვან ფეხბურთელებს ტრავმები აწუხებთ, მაგრამ „პარმა" მაინც კარგ ფორმაშია და ბევრის აზრით დღევანდელ შეხვედრაში ფავორიტად სწორედ ის უნდა მივიჩნიოთ. თუ გაიმარჯვებს, მილანის შორიახლოს მდებარე პატარა ქალაქის კლუბს ბოლო ექვს წელიწადში ევროპული ტრიუმფის მესამე ღამე დაუდგება. შეგახსენებთ, პარმელებმა 1993 წელს თასების თასი მოიპოვეს, ხოლო 1995-ში უეფას თასი.

ბოლო ჯილდოს მეორედ ალმართვა „პარმას" თავმოყვარეობას დაუკმაყოფილებს. საქმე ის გახლავთ, რომ ოთხი წელიწადია გუნდი ყველა ღონეს ხმარობს, რათა იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვოს და უმთავრეს მიზნადაც სწორედ ეს აქვს დასახული, მაგრამ ქვეყნის დიდი კლუბების დაჩრდილვა ვერა და ვერ მოახერხა, რითაც, ცოტა არ იყოს, გალიზიანებულიც კია.

„მართალი ბრძანებაა. გულდაწყვეტის საბაბი გვაქვს, რადგან სეზონის განმავლობაში ჩვენზე სუსტ გუნდებთან საკმაოდ ბევრი ქულა დავკარგეთ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი შეცდომების ავან-ჩავანი ვიცით და ვცდილობთ სწორი დასკვნები გავაკეთოთ" — ბრძანებს „პარმას" მწვრთნელი ალბერტო მალეზანი.

სხვათაშორის, მალეზანი მხოლოდ და მხოლოდ მეორე სეზონია, რაც სერია A-ში მუშაობს, მაგრამ უკვე შედგომია წარმატებათა თვლას. დღეს იგი ამბობს, რომ ყველაზე მეტად ფეხბურთელების ჯანმრთელობა ადარდებს, თუმცა „ლუჟნიკებზე" მაინც მოახერხებს უძლიერესი შემადგენლობის გაყვანას.

მალეზანის განკარგულებაში არ იქნება ბოლოხანს საკმაოდ კარგად მოთამაშე ხორვატი მარიო სტანიჩი, რომელსაც გასულ შაბათს „ინტერის" კარში გოლის გატანისას კუნთი დაეჭიმა. სამაგიეროდ შემადგენლობას დაუბრუნდებიან იტალიის ნაკრების ფორვარდი ენრიკო კიეზა და არგენტინის ნაკრების ფორვარდი ერნან კრესპო. კიეზას კუნთი ტკიოდა, კრესპოს ზურგი და ამიტომ „ინტერთან" ხსენებული შეხვედრა გამოტოვეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ ამ საღამოს მათ მოედანზე ვიხილავთ.

კიეზასა და კრესპოს წყვილი „პარმასთვის" ძალიან მნიშვნელოვანია. არგენტინელი, რომელმაც იტალიის თასის ფინალის საპასუხო შეხვედრაში „ფიორენტინას" ლამაზი გოლი გაუტანა უპირატესად სწორედ კიეზას პასების წყალობით გახლავთ მიმდინარე სეზონში, (ჩემპიონატსა და თასზე), 27 გოლის ავტორი.

მუხლი ტკივა კრესპოს თანამემამულეს, გამთამაშებელ ხუან სებასტიან ვერონს. „ინტერთან" შეხვედრა ვერონმაც გამოტოვა, მაგრამ „ლუჟნიკზე" ამ არგენტინელს ვიხილავთ.

მალეზანი გვპირდება, რომ დღეს სათადარიგოთა სკამზე კოლუმბიელი ფაუსტინო ასპრილიაც გამოჩნდება. ასპრილია ხომ მიმდინარე სეზონში სათადარიგოთა სკამზეც იშვიათად ხვდებოდა, მაგრამ „ინტერის" წინააღმდეგ მოედანზე იყო და ერთი გოლი გაიტანა, ხოლო მეორე თანაგუნდელს გაატანინა. ასე, რომ...

„მარსელთან მატჩი ასპრილიასთვის უმნიშვნელოვანესი გახლავთ. ჩვენთვის კი თავად კოლუმბიელი არის და ყოველთვის იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. ვინ იცის, რა როლს ითამაშებს ის უეფას თასის ბედის გადაწყვეტაში" — განაცხადა მალეზანიმ.

„პარმას" ნახევარდაცვა შუაში ვეტერანებით, დინო ბაჯოთი და ფრანგი ალენ ბოგოსიანით, ფრთებზე კი დიეგო ფუზერით და ახალწვეული პაოლო ვანოლით იქნება გამაგრებული. დაცვაში ცენტრალურ საქმეს მრავალნაცადი არგენტინელი ნესტორ სენსინი შეასრულებს, რომელსაც აქეთ-იქით ფრანგი ლილიან ტურამი და ფაბიო კანავარო გაუმაგრებენ მხარს.

დღევანდელ შეხვედრას პარმელები ორი წარმატებით ხვდებიან. პირველი გახლავთ ზუსტად ერთი კვირის წინანდელი მატჩი „ფიორენტინასთან", რომელიც მართალია ფრედ დასრულდა, მაგრამ გუნდს ეროვნული თასი მოუტანა, მეორე კი ჩემპიონატის მატჩი „სან სიროზე", „ინტერის" წინააღმდეგ (3:1), რომელიც უკვე მრავალჯერ ვახსენეთ და იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ „პარმამ" ფაქტობრივად გაინაღდა ადგილი ოთხეულში, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ იგი მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

*სავარაუდო შემადგენლობა:* ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ვანოლი, ბოგოსიანი, დ. ბაჯო, ფუზერი, ვერონი, კიეზა, კრესპო.

**როიტერი**

## მეკარე

ჯანლუიჯი ბუფონი. 21 წლის. შთამომავლობით მეკარე (მამამისიც პროფესიონალი მეკარე გახლდათ) პარმის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. სერია A-ში დებიუტი 17 წლისას ჰქონდა, „მილანის" წინააღმდეგ. 1997 წელს პირველად ათამაშეს იტალიის ნაკრებში. მაღალია, აქვს საუცხოო რეაქცია.

## მცველები

ანტონიო ბენარივო. 30 წლის. იტალიის ნაკრების ყოფილი წევრი. ხშირად ერთვება შეტევაში, რამაც „პარმას" მწვრთნელს, ალბერტო მალეზანის მისი ნახევარმცველად გამოყენების აზრი მიაწოდა. ბენარივო გახლდათ იმ შემადგენლობის წევრი, რომელმაც 1995 წელს უეფას თასი მოიპოვა. კარიერა „ბრინდიზიში" დაიწყო, მერე „პადოვაშიც" გამოდიოდა. ბოლო რვა წელიწადია, „პარმაში" თამაშობს.

ფაბიო კანავარო. 25 წლის. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების საუკეთესო მცველად აღიარეს. მშობლიური „ნაპოლიდან" „პარმაში" 1995 წელს გადავიდა. ცენტრალური მცველია, რომელსაც მართალია სიმაღლე აკლია, მაგრამ ნაკლს ჟინიანი ორთაბრძოლებით ინაზღაურებს. ამ თვისების გამო კანავაროს უპირატესად პერსონალური მეურვეობისთვის იყენებენ. ჩინებულად თანამშრომლობს ფრანგ ლილიან ტურამთან.

რობერტო მუსი. 35 წლის. იტალიის ნაკრების ყოფილმა წევრმა კარიერა 80-იანი წლების შუაში დაიწყო, როდესაც „პარმა" ჯერ კიდევ სერია C-ს უცნობი გუნდი იყო. 1987-89 წლებში თამაშობდა არიგო საკის დროინდელ დიდ „მილანში", საიდანაც დროებით „ტორინოში" გადავიდა, იქიდან კი მშობლიურ „პარმას" დაუბრუნდა. ბოლო ხანს, სათადარიგოთა სკამზეა.

ლუიჯი სარტორი. 24 წლის. ამ ცენტრალურმა მცველმა წინა სეზონი „ინტერში" გაატარა, სადაც კარგად ითამაშა. ალსანიშნავია, რომ ეს მისი პირველი სეზონი გახლდათ მილანურ კლუბში, ზაფხულზე „პარმას" მიაშურა. ახალ გუნდში სარტორი უპირატესად სათადარიგოა. სერია A-ში დებიუტი 18 წლისას „იუვენტუსის" შემადგენლობაში ჰქონდა, მაგრამ ტურინში ფეხი ვერ მოიკიდა. 1997 წელს „ვიჩენცასთან" ერთად ეროვნული თასი მოიპოვა.

ლილიან ტურამი. 27 წლის. „პარმაში" 1996 წელს გადავიდა. მანამდე ექვსი წლის მანძილზე „მონაკოში" გამოდიოდა. დღეს სერია A-ს უძლიერეს მცველადაა აღიარებული. მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატზე დიდებულად ითამაშა, ხოლო ნახევარფინალში ხორვატებს ორი გოლი გაუტანა.

პაოლო ვანოლი. 26 წლის. „ვერონადან" სეზონის წინ გადავიდა „პარმაში", სადაც უფრო ნახევარდაცვისკენ უწევს გული. კარიერა მშობლიურ „ვარეზეში" დაიწყო. მერე თამაშობდა „ვენეციაში", საიდანაც 1995 წელს „ვერონაში" გადავიდა.

ნესტორ სენსინი. 32 წლის. თავიდან სამშობლოში, არგენტინაში, „ნიუელს ოლდ ბოიზში" თამაშობდა, სადაც სამი წელიწადი გაატარა, 1989 წელს კი ოკეანე გადმოლახა და იტალიაში, „უდინეზეში" განაგრძო კარიერა. 1993 წელს „პარმაში" გადავიდა, სადაც 1994 წელს ევროპის სუპერთასი მოიგო, 1995 წელს კი უეფას თასი. მალეზანიმ სენსინი ნახევარდაცვიდან დაცვაში გადაიყვანა (დააბრუნა). მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების ღირსებას იცავდა.

## ნახევარმცველები

დინო ბაჯო. 27 წლის. 1993 წლის მერე იტალიის ნაკრების უცვლელი წევრია. „პარმაში" „იუვენტუსიდან" 1994 წელს გადავიდა და 1995 წელს, უეფას თასის ფინალში, სწორედ „იუვენტუსს" გაუტანა ორ თამაშში ორი გოლი, რომელთა წყალობით გუნდმა თასი მოიპოვა. კარიერა „ტორინოში" დაიწყო, მერე, ერთი სეზონი „ინტერში" გაატარა, მაგრამ ფრიად უგემურად. ბაჯოს დახასიათებისას ხშირად ამბობენ, შრომის მანიითაა შეპყრობილიო.

ალენ ბოგოსიანი. 28 წლის. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების წევრი, ყოფილი მარსელელი, იტალიაში 1994 წელს ჩავიდა და „ნაპოლიში" დაიწყო თამაში. მერე გენუის „სამპდორიაში" იყო, შარშან კი „პარმაში" გადავიდა. სხვათა შორის, „იუვენტუსსაც" სურდა მისი შეძენა.

სტეფანო ფიორე. 24 წლის. ნიჭიერი გამთამაშებელია. თავიდან „პარმაში" თამაშობდა, მერე „პადოვასა" და „კიევოში", სადაც მალეზანიმ გაიცნო და ისევ „პარმაში" ამოაყოფინა თავი.

დიეგო ფუზერი. 30 წლის. გასულ ზაფხულს „ლაციოდან" გადავიდა „პარმაში". თავიდან „ტორინოში" თამაშობდა, მერე — „მილანში". მარჯვენა ფეხით უბადლო დარტყმების წყალობით სერია A-ში 50-ზე მეტი გოლი აქვს გატანილი: იტალიის ნაკრების წევრია.

ხუან სებასტიან ვერონი. 24 წლის. არგენტინელი ფეხბურთელის, ხუან ვერონის ვაჟია. მამამისი 70-იან წლებში „ესტუდიანტესში" თამაშის დროს სამჯერ იყო საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში. ხუან უმცროსი ჯერ მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში" იყო, მერე იტალიაში გადავიდა და ორი სეზონი „სამპდორიაში" გაატარა. მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა.

## თავდამსხმელები

ფაუსტინო ასპრილია. 29 წლის. „პარმაში" 90-იანი წლების დასაწყისშიც გამოდიოდა და სწორედ მაშინ დაიგდო სახელი. კოლუმბიელი ფორვარდი ერთი ხანობა „ნიუკასლში" გადავიდა, მაგრამ ისევ იტალიას დაუბრუნდა.

აბელ ბალბო 32 წლის. არგენტინელი ვეტერანი „პარმაში" „რომადან" გასულ ზაფხულს გადავიდა. იტალიაში, „უდინეზეში", 1989 წელს დამკვიდრდა, მანამდე კი სამშობლოში, „ნიუელ ოლდ ბოიზსა" და „რივერ პლეიტში" თამაშობდა. „რომა" მწვრთნელთან, ზდენეკ ზემანთან კონფლიქტის გამო დატოვა.

ენრიკო კიეზა. 28 წლის. სწრაფი, კარში ჩინებულად დამრტყმელი ფორვარდია. იანვარში რომ არ დაშავებულიყო, საუცხოო სეზონს ატარებდა. სერია A-ში 1989 წელს გამოჩნდა, მაგრამ მერე რამდენიმე სეზონი ქვედა ლიგებში გაატარა. 1995-96 წლებში „სამპდორიას" შემადგენლობაში 22 გოლი გაიტანა და იყიდა კიდეც „პარმამ" 15 მილიონ დოლარად.

ერნან კრესპო. 23 წლის. არგენტინელი ფორვარდი „რივერ პლეიტიდან" 1996 წელს გადავიდა „პარმაში". კიეზასთან საუცხოოდ თანამშრომლობს.



„მარსელის“ ფეხბურთელები მოსკოვის კრემლის ფონზე

# ისინი გვპირდებიან, რომ დამარცხდებიან

განა ბევრი იქნება „მარსელსავით“ აღმა-დაღმა მრბოლი კლუბი? გავიხსენოთ, ერთი, რა ბედი დატრიალდა საფრანგეთის „ძველი პორტის“ გუნდის თავს 90-იან წლებში.

მარსელელებმა ყველაფერი გამოცადეს: 1993 წელს, ჩემპიონთა თასის მოპოვებით განცდილი სიხარული და 1994 წელს, მეორე დივიზიონში გაგდების სიმწარე, გამარჯვება და მექრთამეობის სკანდალი. ახლა კი, ათწლეულის ბოლოს, გუნდს საუცხოო შანსი აქვს ხელი საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულითა და უეფას თასით დაიმშვენოს.

და თუ ასე მოხდა, თუ „მარსელმა“ ამ საღამოს უეფას თასი აღმართა, 90-იანი წლების შუა პერიოდის შავი დღეები ისტორიას ჩაბარდება შიგადაშიგ მოსაგონებლად.

ჯერჯერობით კი „მარსელი“ არც უეფას თასის მფლობელია და არც საფრანგეთის ჩემპიონი. პირველ შეჯიბრებაში მას ამ საღამოს ბოლო შეხვედრა ელის, ხოლო მეორეში „ბორდოსთან“ უშეღავათო ბრძოლაშია ჩათრეული.

დღეს, „ლუჟნიკზე“ მარსელელებს მნიშვნელოვნად აქვთ ხელ-ფეხი შეკრული. მოგეხსენებათ მათი ძირითადი შემადგენლობიდან ოთხი მოთამაშე, კრისტოფ დიუგარი, ფაბრიციო რავანელი, პეტერ ლუქსენი და უილიამ გალა დისკვალიფიცირებულნი არიან. დისკვალიფიცირებულია კიდევ ერთი ფეხბურთელი, ამადა ჟამბეი, მაგრამ ის სათადარიგო შემადგენლობიდანაა და ამდენად დიდ დანაკლისად მაინც არ უნდა ჩაითვალოს. ჩამოთვლილ ოთხეულსა და ჟამბეის შორის კიდევ ის განსხვავებაა, რომ ოთხეული დღეს მოსკოვშია, რათა თუნდაც ტრიბუნიდან დაუჭიროს მხარი მეგობრებს, ჟამბეი კი მარსელში დარჩა — მისი მეუღლე დღე-დღეზე შვილს ელოდება.

არის დამატებითი პრობლემაც: დაშავებულია ნახევარმცველი ერიკ რუა.

„ჩემს განკარგულებაში მხოლოდ 12 ფეხბურთელია“ — ხელებს შლის „მარსელის“ მწვრთნელი როლან კურბისი, „ძველი პორტის“ ღირსების აღმდგენი მწვრთნელი. მას დიდი არჩევანი არ აქვს, იძულებულია გუნდისთვის ასე უჩვეულო 5-4-1 სქემას შეურჩიოს ტაქტიკა.

ის ერთადერთი თავდამსხმელი ფლორიან მორისი იქნება. სათადარიგო ფორვარდად ტიტი კამარა უნდა ვიგულოთ. კურბისი ამბობს, რომ ნახევარმცველი ჟოსლინ გურვენეკი, რომელიც სეზონის უმეტესი დროის განმავლობაში რეზერვში ჰყავდა, უეჭველად იქნება მოედანზე, ხოლო მასთან ერთად ყოფილი გუნდის, „პარმას“ დამარცხებას ვეტერანი დანიელ ბრავო შეეცდება.

აღსანიშნავია, რომ „მარსელი“ ფინალამდე, დაუმარცხებლად მივიდა. ეს, თითქოს საამაყო და იმედის მომცემი უნდა იყოს, მაგრამ...

„პარმასთან ასიდან ერთი შანსი გვაქვს“ — განაცხადა მცველმა პატრიკ ბლონდომ, რომელსაც იქნებ პირიქით თქმა უფრო მოხდენოდა. ასეა თუ ისე, სპორტსმენს პესიმიზმი არ შეშვენის.

და მაინც, ბლონდო ხავსს ეჭიდება: „თუმცა, რა ვიცი. წინა კვირაში, ჩვენი და „პარი სენ ჟერმენის“ თამაშის წინაც ასე ამბობდნენ, ასი ერთზეაო, მაგრამ გამოვიდნენ პარიზელები და შვიდ წუთში ორი გოლი გაგვიტანეს. 1:2 წავაგეთ.“

„პარმა“ კარგ ფორმაშია, ბოლო შეხვედრებში გაიმარჯვა, „მარსელი“ კი, აკი ბლონდომაც გვითხრა, „პარი სენ ჟერმენთან“ დამარცხდა. თანაც, 1:0-ს იგებდა, როცა მარკო სიმონესა და ბრუნო როდრიგესის დარტყმები გაუშვა.

„პარმა“, გასულ შაბათს, მილანში „ინტერს“ რომ ეთამაშებოდა, კურბისი ტრიბუნაზე იჯდა.

„რაც ვნახე, სულაც არ მომეწონა და არ გავმხნევებულვარ. პირიქით, დავითრგუნე, „პარმა“ ძალიან შთამბეჭდავ ფეხბურთს თამაშოდა“ — თქვა მან.

**_სავარაუდო შემადგენლობა:_ პორატო, ბლონდო, ბლანი, დომორო, ედსონი, ისა, ბრანდო, ბრავო, გურვენეკი, პირესი, მორისი.**

როიტერი

## OLYMPIQUE DE MARSEILLE

ოლიმპიკი (მარსელი), საფრანგეთი

დაარსდა 1899 წელს

*პრეზიდენტი: რობერ ლუი დრეიფუსი*

*მწვრთნელი: როლანდ კურბისი*

*სტადიონი: „ველოდრომი“ (ტევადობა 60 000)*

*საფრანგეთის ჩემპიონი (8): 1937, 48, 71, 72, 89, 90, 91, 92*

*თასის მფლობელი (10): 1924, 26, 27, 35, 38, 43, 69, 72, 76, 89*

*ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1): 1993*

*ფინალისტი (1): 1991*

**«მარსელი» იტალიური გუნდების წინააღმდეგ: 1972-73 ჩემპიონთა თასი «იუვენტუსი» 1:0, 0:3; 1990-91 ჩემპიონთა თასი «მილანი» 1:1, 3:0; 1992-93 ჩემპიონთა თასი «მილანი» 1:0; 1998-99 უეფას თასი «ბოლონია» 0:0; 1:1**

### 1998-99 გზა ფინალისკენ (+4 – 0 = 6 16:9)

**1/32 ფინალი**

**სიგმა 2:2 მარსელი**

0:1 რავანელი (29), 1:1, 2:1 ჰაინცი (35, 41), 2:2 რუა (83)

**მარსელი 4:0 სიგმა**

1:0 დიუგარი (19), 2:0 პირესი (23); 3:0 დიუგარი (76), 4:0 პირესი (86)

**1/16 ფინალი**

**ვერდერი 1:1 მარსელი**

0:1 მორისი (67), 1:1 ჰერცოგი (69)

**მარსელი 3:2 ვერდერი**

1:0 მორისი (36), 1:1 აილტსი (48), 2:1 ისა (52), 3:1 დიუგარი (77), 3:2 ჰერცოგი (82)

**1/8 ფინალი**

**მონაკო 2:2 მარსელი**

0:1 პირესი (10), 1:1 ტრეზეგე (17პ), 1:2 კამარა (39), 2:2 ჟიული (56)

**მარსელი 1:0 მონაკო**

1:0 კამარა (71)

**1/4 ფინალი**

**მარსელი 2:1 სელტა**

1:0 მორისი (33), 1:1 მოსტოვოი (64), 2:1 მორისი (68)

**სელტა 0:0 მარსელი**

**1/2 ფინალი**

**მარსელი 0:0 ბოლონია**

**ბოლონია 1:1 მარსელი**

1:0 პარამატი (18), 1:1 ბლანი (86პ)

*ფლორიან მორისი — 4; კრისტოფ დიუგარი, რობერ პირესი — 3; ტიტი კამარა — 2; ლორან ბლანი, პიერ ისა, ფაბრიციო რავანელი, ერიკ რუა — 1*



მეოთხედფინალი. მარსელი — სელტა 2:1. თავგატეხილი დიუგარი მაზინიოსა და კარპინის გარემოცვაში

### მეკარე

სტეფან პორატო. 25 წლის. ადრე „მონაკოში“ ფაბიერ ბარტეზის შემცვლელი იყო, ახლა ნაკრებში ზუსტად იმავე დღეშია. ჯერ ერთხელაც არ მოწევია თამაში. „მარსელში“ კი მწვრთნელს, როლან კურბისს ისე მოაწონა თავი, რომ მისი გულისთვის გუნდიდან გერმანელი ანდრეას კიოპკე გაუშვეს.

### მცველები

პატრიკ ბლონდო. 31 წლის. ეს მარჯვენა მცველიც „მონაკოში“ თამაშობდა და 1997 წელს სამთავროს გუნდის შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. მშობლიურ ქალაქში, მარსელში, დაბრუნებამდე ჯერ „ბორდოში“ იყო, მერე კი, ნახევარი წლით, ინგლისურ „შეფილდ უენსდეიში“.

ლორან ბლანი. 33 წლის. დიდებული ცენტრალური მცველი, მსოფლიოს ჩემპიონი, „მარსელში“ 1997 წელს „ბარსელონადან“ გადავიდა. საგულისხმოა, რომ გასულ სეზონში 11 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სირილ დომორო. 27 წლის. სპილოს ძვლის ნაპირელი ცენტრალური მცველია, რომელიც კურბისის ხელმძღვანელობით „ბორდოშიც“ თამაშობდა, მერე კი მწვრთნელს „მარსელში“ წაჰყვა. ტექნიკურია, უტევს კიდეც და ბლანთან კარგად თანამშრომლობს. ამბობენ, „იუვენტუსში“ ან „ინტერში“ გადავაო.

პიერ ისა. 23 წლის. სამხრეთაფრიკელი მცველია, იოჰანესბურგში დაბადებული. მსოფლიოს თავი საფრანგეთი 98-ის პირველსავე შეხვედრაში ავტოგოლით დაამახსოვრა. ხშირად ბლანს ან დომოროს ცვლის.

ედსონი. 22 წლის. ბრაზილიელია. მისი სრული სახელი ედსონ და სილვა გახლავთ. „მარსელში“ „სპორტ რესიფედან“ საშობაო არდადეგების დროს გადავიდა. ეხერხება გრძელი რეიდები და შორეული დარტყმები.

### ნახევარმცველები

ერიკ რუა. 31 წლის. 1996 წლიდან „მარსელშია“. რუა გახლავთ ერთადერთი, ვინც კურბისამდელი შემადგენლობიდან შემორჩა გუნდს. ეხერხება პასების ჩაჭრა და გადაწოდება. კარგა ხანს ავადმყოფობდა, ჯერაც არ მოშუშებულა.

ფრედერიკ ბრანდო. 25 წლის. კანში დაბადებული ფეხბურთელი კარიერის დასაწყისში „ტულონში“ თამაშობდა. 1993-94 წლების სეზონში „მონაკოს“ წევრი გახლდათ, მაგრამ მოედანზე ერთადერთხელ შეუშვეს. ამის შემდეგ ბრანდო სამი წლის განმავლობაში „ლე ავრში“ გამოდიოდა, მერე კი „მარსელმა“ აიყვანა. ფუტკარივით მშრომელია, უფრო მარჯვნივ უყვარს თამაში.

დანიელ ბრავო. 36 წლის. ამ შემტევ ნახევარმცველს უამრავი გუნდი აქვს მოვლილი. ამ გუნდებს შორის იყო „მონაკო“, პარი სენ ჟერმენი“ და „პარმა“. ახლა, ასაკიდან გამომდინარე, მარცხენა ფრთაზე, შედარებით ნელა საკეთებელ საქმეს ავალებენ ხოლმე. სეზონის დასაწყისში უფრო ხშირად სათადარიგო იყო, თუმცა, ბოლო დროს, მეტად ენდობიან.

ჟოსლინ გურვენეკი. 26 წლის. ეს ნახევარმცველი ბრეტანის კლუბ „ლორიანში“ თამაშობდა, იყო „რენსა“ და „ნანტში“, 1998 წლის ზაფხულზე კი „მარსელს“ მიაშურა. ბურთს კარგად ფლობს, მაგრამ ხშირად პირესის სათადარიგოა.

რობერ პირესი. 26 წლის. მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრების წევრია, რომელიც „მარსელში“ გასულ ზაფხულს „მეციდან“ გადავიდა. თავიდან გარემარბად ათამაშებდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში გამთამაშებლად ჩამოყალიბდა.

### თავდამსხმელები

ფლორიან მორისი. 25 წლის. ამ სეზონში 14 გოლით კლუბის საუკეთესო ბომბარდირია. მორისი ლიონის ბავშვთა სკოლამ აღზარდა, მაგრამ შეცდა, როდესაც „პარი სენ ჟერმენში“ გადავიდა, რადგან უხეირო გუნდში თამაშის გამო მსოფლიოს ჩემპიონატზე აღარ წაიყვანეს.

აბუბაკარ „ტიტი“ კამარა. 26 წლის. ამ გვინეელმა ფორვარდმა კარიერა „სენტ ეტიენში“ დაიწყო. მერე თამაშობდა „ლანსში“, საიდანაც „მარსელში“ ამოჰყო თავი. ძალიან სწრაფი თავდამსხმელი მომავალი სეზონიდან „ლივერპულში“ ითამაშებს.

სედრიკ მურე. 21 წლის. ყოფილი კანელი თავდამსხმელია. გახლავთ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელი, რომელსაც ჯერჯერობით სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. ბოლო ხანს სერიოზულ ტრავმას მკურნალობდა.

# ქართული კალათბურთი შვეიცარიაში უნდა გადარჩეს



ირაკლი ჯაფარიძე (მარცხნივ) და დავით ბერძენიშვილი პირველ ვარჯიშზე



ლევან მოსეშვილი (მარჯვნივ) და ზაზა ცაგარეიშვილი

არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად ერთი კვირა დარჩა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს შვეიცარიული ბატალიებისთვის მოსამზადებლად. დღეის სწორს, 19 მაისს, ქვეყნის პირველი გუნდი ევროპის ჩემპიონატის მორიგ საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაებმება. ტურნირში, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჩვენი კალათბურთისთვის.

მიზანი ერთია — ქართველობას კალათბურთი შევუნარჩუნოთ. ამისათვის ექვსგუნდა ჯგუფში პირველ სამეულში უნდა მოვხვდეთ. თუ არა და... აი, მაშინ ვართ ცოდონი, სულ ცოტა, ორი წელი ევროპისკენ ველარ გავიხედავთ, იქ არაფერი გვესაქმება და იმიტომ.

ეროვნული გუნდი მზადებას ორშაბათიდან შეუდგა, თუმცა მწვრთნელ ლევან მოსეშვილს ნაკრების ყველა კანდიდატის თავშეყრა ჯერაც ვერ მოუხერხებია და, ბუნებრივია, არც სრულფასოვანი ვარჯიში გამოუდის. ლეგიონერთაგან გუშინდელ ვარჯიშს მხოლოდ სლოვაკური „სლოვაკოფარმას“ ცენტრი დავით ბერძენიშვილი ესწრებოდა, მის გარდა კი, მოსეშვილის განკარგულებაში კიდევ თორმეტი, ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელი იყო: ქლენტი, ცქიტიშვილი, რეზო ჩხეიძე, თორთლაძე, გოგობერიშვილი, ხოშტარია, ვაშაკიძე, გიგი ნაცვლიშვილი, მაისურაძე, აბრამიძე, ჯაფარიძე და გაგნიძე. დღეისთვის ელოდებიან კიდევ სამ ლეგიონერს — სლოვენიიდან ვლადიმერ ბოისას, რუსეთიდან ვაკო ბეჟანიშვილს და ესპანეთიდან ვახტანგ ნაცვლიშვილს. სამივე ეს კალათბურთელი, ალბათ, ხვალიდან შეუერთდება გუნდს. აი, კახა შენგელიას ჩამოსვლა კი კვლავაც სათუოა. საქმე ისაა, რომ შენგელიას კლუბს, პოლონურ „შლიონსკის“ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიმართ არანაირი ვალდებულება არა აქვს. სამშობლოში თამაშაკრძალულ შენგელიას კლუბთან პირადი კონტრაქტი აკავშირებს, სადაც ქვეყნის ინტერესები გათვალისწინებული არ ყოფილა. პოლონეთში ახლა პლეი ოფებია გახურებული და ყველაფერიც „შლიონსკის“ თავკაცობაზე ყოფილა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, მოსეშვილი იმედს არ კარგავს და ამბობს, შენგელიამ აქ თუ ვერ ჩამოგვისწრო, ნაკრებში ადგილს მაინც დაუტოვებ, ვინძლო პირდაპირ შვეიცარიაში შემოგვიერთდესო.

თუკი მწვრთნელს შენგელიაზე ხელი არ ჩაუქნევია და მის ჩამოსვლას ჯერაც შესაძლებლად თვლის, „სიეტლ სუპერსონიქსის“ ქართველის, ვლადიმერ სტეფანიას შესახებ პესიმისტურად საუბრობს: „ვოვას ჩამოსაყვანად ძალები არ დამიშურებია, ვინ აღარ შევაწუხე, საქართველოს ელჩი ამერიკაში თედო ჯაფარიძეც კი ჩავრთე ამ საქმეში, მაგრამ მაინც მეეჭვება სიეტლმა გამოუშვას. მართალია, შანსი ძალიან ცოტაა, მაგრამ ჩემსას ბოლომდე შევეცდები.“

ვარჯიშამდე, როგორც წესი, კალათბურთელები აიწონენ. მოგვიანებით შედეგები ლევან მოსეშვილსაც ეუწყა, რომელმაც ჩემთან საუბრისას მამუკა აბრამიძის ჭარბი წონის გამო უკმაყოფილება გამოთქვა. ისიც აღნიშნა, მას ბოლო დღეებში აღარ უვარჯიშია, ავადმყოფობდა და ალბათ ამიტომო.

შემდეგ გუნდის მასაჟისტს, ზურაბ იოსელიანს ბიჭების ჯანმრთელობაზე გამოვკითხე: „თითქმის ყველანი ჯანზე არიან. ოდნავ ხოშტარია იტკივებს მუხლს, მაგრამ სერიოზული არაფერია. შედარებით რთულადაა მაისურაძის საქმე, მასაც მუხლი სტკივა, თუმცა დღეს-ხვალ უეჭველად მოვარჩენთ. ჯერაც ჩამოსასვლელ მოთამაშეებზე კი რა მოგახსენოთ“.

ვარჯიშის პირველ ნაწილს, გახურებას რომ ვეძახით, მწვრთნელი ზაზა ცაგარეიშვილი უძღვებოდა. კალათბურთელებმა ათი წუთი იძუნძულეს, შემდეგ მცირე მოთელვა მოილიეს და ისევ სირბილი დაევალათ. ეგ არის, ახლა უფრო მაღალ ტემპში უნდა ერბინათ და დროდადრო აჩქარებები ეკეთებინათ. ესეც რომ დამთავრდა, კალათბურთელები ხაზზე გამწკრივდნენ და ცაგარეიშვილის მითითებით უფრო საფუძვლიან მოთელვას შეუდგნენ — ყველა კუნთი გაიწურეს.

ბურთით ვარჯიში პერსონალურებით სროლით დაიწყო და კარგა ხანს გაგრძელდა. მწვრთნელებმა ბიჭები რამდენიმე ჯგუფად დაჰყვეს და ერთმანეთში შეჯიბრიც გაჩაღდა. ჯერ საშუალო მანძილიდან მოძრაობაში სროლაზე წაამუშავეს კალათბურთელები, უკანახაზელები სამიანებზეც წაამეცადინეს და შემდეგ მწვრთნელთაგან შერჩეულ სამეულებს ბურთის დაუგდებლად შეტევები დაევალათ.

ისევ სროლები, ისევ შეჯიბრი და ახლა თეორიული მეცადინეობის ჯერიც დადგა. მოსეშვილმა კალათბურთელები ორ ხუთეულად — წითლებად და ლურჯებად დაჰყო და თითოეულს მივიწყებული კომბინაციები ცალ-ცალკე შეახსენა.

კომბინაციების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ კალათბურთელებს რაც შეიძლება მეტი უნდა ემოძრავათ და ერთმანეთისთვის ბლოკები ეკეთებინათ. თუ ცენტრი გაიხსნებოდა, პასი მასთან უნდა ჩასულიყო, თუ არა და, მსროლელი ახალ მოძრაობას იწყებდა და თანაგუნდელთა ორმაგი ბლოკის შედეგად სამწამიანი ზონის კუთხეში თავისუფლდებოდა, საიდანაც დაუყოვნებლივ უნდა ესროლა. კომბინაციებს ბარე 30 წუთი მიახარჯეს და სულ ბოლოს ორმხრივი თამაშიც გაჩაღდა, სადაც ერთადერთი და მთავარი მწვრთნელთა მითითებების შესრულება იყო და არა გამარჯვებულის ვინაობა.

გვარიანად მოქანცულ კალათბურთელებს ზუსტად ორსაათიანი ვარჯიშის შემდეგ კალორიული სადილი ელოდათ...

**გიორგი ბიჭაშვილი**

# მსაჯი მაშინ ახსენდებათ, როცა მატჩია გასამართი

**საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარეს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, ბატონ მურმან ქურიძეს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემის, მსაჯობის შესახებ ვთხოვეთ აზრის გაზიარება, თუმცა საუბარი სხვა საკითხებსაც შეეხო.**



1986 წელი. მურმან ქურიძე ვლადიმერ ტკაჩენკოს აჯარიმებს

**— ბატონო მურმან, განვლო ჩემპიონატის სამმა წრემ. როგორც მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, როგორ შეაფასებდით მსაჯების მოქმედებას?**

— ჯერჯერობით მშვიდი სიტუაციაა. გუნდები, ისევე როგორც არბიტრები, ფორმაში შედიან და მათი მომზადების დონეც დასკვნით ეტაპზე გამოიკვეთება. ასე რომ, დღეს თავს შევიკავებ კონკრეტული შეფასებისგან. სანაცვლოდ, გაგიზიარებთ ჩემს აზრს დღევანდელი საერთო მდგომარეობის შესახებ.

დღეს კალათბურთის მსაჯთა კორპუსი თაობათა ცვლას განიცდის. თითქმის ერთდროულად ოთხმა არბიტრმა დაანება თავი პრაქტიკულ მსაჯობას: როლანდ ხომერიკმა, გოგი ავალიშვილმა, როლანდ გელოვანმა და მე. ბუნებრივია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. დღეს, პრაქტიკულად, ხუთი არბიტრი ემსახურება ამ მარათონულ ჩემპიონატს. ზურაბ აბაშიძე და გია მოლოდინაშვილი გამოცდილი არბიტრები არიან, მათ კარგი პრაქტიკა მიიღეს ყოფილი სსრკ-ის სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში. ბოლო წლებში თავი გამოიჩინა სამმა ახალგაზრდა მსაჯმა. მათ რეალურად მივიჩნევთ საერთაშორისო არბიტრობის კანდიდატებად, ესენია ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი და ლაშა თოიძე. ისე რა გამიგოთ, თითქოს ისინი უკვე უნაკლონი არიან. მათ სრულყოფა სჭირდება. მსაჯთა კოლეგია, მე პირადად ყოველნაირად შევუწყობთ ხელს მათ ჩამოყალიბებას.

მსაჯების სიმცირის გამო ეროვნული ჩემპიონატი მცოცავი განრიგით მიმდინარეობდა — დღეში 2-3 მატჩი. მისასალმებელია, რომ მე-3-4 წრის მატჩები შაბათ-კვირაობით იმართება, ეს ხელს უწყობს გუნდების საწვრთნელი პროცესის მოწესრიგებას, მაყურებელთა რაოდენობაც გაიზარდა, მაგრამ 5 მსაჯით დღეში 5 მატჩის მომსახურება ძალიან ძნელია. 2-3 ვეტერანი მსაჯის მოწვევამ პრობლემა ვერ გადაჭრა. დამატებით, ახალი მსაჯების ჩართვა არარეალურია. მატჩების დიდი რაოდენობა არ იძლევა საშუალებას, თითოეული ტური გავყოთ და შაბათ-კვირას ჩავატაროთ. ასე რომ, ჯერ მაღალკვალიფიციური მსაჯების რიცხვი უნდა გაგვეზარდა, მერე კი — ყოველდღიური თამაშების რაოდენობა.

**— რას აკეთებს მსაჯთა კოლეგია ახალი მსაჯების აღზრდისთვის?**

— მსაჯთა კოლეგია დღეს უძლურია, რამეთი დააინტერესოს კალათბურთის სკოლაგამოვლილი, პატიოსანი, ვაჟკაცური ბუნების, ობიექტური ახალგაზრდა კალათბურთელი. არ შეგვიძლია მივატოვებინოთ კალათბურთის თამაში და დავაწყებინოთ მსაჯობა, ესოდენ დაუფასებელი პროფესია. დიახ, პროფესია. დღეს მხოლოდ პროფესიონალი მსაჯი შეიძლება დაოსტატდეს სასურველ დონემდე. მარტო გატაცება შედეგს ვერ გამოიღებს. მსაჯის ანაზღაურება მწირია, ამდენად, ჩვენი მცდელობა, მოგვეზიდა სასურველი პიროვნებები, ჯერჯერობით უშედეგოა. მსაჯების მოზიდვის ერთადერთი გზა არის ანაზღაურების გაზრდა და თუნდაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დონემდე მიახლოება. უკრაინაში, რუსეთში, ბელარუსში, არაფერს ვამბობ ბალტიისპირეთზე, უკვე სხვა პრობლემაა. მსაჯების ანაზღაურების მოწესრიგებამ იმდენი მსაჯი გააჩინა, რომ მათი დატვირთვა რთული გახადა. ასე რომ, თუ იქნება ნორმალური ანაზღაურება, ახალი შევსებაც მოვა, არსებულსაც შევინარჩუნებთ.

**— დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ მსაჯების ანაზღაურების გაზრდას?**

— დღევანდელი ფინანსური სიძნელეებიდან გამომდინარე, ძნელია მოვითხოვოთ ანაზღაურების მკვეთრი მატება. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ მსაჯები მაშინ ახსენდებათ, როცა მატჩია გასამართი. განა არ შეიძლება იმ მწირი თანხების ყაირათიანად ხარჯვა, რომელსაც ფედერაცია იღებს სპორტის დეპარტამენტიდან? მაგალითისთვის, გასულ წელს საბერძნეთის ნაკრებთან სათამაშოდ, ნაკრების წევრებისა და ხელმძღვანელობის 18-კაციანი დელეგაცია გაემგზავრა, მაშინ, როცა ყველასათვის წინასწარ იყო შედეგი ცნობილი. 3-4 კაცის უმტკივნეულოდ შემცირებით იმდენი თანხა დაიზოგებოდა, რომ მსაჯთა პრობლემები მკვეთრად გაუმჯობესდებოდა. მაგალითების მოყვანით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ თუ ფედერაციის წევრთა უმრავლესობა არ გაითავისებს, რომ მსაჯთა კოლეგია კალათბურთის ისეთი შემადგენელი ნაწილია, როგორიც ეროვნული ნაკრები, ეს პრობლემა დიდხანს არ გადაწყდება. ფედერაციამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა საკუთარი თანხების მოზიდვა. მსაჯთა ანაზღაურება უშუალოდ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ხარჯით არ უნდა მოხდეს. გუნდებმა ფედერაციის ანგარიშზე უნდა შეიტანონ განსაზღვრული თანხა მონაწილეობის მიღებისთვის. ფედერაციამ მათ ხელთ არსებული სახსრები უნდა გაანაწილოს, როგორც ნაკრებების, ასევე მსაჯთა კოლეგიის სახელზე.

**— მიუხედავად ფინანსური სიძნელეებისა, მსაჯთა კოლეგია მაინც საქმიანობს...**

— ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე მოვაწყვეთ სემინარი, რომლებზეც განხილული იქნა ის ცვლილებები, რომლებიც შეტანილია FIBA-ს საერთაშორისო წესებში. საწყენია, რომ ამ სემინარზე მოწვეული მწვრთნელების და სხვა პირების დიდი ნაწილი არ გამოცხადდა. მათთვის და გულშემატკივრებისთვის გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნდა აღნიშნული ცვლილებები. ახლახან მსაჯებს დავურიგეთ საერთაშორისო წესები (1998-2002 წლების პერიოდი) თავისი კომენტარებით. ასევე ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს გადავეცით თითო ეგზემპლარი. წელს პირველად დავნერგეთ მატჩის კომისრის ანგარიში, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო მატჩების კომისრების ანგარიშის ფორმა. მსაჯთა კოლეგია მატჩის კომისრების ანგარიშის საფუძველზე, არც ერთ შემთხვევას შეფასების გარეშე არ ტოვებს.

**— როგორ აფასებთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების სისტემას, შეჯიბრების დებულებას?**

— დავიწყებ დებულებიდან. მის შედგენაში ფედერაციის სხვა წევრებთან ერთად მეც ვმონაწილეობდი. ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, რამდენჯერმე მოგვიხდა მისი ზოგიერთი პუნქტის პერსონალურად გადაწყვეტა, ისევ და ისევ კალათბურთის ინტერესებიდან გამომდინარე. მომავალი წლიდან დებულება გაცილებით სრულყოფილი იქნება.

ჩემი აზრით, ეროვნული ჩემპიონატი ძალიან გადატვირთულია. ზამთრის შიშით, ძალიან ადრე იწყება და გუნდები თითქმის მოუმზადებლად იწყებენ ჩემპიონატს. ვფიქრობ, საკმარისია გუნდები ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ადგილები განაწილდეს დაგროვილი ქულების მიხედვით. ასევე აუცილებლად უნდა გათამაშდეს თასი, რომელშიც ყველა გუნდს ექნება მონაწილეობის მიღების საშუალება. ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულმა და თასის მფლობელმა უნდა გაითამაშონ სუპერთასი.

მისასალმებელია სტუდენტური და ბავშვთა ლიგის არსებობა, მაგრამ აუცილებელია ეს შეჯიბრებები ჩატარდეს ეროვნული ფედერაციის ეგიდით და მათ დებულებები შეთანხმებული უნდა იქნეს ფედერაციასთან.

**— როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს კალათბურთის მომავალი?**

— მე ოპტიმისტურად ვუყურებ კალათბურთის მომავალს. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ ახლახან დამთავრებულ კადეტთა ევროპის შესარჩევ ტურნირში ჩვენმა გუნდმა იმარჯვა და ფინალში ითამაშებს. ეს გუნდი ახლო მომავალში ეროვნული ნაკრების ძირითად ბირთვად მიმაჩნია.

საერთოდ, სანამ კლუბები ფინანსურად გაძლიერდებიან, ფედერაციამ პრიორიტეტად ბავშვთა და ახალგაზრდების კალათბურთი უნდა გაიხადოს. აუცილებელია ამ ასაკის კალათბურთელებისთვის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის დაფუძნება. კარგი იქნება, თუ ის შავი ზღვის ქვეყნების ეგიდით მოეწყობა, აუცილებელია კარჩაკეტილობიდან თავის დაღწევა. ახლა საქართველოში ბევრი ნიჭიერი ტანმაღალი ახალგაზრდაა, მთავარია მათ ხელი შევუწყოთ. სასწრაფოდ მისაღებია ტრანსფერის კანონი, რომელშიც აუცილებლად უნდა ჩაიდოს გაყიდული კალათბურთელის ნაკრებში გამოსვლის მექანიზმი. აგრეთვე, სატრანსფერო თანხიდან კლუბის და ფედერაციის კუთვნილი წილიც უნდა განისაზღვროს.

**— პირადად თქვენი სამომავლო გეგმები — აპირებთ თუ არა მოედანზე პრაქტიკულ მსაჯობას.**

— ალბათ, ყველაფერს თავის დრო აქვს. ჯერ კიდევ გასულ წელს მივიღე გადაწყვეტილება, რომ პრაქტიკული მსაჯობა დამემთავრებინა. ჩემთვის ძნელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება — ხუმრობა ხომ არაა, თითქმის 40 წელი ჩემი საყვარელი საქმიანობით ვიყავი დაკავებული. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ბავშვთა შეჯიბრებებს ვმსაჯობდი. 19 წლისას უკვე საბჭოთა კავშირის უმაღლესი ლიგის მატჩების მსაჯობა მომანდეს. კალათბურთს შეეწირა ჩემი პროფესიული კარიერა. 28 საკავშირო ჩემპიონატი ვიმსაჯე, ხუთი — ხალხთა სპარტაკიადა, ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატის, როგორც შესარჩევი, ისე ფინალური ეტაპები, ევროპული თასის მატჩები. ვიყავი ოლიმპიადის მონაწილე. ვიმსაჯე პირველი ოფიციალური მატჩი პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის (1988 წელი, ატლანტა ჰოქსი — სსრკ). მარტო ის რად ღირს, რომ გახმაურებული სუპერმატჩების, ცსკა — ჟალგირისის განსჯა სამჯერ მომანდეს.

ყველაფერს თავის დრო აქვს. ვთვლი, რომ ახალგაზრდა მსაჯების ზრდა არ უნდა შევაფერხოთ. ამისთვის საჭიროა, მათ მეტი რთული მატჩი იმსაჯონ. ამით დაჩქარდება მათი დაოსტატება.

რაც შეეხება მოვალეობას, ვერავინ იტყვის, როდესმე თავი ამერიდებინოს დაძაბული მატჩისთვის. დღესაც, როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა, გამოვდივარ მოედანზე. დღეს ჩემი საქმიანობა კალათბურთში მსაჯების დეფიციტის აღმოფხვრაა. შესაბამისად, მათი პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მსაჯობის დონის ამაღლება, წესრიგის დამყარება. ვნახოთ, რამდენად შევძლებ ამას.

**ბაკა ხურციძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# ჩრდილოეთ—სამხრეთის დაპას ზაირელი აჩმახი წყვეტს

10 მაისი

## აღმოსავლეთი

### მაიამი — ნიუ იორკი 1:1

**მაიამი 83:73 ნიუ იორკი**

მაიამი: ჰარდევეი (7 ქულა, 11 პასი), მარლი (7), მაშბურნი (11), ბრაუნი (12), მურნინგი (26 ქულა, 8 მოხსნა, 4 დაფარება); პორტერი (11), ვეზერსპუნი (9), ესკინსი
ნიუ იორკი: ვორდი (8), ჰიუსტონი (12), ტომასი, ჯონსონი (13), იუინგი (16 ქულა, 15 მოხსნა); ხპრიუელი (15), კემბი (5), დადლი (4), ჩაილდსი

„მაიამი ჰითმა" შეძლო დროულად გამოსულიყო იმ შოკიდან, რომელშიც ნიუ იორკმა ჩააგდო ამ შეხვედრამდე ორი დღით ადრე, რვა მაისს. იმ დღეს სტუმარმა მაიამის შავი დღე აყარა და სერიის პირველი მატჩი, მთელი ოცი ქულის სხვაობით მოუგო — 95:75.

მაიამის მწვრთნელმა პატ რაილიმ, რომელიც მანამდე ნიუ იორკს თავკაცობდა და 1994 წელს ლიგის ფინალშიც გაიყვანა, იმ საშინელი მარცხის შემდეგ თავის შეგირდებს ჯერ დაუცაცხანა, ყელში ამომივიდა თქვენი უგერგილობა, შინ ასე აგებთ, სხვაგან რას იზამთო, მერე კი დაარიგა: მეტოქეს ასე და ასე ეთამაშეთო. მაიამიმაც უფრო მეტად მოინდომა, კარგადაც ითამაშა და მერვე ნომრად განთესილ, მაგრამ მაინც მძლავრ ნიუ იორკს სძლია.

მატჩში და საერთოდ ამ სერაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორი ცენტრის, ნიუიორკელი პატრიკ იუინგის და მაიმელი ალონზო მურნინგის დუელს. ორივე, იუინგიცა და მურნინგიც, თავიანთი გუნდის ლიდერები არიან და ერთი რამ საერთოც გააჩნიათ — ორივემ ჯორჯთაუნის უნივერსიტეტი დაამთავრა და ერთმანეთთან ბრძოლის მეტი სტიმულიც აქვთ. სერიაში ჯერჯერობით უფრო ახალგაზრდა მურნინგი მძლავრობს. წინა შეხვერაში მან 27 ქულა მოიპოვა, იუინგს კი მხოლოდ 9 ჩააგდებინა, მაგრამ ნიუიორკელს მაშინ თანაგუნდელთა თანადგომა დაეხმარა. ამჯერად დუელი შედარებით თანაბარი იყო, თუმც მურნინგის თანაგუნდელები აშკარად გამოფხიზლდნენ. იგი მარტო აღარ იყო. მატჩის შემდგომ პატრიკ იუინგმა მურნინგი შეაქო: „ალონზო ბრწყინვალედ თამაშობს. იგი სეზონის უძვირფასესი მოთამაშე გახდება" — თქვა ბებერმა ნიუიორკელმა და მერე დაამატა, თუ ასე არ მოხდა, მაშინ გამოკითხვის მონაწილეებს მთლად დალაგებულად ვერ ჰქონიათ საქმეო.

### ატლანტა — დეტროიტი 2:0

**ატლანტა 89:69 დეტროიტი**

ატლანტა: ბლეილოკი (12), სმიტი (21), კროუფორდი (6), ლონგი (10), მუტომბო (28 ქულა, 13 მოხსნა); კორბინი (10), მაკლეოდი (2), გრეი, ჯონსონი, შეპარდი, ვესტი
დეტროიტი: ჰანტერი (2), დუმარსი (14), ჰილი (15 ქულა, 10 მოხსნა), ვილიამსი (11), დელი; ლეიტნერი (11), სტეკჰაუზი (10), ვონი (4), ობენონი (2), მონტროსი, რიდი, ბიუპლერი

თუ მაიამის და ნიუ იორკს დიდ ბრძოლა აქვთ გამართული ერთმანეთში, ატლანტა — დეტროიტის სერიაში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს და ეს კაცი 218-სანტიმეტრიანი აჩმახი ზაირელი ცენტრი დიკემბე მუტომბოა. იგი რომ მართლა კარგი მოთამაშეა, ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა. ამიტომაც ჯორჯიულ გუნდს იგი მის წონა ოქროდ უღირს. წინა შეხვედრაშივე ატლანტამ 90:70 მოიგო, მუტომბომ თავისიანებს 17 ქულა, 19 მოხსნა და 6 დაფარება გაუხერხა. ამჯერად წინაზე არანაკლები შეძლო. 28 ქულის გაკეთებით სულაც საპლეიოფო კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა. მუტომბოს მოხსნისა და დაფარების გარდა თურმე ბურთის ჩაგდებაც სცოდნია და მერე როგორი. მისი ნასროლი 14 ბურთიდან მხოლოდ ერთმა ვერ უწია მიზანს. ისიც უნდა ითქვას, რომ მთელ დეტროიტში მუტომბოს გამჩერებელი კაცი არ მოიძებნება. დეტროიტის უმთავრეს ძალებს შედარებით უკანა პოზიციაზე მოუყრიათ თავი. მაგალითად, გრანტ ჰილი, რომელმაც წინა მატჩისგან განსხვავებით უხეიროდ ითამაშა, ფრთაა. „პისტონზი" კვლავ 20 ქულის სხვაობით დამარცხდა. სმიტის, ბლეილოკის და მათი დახმარების წყალობით დუმდა დეტროიტის სიამაყე — უკანა ხაზი.

## დასავლეთი

### პორტლენდი — ფინიქსი 2:0

**პორტლენდი 110:99 ფინიქსი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (22 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), რაიდერი (17), ვოლესი (21), გრანტი (22 ქულა, 8 მოხსნა), საბონისი (2 ქულა, 9 მოხსნა); ჯეკსონი (12), ოგმონი (9), ვილიამსი (3), ენტონი (2), კატო
ფინიქსი: კიდი (12 ქულა, 12 პასი), ჩეპმენი (3), გულიოტა (8 ქულა, 9 მოხსნა), რობინსონი (14), ლონგლი; მაკლაუდი (15), გარიტი (15), ლივინგსტონი (12), მენინგი (11), მორისი (5), ბრაუნი (2), კლაინი (2)

ატლანტისა არ იყოს, დასავლურ „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსსაც" ცალი ფეხი პლეი ოფის მეორე წრეში აქვს. პორტლენდი ჯერჯერობით წარმატებით იყენებს საკუთარი მოედნის უპირატესობას და შინაურ კედლებში სამ დღეში მეორედ დაამარცხა ფინიქსი იოლად. რიკ ადელმანის ბიჭები უკვე პირველ მეოთხედში გაექცნენ მეტოქეს უსაშველოდ წინ და საწყისი თორმეტწუთეული მთელი 16 ქულით მოიგეს. ფინიქსს მებრძოლი გუნდის რეპუტაცია აქვს და ამის დამტკიცებას, რა თქმა უნდა, ამ შეხვედრაშიც შეეცადა. რაღაც გამოუვიდა კიდეც — მესამე მეოთხედის მიწურულისთვის ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მერე წინაც გავიდა ერთი ქულით, მაგრამ ძალები და მონდომება მატჩის ბოლომდე ველარ მიჰყვა, მძლავრ მასპინძელს მეორე შეხვედრაც დაუთმო და ახლა შინ გასამართი ორი მატჩის იმედადღაა.

მოულოდნელად მატჩი ჩაუვარდა პორტლენდის ერთ-ერთ ლიდერს, დიდ ლიტველ ცენტრს არვიდას საბონისს, რომელსაც წინა მატჩში ორ-ორი მოხსნა-პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე, მაგრამ ამ შეხვედრაში ბედმა უმუხთლა და ჩვენი ყოფილი მოძმე რესპუბლიკის შვილი მხოლოდ ორ ქულას დასჯერდა — ექვსი სროლიდან ერთი ჩააგდო. თუმც ლიტველის იმედი, თან საკმაოდ დიდი, პორტლენდის თავკაც ადელმანს აქვს: მჯერა, საბონისის ჭკუა და გამოცდილება თავისას გაიტანსო. მართლაც არვიდასი ისე არ დაეცემა, ლონგლის და მისთანების დასაჩაგრი გახდეს.

### იუტა — საკრამენტო 1:1

**იუტა 90:101 საკრამენტო**

იუტა: სტოქტონი (13 ქულა, 6 პასი, 6 მოხსნა), ჰორნაჩეკი (6), რასელი (12 ქულა, 9 მოხსნა), მელოუნი (39 ქულა, 10 მოხსნა), ოსტერტაგი (2); ანდერსონი (8), ეისლი (7), ბეილი (5), ფოსტერი (4), ფალერი
საკრამენტო: ვილიამსი (18), აბდულ-ვაჰადი (8), ვილიამსი (9), ვებერი (20), დივაცი (18 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა); მაქსველი (12), ბერი (12), პოლარდი (4), სტოიაკოვიჩი

„იუტა ჯაზი" ისევ თავისმა თავდაჯერებულობამ დაღუპა. მწარედ მოტყუვდნენ მასპინძლები, როცა პირველი მატჩის მოგებით თავი მეორე წრეში დაიგულეს და მებრძოლ საკრამენტოს მეორე შეხვედრაში ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმეს. საკრამენტომ კი უცებ დაივიწყა, რომ ამ სერიის წინა შეხვედრაში დიდი სირცხვილი ჭამა (იქ საკრამენტომ თავის ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით წააგო — 87:117), კარგად მოემზადა მომავალი მატჩისთვის. დაიწყო თუ არა შეხვედრა, „კინგზმა" მძლავრად შეუტია მეტოქეს და პირველი მეოთხედი 7 ქულით მოუგო. მართალია, შემდეგ იუტა ცოტა გამოაფხიზლა დევივით კარლ მელოუნმა, რომელმაც ბლომად ქულები მიითვალა და ფარქვეშ კარგადაც ევჯაჯგურა მეტოქის მაღლებს, მაგრამ ბოლო თორმეტწუთეული ისევ სტუმრებისა იყო — დივაცი, ვებერი და ვილიამსი ბურთს ბურთზე უგდებდნენ გაოგნებულ მასპინძლებს და უპირატესობა 11 ქულამდე აიყვანეს.

თავს საუცხოოდ ვგრძნობ, ქვეყანა ჩემი მგონიაო, ამბობდა სტუმართა ლიდერი კრის ვებერი, რომელმაც ჯერ კიდევ რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე ზურგის ტრავმა მიიღო და საბოლოოდ ჯერაც მოუშუშებელმა 20 ქულა მიართვა იუტას. სხვათა შორის, ვებერი თვის მეექვსე სეზონს ატარებს კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში და მესამედ თამაშობს პლეი ოფში. ამ სამ სერიაში ვებერმა სულ მერვე მატჩი ჩაატარა და პირველად გაიმარჯვა, რამაც უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ ტრავმებით შეჭირვებული კაცი მეშვიდე ცას სწია.

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — საკრამენტო. იუტელი კარლ მელოუნი ვერ შესწვდა კრის ვებერს (№4)

## მერიის თასზე

გუშინ, სპორტის სასახლეში აღნიშნული ტურნირის პირველ დღეს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 106:80 დაამარცხა რუსთავის „აზოტი", ხოლო სანკტ პეტერბურგის „სპარტაკმა" 86:82 მოუგო საქართველოს კადეტთა ნაკრებს. გამარჯვებულები დღეს ფინალში ითამაშებენ, დამარცხებულები — მესამე ადგილისთვის.

## არმსტრონგი — საუკეთესო მეექვსე

**რეგულარული** სეზონი ხეირიანად არც დასრულებულა და უკვე გამოვლინდა მისი პირველი ლაურეატი. ტრადიციისამებრ, ჯერ საუკეთესო მეექვსე მოთამაშე გამოავლინეს, ანუ ის, ვინც ყველაზე მეტად გამოირჩა შეცვლაზე შემოსულ კალათბურთელთა შორის.



დარელ არმსტრონგი

1999 წლის შეკვეცილ სეზონში ამერიკელმა და კანადელმა კალათბურთზე მწერალმა ჟურნალისტებმა საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ „ორლანდო მეჯიქის" უკანახაზელი დარელ არმსტრონგი აღიარეს. ამ 30 წლის კაცმა 118 შესაძლებელიდან 85 ხმა მიიღო და აჯობა პორტლენდელ რაშიდ ვოლესს (16 ხმა), აგრეთვე ინდიანელებს ანტონიო დევისს და ჯალენ როუზს (5-5 ხმა).

არმსტრონგი ამ სეზონის 50 მატჩში 35-ჯერ შევიდა შეცვლაზე. მოედანზე საშუალოდ მატჩში 30 წუთს ატარებდა და ასევე საშუალოდ მატჩში 13,8 ქულას, 6,7 პასს, 3,6 მოხსნას და 2,16 ჩაჭრას აკეთებდა. არმსტრონგის ნასროლი საჯარიმოების 90,4 პროცენტი ზუსტი იყო (მესამე შედეგი ლიგაში). საერთოდ კი, ლიგის ჩამჭრელებში მერვე ადგილზე გავიდა, ხოლო მეპასეებში — მე-12-ზე.

დარელ არმსტრონგმა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოსვლამდე დიდი და რთული გზა გაიარა. 1991 წელს ლაფაიეტვილ სტეიტის უნივერსიტეტში თამაში დაასრულა და მსოფლიოს უმთავრესი ლიგის დრაფტში არავინ აირჩია. არმსტრონგმა ითამაშა სხვადასხვა დონის ლიგებში — გლობალურ საკალათბურთო ასოციაციაში, კონტინენტურ საკალათბურთო ასოციაციაში, ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ლიგაში. მერე ევროპაშიც იყო, გამოდიოდა კვიპროსსა და ესპანეთში. 1995 წლის აპრილში კი „ორლანდო მეჯიქთან" გააფორმა კონტრაქტი.

### ყველა საუკეთესო მეექვსე

| | | |
|---|---|---|
| 1983 | ბობი ჯონსი | ფილადელფია |
| 1984 | კევინ მაკჰეილი | ბოსტონი |
| 1985 | კევინ მაკჰეილი | ბოსტონი |
| 1986 | ბილ უოლტონი | ბოსტონი |
| 1987 | რიკი პირსი | მილუოკი |
| 1988 | როი ტარპლი | დალასი |
| 1989 | ედი ჯონსონი | ფინიქსი |
| 1990 | რიკი პირსი | მილუოკი |
| 1991 | დეტლეფ შრემპფი | ინდიანა |
| 1992 | დეტლეფ შრემპფი | ინდიანა |
| 1993 | კლიფორდ რობინსონი | პორტლენდი |
| 1994 | დელ კარი | შარლოტი |
| 1995 | ენტონი მეისონი | ნიუ იორკი |
| 1996 | ტონი კუკოჩი | ჩიკაგო |
| 1997 | ჯონ სტარქსი | ნიუ იორკი |
| 1998 | დენი მენინგი | ფინიქსი |
| 1999 | დარელ არმსტრონგი | ორლანდო |


# სარბიელი

**სპორტული ლატარია** "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | უეფას თასის ფინალი | | | | |
| 12.05 | პარმა — მარსელი (1,35-2,5) | 1,7 | 3,1 | 4,4 | |
| | გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა | | | | |
| 12.05 | ჰანოვერი — ურდინგენი | 1,5 | 3,6 | 5,0 | |
| | ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა | | | | |
| 12.05 | ბლექბერნი — მანჩესტერი | 7,0 | 4,2 | 1,3 | |
| | ჰოლანდიის ჩემპიონატი | | | | |
| 12.05 | როდა — ფეიენოორდი | 2,1 | 3,0 | 3,1 | |
| | ჰოლანდიის თასი | | | | |
| 13.05 | აიაქსი — სიტარდი | 1,5 | 3,6 | 5,0 | |
| | ბელგიის ლიგის თასი | | | | |
| 13.05 | სენტ ტრუიდენი — ეკერენი | 2,1 | 3,0 | 3,1 | |
| | ჰოკეი. NHL | | | | |
| 12.05 | ბუფალო — ბოსტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 | |
| | სენტ ლუისი — დალასი | 2,0 | 4,4 | 2,0 | |
| | *ჰოკეის მსოფლიო ჩემპიონატის კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე* | | | | |
| | კალათბურთი. NBA | | | | |
| 12.05 | დეტროიტი — ატლანტა | 1,4 | 12,0 | 2,3 | |
| | ნიუ იორკი — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 | |
| | ფინიქსი — პორტლენდი | 1,8 | 12,0 | 1,6 | |
| | საკრამენტო — იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 | |
| 13.05 | მილუოკი — ინდიანა | 1,7 | 12,0 | 1,7 | |
| | ფილადელფია — ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 | |
| | მინესოტა — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,7 | |
| | ჰიუსტონი — ლეიკერსი | 1,4 | 12,0 | 2,3 | |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# ავდარია, მედლები წვიმს

ირაკლი ნიჟარაძის ფოტო



რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ყოჩთა მწვრთნელს მალხაზ ჭეიშვილს (მარჯვნივ) საჩემპიონო მედლით აჯილდოებს

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველ მორაგბეებს არც ბუნება სწყალობთ. ამ დღეებში საქართველოს თავს დამტყდარმა ავდარმა ეროვნული პირველობის ოთხი მატჩიდან მორაგბეთ მხოლოდ ორი ათამაშა, ისიც იმიტომ, რომ რუსთაველებმა დროულად ვერ მოახერხეს ქუთაისელთა გაფრთხილება არ ჩამოხვიდეთო. ჰოდა, ჩამოსულებს უთამაშებლად ხომ ვერ გააბრუნებდნენ უკან. ასევე დაემართათ ბათუმელებს, რომლებიც შარშანდელი პირველობის პრიზიორთა დაჯილდოვებაზე იყვნენ ჩამოსულნი. რაღა თქმა უნდა, ასეთმა ამინდმა და აქედან გამომდინარე, გაუბედურებულმა მოედნებმა თამაშის ხარისხზეც იქონია გავლენა. თუმცა მატჩებს დაძაბულობა არ მოჰკლებია — ასეთ მინდორზე ხომ თამაშიც გარკვეულწილად თანაბრდება. ასე იყო რუსთავშიც, რაზეც ანგარიშიც მეტყველებს — 8:6 მასპინძელთა სასარგებლოდ. ასევე იყო მეორე დღეს ვარკეთილშიც უნივერსიტეტისა და „დათვების" შეხვედრაში, თუმცა ამა'ზე ქვემოთ. მანამდე კი... უნივერსიტეტი — „დათვების" მატჩამდე კინოთეატრ „ამირანში", პირველად ეროვნული რაგბის ისტორიაში, შარშანდელ პრიზიორთა დაჯილდოება გაიმართა. ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში გამარჯვებულთაგან რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ, გენერალურმა მდივანმა გია ჭუმბურიძემ და ვიცე-პრეზიდენტმა გოჩა აბაშიძემ თავდაპირველად 1985-86 წლებში დაბადებულნი დააჯილდოვეს, მერე კი 1983-84 წლებში დაბადებულნი. ორივე ასაკობრივ კატეგორიაში „ყოჩებმა" პირველობა არავის დაუთმეს. მეორე-მესამე ადგილები, 1985-86 წლიანთა შორის „აიამ" და „ლელომ" ირგუნეს, ხოლო 1983-84 წლიანებში — „ხულიგანამ" და „ლელომ". ერთადერთი, რაშიც „ყოჩებმა" ვერ იმარჯვეს, ჭაბუკთა ლიგაა. აქ პირველობა „აკადემიას" ხვდა წილად, მეორე ადგილი — „ლელოს", მესამე — ქუთაისს. ღონისძიება ეროვნული პირველობის წარჩინებულთა დაჯილდოებამ დაასრულა. საგანგებოდ დასაჩუქრდნენ მსაჯებიც. ამიერიდან ყველა მათგანი ერთნაირი, თეთრ-მწვანე ზოლიანი მაისურით შეიმოსება. კავშირის ხელმძღვანელობამ იმედი გამოთქვა, რომ ეს მაისური მსაჯისადმი პატივისცემის ერთგვარ სიმბოლოდ იქცევა. ახალი მაისური პირველმა გია ჯავახიშვილმა მოირგო, რომელმაც იმავე დღეს უნივერსიტეტ — „დათვების" მატჩი იმსაჯა. სხვამხრივ ეს მატჩი არაფრით გამორჩეულა. ატალახებულმა მოედანმა მეტოქეებს თამაში გაურთულა და სტუმარმა დათვებმა მატჩის ბოლოსლა იძალეს.

**პაატა თოთაძე**

ირაკლი ნიჟარაძის ფოტო



უნივერსიტეტელებისთვის ისიც საქმე იყო, ერთი დათვი შეებოჭათ, სხვა მხრივ, ბათუმელებმა სტუდენტები იმ ნაავდრალზეც მშრალზე დატოვეს

RUGBY SUPER 12

# ვინ იქნება მეოთხე?

**ველინგტონი — სიდნეი**

**13:7 (3:7)**

ველინგტონი: 2ლ — ტიატია, არნოლდი; 1ს — ჰოლველი
სიდნეი: 1ლ — სტეინფორსი; 1გ — ედმონდსი

**კრაისტჩერჩი — დურბანი**

**34:29 (6:22)**

კრაისტჩერჩი: 3ლ — სოოალო, რალფი, მერთენსი; 2გ და 5ს — მერთენსი
დურბანი: 4ლ — მიულერი (2), ტერბლანქი, ბროსნენი; 3გ — ჰონიბალი, სვორტი (2); 1ს — ჰონიბალი

**ბრისბერი — იოჰანესბურგი**

**22:12 (15:12)**

ბრისბენი: 3ლ — ლათამი, თიუნი, ჰერბერტი; 2გ და 1ს — სპუნერი
იოჰანესბურგი: 2ლ — შტოლცი, უილიამსი; 1გ — დე კონინგი

**პრეტორია — ოკლენდი**

**21:19 (8:6)**

პრეტორია: 2ლ — ოლივიე, ტეჭ; 1გ და 3ს — შტეინი
ოკლენდი: 1ლ — ელისი; 1გ და 4ს — კემმორი

**კეიპტაუნი — ჰამილტონი**

**16:9 (6:6)**

კეიპტაუნი: 1ლ — ვან ძილი; 1გ და 3ს — ვან სტრაატენი
ჰამილტონი: 3ს — ჯეკსონი

აბა, ვინ იფიქრებდა, თუ დაბეჩავებული პრეტორია სეზონში პირველ თამაშს ბოლოსწინა ტურში მოიგებდა. მაგრამ „ხარები" რის „ხარები" იქნებოდნენ, გათამაშებაში ვინმესთვის არ ერქინათ. ვინმე კი „ოკლენდი" აღმოჩნდა და 1996 და 1997 წლების ჩემპიონი წლეულს ნახევარფინალს მიღმა აღმოჩნდა. იუსტ ფანდერ ვესტ ჰოიზენის გარეშე დარჩენილ „ხარებს" აქამდე გამართული ცხრა მატჩიდან ცხრავე წაგებული ჰქონდათ, შაბათს კი მათთვის უსიამოვნო ტრადიცია, ბოლოს და ბოლოს, დაარღვიეს.

„ოკლენდს" სამხრეთაფრიკულმა „დურბანმაც" მიბაძა, თუმცა აფრიკელთა მარცხის გამართლება იმით შეიძლება, რომ მათ მეტოქედ შარშანდელი ჩემპიონები — კრაისტჩერჩელი „ჯვაროსნები" ჰყავდათ. გუნდებს ამ მატჩამდე ერთი ქულა აშორებდათ, ახლა კი „ჯვაროსნებმა" აფრიკელებს სამი ქულით გაუსწრეს. სამით იმიტომ, რომ „დურბანმა" ამ თამაშში ერთბაშად ორი პრემიალური ქულა მოიპოვა — ერთი ოთხი ლელოს გატანით, ერთიც ანგარიშში არა უმეტეს შვიდქულიანი სხვაობის გამო.

პლეი ოფში თამაში დაიბევა „ბრისბენმა". „წითლებმა" ეს უფლება შაბათს იოჰანესბურგელი „კატების" დამარცხებით მოიპოვეს. რაც შეეხებათ აფრიკელებს, მათ უკეთეს შემთხვევაში მე-7 ადგილის დაკავება შეუძლიათ.

ნახევარფინალში ითამაშებენ „კეიპტაუნი" და „დანიდინი". თუმცა, ბრისბენელთაგან განსხვავებით, სამხრეთაფრიკელებმაც და ახალზელანდიელებმაც წინა ტურში მოიპოვეს ეს უფლება. მე-11 ტურში „დანიდინი" უქმობდა, კეიპტაუნელმა „მოიერიშეებმა" კი ამჯერად ბოლო დროს ათამაშებული ჰამილტონელი „ბელადები" დაამარცხეს. არადა, „ბელადებს" სტუმრად რომ მოეგოთ, პლეი ოფში მოხვედრის შანსს შეინარჩუნებდნენ. თუმცა სხვაგვარად მოხდა.

ფაქტობრივად, დაკარგა ნახევარფინალში მოხვედრის შესაძლებლობა „სიდნეიმ", რომელიც აუტსაიდერ „ველინგტონთან" შერცხვა. გამარჯვების შემთხვევაში ავსტრალიელები მეხუთე ადგილზე დამკვიდრდებოდნენ, ბოლო ტურში კი, უშუალო კონკურენტ კრაისტჩერჩელი „ჯვაროსნების" დამარცხებით ნახევარფინალშიც ითამაშებდნენ.

მაშ, ასე. პლეი ოფის ოთხი მონაწილიდან სამის ვინაობა უკვე ცნობილია, მეოთხეს კი მეთორმეტე ტური გაარკვევს. მეოთხეობის ყველაზე მეტი შანსი კრასტჩერჩელ „ჯვაროსნებს" აქვთ, რომლებიც უახლოეს მდევარ „დურბანს" სამი ქულით უსწრებენ.

**პაატა თოთაძე**

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კეიპტაუნი | 10 | 8 | 0 | 2 | 274:226 | 3 | 35 |
| დანიდინი | 10 | 8 | 0 | 2 | 261:182 | 2 | 34 |
| ბრისბენი | 10 | 7 | 1 | 2 | 199:157 | 1 | 31 |
| კრაისტჩერჩი | 10 | 6 | 1 | 3 | 286:240 | 2 | 28 |
| დურბანი | 10 | 5 | 1 | 4 | 228:198 | 3 | 25 |
| კანბერა | 10 | 4 | 0 | 6 | 226:179 | 7 | 23 |
| სიდნეი | 10 | 4 | 1 | 5 | 224:210 | 5 | 23 |
| ოკლენდი | 10 | 4 | 1 | 5 | 186:179 | 4 | 22 |
| ჰამილტონი | 10 | 4 | 0 | 6 | 209:270 | 5 | 21 |
| ველინგტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 192:207 | 4 | 18 |
| იოჰანესბურგი | 10 | 3 | 0 | 7 | 294:325 | 6 | 18 |
| პრეტორია | 10 | 1 | 0 | 9 | 172:408 | 3 | 7 |



# ბეგი დარჩია აზიაში ზომავს და ევროპაში ჭრის

დღეს სოფიაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. საქართველოს ნაკრები კონტინენტის პირველობაზე ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა: მალხაზ ნიშნიანიძე (54), კობა გულიაშვილი (58), აკაკი ჩაჩუა (63), გიორგი ჯინჭველაშვილი (69), ტარიელ მელელაშვილი (76), გენადი ჩხაიძე (97), თამაზ გოგელია (მძიმე). სოფიაში გამგზავრების წინ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას გავესაუბრეთ



— გუნდში ორი ახალბედაა ნიშნიანიძე და გოგელია. ახალი კაცია 76-შიც. ნაკრებში დაბრუნდნენ კობა გულიაშვილი და აკაკი ჩაჩუა. ორივე გამოცდილია და ვიმედოვნებ ოლიმპიურ ლიცენზიებს მოიპოვებენ. ოლიმპიადამდე კიდევ წელიწადნახევარია, თუ იმ დროისთვის სხვები აჯობებენ, იმათ წავიყვან. ლიცენზიას ხომ ქვეყანა იღებს და არა კონკრეტული მოჭიდავე. ძველებიდან აგრეთვე გენადი ჩხაიძე და გიორგი ჯინჭველაშვილი შემორჩნენ გუნდს. ეს უკანასკნელი გუნდის ლიდერია და მისგან მედალსაც ველით.

ვფიქრობ, გულიაშვილსაც ძალუძს მედლისთვის ბრძოლა. იგივე შეიძლება ითქვას აკაკი ჩაჩუაზეც.

**— მაგრამ ჩაჩუა რომ ევროპაზე ტრავმირებული მიგყავთ?**

— მას მართლაც აწუხებს ნეკნის ძველი ტრავმა, მაგრამ ამჟამად თითქმის მოირჩინა. ყოველ შემთხვევაში, ვარჯიშებს არ აცდენს და ძველებურად ჭიდაობს.

**— გიორგი ჯინჭველაშვილზე ზემოთაც ბრძანეთ, გუნდის ლიდერია და მედალსაც ველითო. ის და გენადი ჩხაიძე კონკურენტებს მართლაც სჯობნიან. ამიტომ მათზე აღარაფერს გკითხებით. აი, 76 კგ. წონითი კატეგორია საგანგებოდ მინდა გამოვყო. ყველაზე დიდი და მოულოდნელი ცვლილება, ალბათ, ამ წონაში მოხდა, აქ ხომ გუნდის ლიდერი — ევროპის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი ხვიჩა ბიჩინაშვილი შეიცვალა.**

— გუნდის ლიდერი კი შეიცვალა, მაგრამ ახალბედა ხომ არც ტარიელ მელელაშვილია? ისიც ძალიან გამოცდილი, მრავლისმნახველი სპორტსმენია, ბოლო-ბოლო, ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა. მან ტაშკენტში, „პრეზიდენტის თასზე", ისე კარგად იჭიდავა, რომ წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე სწორედ მისი წაყვანა გადავწყვიტეთ. ტარიელმა ტაშკენტში იოლად მოუგო ყაზახ მსოფლიოს ჩემპიონ ბასეიტოვს. არადა, მან, შარშან მსოფლიოს ჩემპიონობა ლამის ცალი ხელით მოიპოვა. ასეთი მოჭიდავე კი მელელაშვილმა დიდი უპირატესობით დაამარცხა. ამიტომ მე გამიჩნდა იმედი, რომ მას მედლის მოპოვება შეუძლია. თუ მაინცდამაინც ხვიჩა ბიჩინაშვილზე ვილაპარაკებთ, გეტყვით, რომ ნაკრებისთვის დაკარგული არავინაა. მას ისევ შეუძლია გუნდში მოხვდეს, თუნდაც მომავალ მსოფლიოს პირველობაზე. ეს ხვიჩაზეა დამოკიდებული.

**— ბიჩინაშვილზე იმიტომაც გკითხეთ, რომ მთელი შარშანდელი სეზონი მისგან მედლებს ელოდით.**

— ხვიჩამ შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლი კი მოიპოვა, მაგრამ, მსოფლიოს პირველობაზე საპრიზო ადგილზე ვერ გავიდა. ახლა სოფიაში იმათი წაყვანა ვარჩიეთ, ვინც მედლის კანდიდატად გვეგულება. არც იმის თქმა მინდა, ბიჩინაშვილი მედალს ვერ მოიპოვებდა-მეთქი, მაგრამ ამჟამად მას მელელაშვილი ვამჯობინეთ. აქ წონის პრობლემაც იყო. ბიჩინაშვილი მზადების პირველი ეტაპის ბოლოს 84 კგ-ს იწონიდა. ამიტომ მას გაცილებით ბევრის დაკლება უწევდა, ვიდრე მელელაშვილს. თანაც, ტაშკენტში მელელაშვილმა სწორედ ბიჩინაშვილს მოუგო.

**— მაგრამ მანამდე ბიჩინაშვილმა დაამარცხა მელელაშვილი საქართველოს ჩემპიონატზე. მათ შორის საკონტროლო შეხვედრა მაინც არ დაგინიშნავთ.**

— საქართველოს ჩემპიონატზე მელელაშვილის მარცხი ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა. მე ახლა შეგნებულად არ ვსაუბრობ მათზე. უბრალოდ, იმ დროს ტარიელი არ იყო კარგ ფორმაში.

მათ ჭიდაობის განსხვავებული სტილი აქვთ. მელელაშვილი ტექნიკური მოჭიდავეა, ბიჩინაშვილი უფრო ფიზიკურ ძალასა და გამძლეობას ეყრდნობა. ისინი იმდენად კარგად ფლობენ საკუთარ სტილს, რომ რომელიმეს გამორჩევა ჭირს. ამიტომ ჩვენ უნდა აგვერჩია ან ტექნიკა, ან ფიზიკური მომზადება. ამ ეტაპზე უპირატესობა ტექნიკას მივანიჭეთ. სხვათა შორის, 85 კგ-ში ბიჩინაშვილის გამოცდა გვინდოდა, მაგრამ ამაში თავად არ შეგვიწყო ხელი.

მას ამ წონაში საკუთარი თავისა არ სჯერა.

**— ემზარ მახარაძე (85) რომ ტრავმირებულია, გასაგებია, მაგრამ რატომ არ მიგყავთ ნაკრების მეორე ნომერი მუხრან ვახტანგაძე?**

— ვახტანგაძეც დაშავებულია. თან, საქართველოს ჩემპიონატიც წააგო. დღეს არაა მზად ასეთი მაღალ დონეზე საასპარეზოდ.

**— ბოლოს, მძიმე წონა, რომელმაც 76-ზე არანაკლები საფიქრალი გაგიჩინათ...**

— აქ თამაზ გოგელიამ დამსახურებულად დაიმკვიდრა ადგილი. მან მირიან გიორგაძეს საქართველოს ჩემპიონატზეც მოუგო და საკონტროლო შეხვედრაშიც. ის ნიჭიერი, შრომისმოყვარე და პერსპექტიულია. ეს უცხოელებმაც კი შენიშნეს.

ტაშკენტშიც მან ძალიან გონივრულად, ტაქტიკურად სწორად წარმართა ჭიდაობა და მესამე ადგილიც დაიკავა.

**— ნაკრებში საკადრო ცვლილებები სწრაფად ხდება. თანაც, იმ წონებში, რომლებიც წარმატებებს აღწევენ. აგერ, 76-ში ევროპის ვიცე-ჩემპიონმა ამ წარმატებიდან ზუსტად ერთ წელიწადში ნაკრებში ადგილი დაკარგა. მძიმეში შარშანდელ მსოფლიოზე გუნდიდან ყველაზე საუკეთესო, მეოთხეადგილოსანი გიორგაძეც რამდენიმე თვეში ამოვარდა შემადგენლობიდან. ასეთი კონკურენცია თქვენ, ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ალბათ, განსაკუთრებით გახარებთ?**

— კონკურენციას მივესალმები. რაც უფრო მძაფრი და დიდია იგი, მით უკეთესი. ყოველ წონაში 2-3 თანაბარძალოვანი მოჭიდავე მაინც უნდა იყოს. 90-იანი წლების დასაწყისის ჩავარდნამ ამ სახეობაზე თავისი კვალი დატოვა. მაშინ რამდენიმე კაცი თუ ვარჯიშობდა. უმეტესობამ საერთოდ დაანება თავი ჭიდაობას. დღეს ჩვენ იმ წლების ნაყოფს ვიმკით. რომ იტყვიან, ერთ ადგილს ვტკეპნით. თუ ოდნავ უკეთესი პირობები შეგვიქმნეს, ასეთი მძაფრი კონკურენცია არა მარტო 76-ში და მძიმეში, არამედ ყველა წონაში იქნება. ვფიქრობ, მომავალ ოლიმპიურ ციკლშიც ასე იქნება.

**ირაკლი თავაძე**

STANLEY CUP PLAYOFFS

# დემიტრა ვარსკვლავებს ეთამაშება

სერიის ანგარიში
დალასი — სენტ ლუისი 2:1

10 მაისი

**სენტ ლუისი — დალასი 3:2**
0:1 1:0 1:1 1:0

0:1 ჰალი 3'04 (2); 1:1 ისტვუდი 22'48 (1); 2:1 ჰეხტი 44'52 (1); 2:2 საიდორი 49'08 (1); 3:2 დემიტრა 62'43 (5)

„ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია. ვიცოდით, რომ დალასელთა ძლევაც ძალგვიძდა" — მატჩის შემდეგ სენტლუისელი პავოლ დემიტრა უზომოდ ბედნიერი ჩანდა. რალა გვეთქმის, მისმა გუნდმა დაამტკიცა, რომ შეუძლია გრანდებთან ტოლ-სწორად ჭიდილი. თავად სლოვაკმა კი, მისივე თქმით, კარიერაში უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. „ბლუზმენების" 22 წლის ლიდერი აქამდეც ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო თავისიანთა შორის, მაგრამ, თითქოს ბედის ირონიააო, როცა მას გაჰქონდა, სენტ ლუისი მარცხდებოდა.


REUTERS სენტ ლუისიდან

სენტლუისელი ჯეფ კურტნოლი ყინულზე განრთხმულიც ებრძვის დალასელ ბრაიან სკრუდლანდს

ახლა კი ასე არ მოხდა: დემიტრას ჩინებული პასის შემდეგ ახალბედა იოხენ ჰეხტმა პირველად დააწინაურა თავისიანები, ხოლო ოვერტაიმში ჯეფ კურტნოლის მიერ კარს უკნიდან მიწოდებული შაიბით თავად პავოლმა შეამცირა ანგარიში სერიაში.

თუმცა, ცხადია, დალასელთა ორგანიზებულ დაცვას მარტო დემიტრა ვერ გაუმკლავდებოდა. მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და მეკარე ედ ბელფორი მაქსიმალურად დატვირთა. „ბლუზმენებმა" ზედიზედ მეორე მატჩში აჯობეს მეტოქეს დარტყმებით (28-18) და კვლავ არ გაატანინეს რიცხვმრავლობაში. ასე რომ, ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა, მით უმეტეს, „ვარსკვლავებს" ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე იერე ლეჰტინენი დაუშავდათ.

აღსანიშნავია, რომ სიმკაცრით ცნობილმა დალასის მწვრთნელმა კენ ჰიჩკოკმა, მარცხის მიუხედავად, თავისი შეგირდები შეაქო: „პირველ პერიოდში სეზონში საუკეთესოდ ვითამაშეთ სტუმრად და თუ ასე გავაგრძელეთ, ვფიქრობ, არაფერი გაგვიჭირდება".

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

# რუსებო, წადით სახლში

**გუშინ, საპლეიოფო რაუნდის ბოლო დღეს, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ასეთი დონის ტურნირზე სუსტი მეტოქე არ არსებობს და არც ერთ წუთს არ უნდა მოადუნო ყურადღება: მედლებისთვის ბრძოლას გამოთიშულ სლოვაკებთან შეხვედრაში რუსები მხოლოდ ფრეს დასჯერდნენ, რაც მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა.**

F ჯგუფი

**რუსეთი — სლოვაკეთი 2:2**
0:0 0:2 2:0

0:1 ხარა 29'15; 0:2 ჰოსა 36'13; 1:2 პეტრენკო 42'36; 2:2 გუსმანოვი 46'54

რუსებმა თავადვე შეიქმნეს პრობლემები. ეტყობა, ისინი ჩეხებისგან ძლეული სლოვაკებისგან იოლ ორ ქულას ელოდნენ, მაგრამ მეტოქემ სხვაგვარად აღნიშნა ჩემპიონატთან გამოთხოვება. რუსები ფრისთვისაც მადლობელნი უნდა იყვნენ. ხარას გოლით სრულიად დაბნეულები უსაფუძვლო ჯარიმის შემდეგ კიდევ ერთხელ დაისაჯნენ (ორივე შაიბა უმცირესობაში გაუშვეს) და სლოვაკებს რომ ეძალათ, სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდებოდა. და მაინც, მესამე პერიოდში სლოვაკები აშკარად დაიღალნენ, ერთი-ორჯერ უხეშად შეცდნენ და რუსებს ანგარიში გაათანაბრებინეს. ბოლო წუთები კი ყოფილ საბჭოელებს, ალბათ, კარგა ხანს ემახსოვრებათ: ლამის 5 წუთის განმავლობაში მათ რიცხვმრავლობა ჰქონდათ, აქედან 2 წუთი — ორკაციანი, მაგრამ ისე უნიათოდ შეუტიეს, სლოვაკთა მეკარე ერთხელაც ვერ შეაწუხეს.

**ჩეხეთი — შვედეთი 2:0**
0:0 2:0 0:0

1:0 მ. პროჰაზკა 28'01; 2:0 უიჩიკი 33'12

რუსების ფრე ჩეხებისთვის მოულოდნელი საჩუქარი გამოდგა და მათაც, ცხადია, ხელიდან არ გაუშვეს ნახევარფინალში გასვლის შანსი, მით უმეტეს, რომ შვედებს უკვე ჯიბეში ჰქონდათ ეს საგზური. თუმცა არ იფიქროთ, თითქოს სკანდინაველებმა მატჩი განზრახ დათმეს. მათ ღირსეულად იბრძოლეს, დიდხანს (განსაკუთრებით პირველ პერიოდში) უპირატესობასაც ფლობდნენ, მაგრამ ეტყობოდათ, რომ უკვე მომდევნო თამაშებზე ფიქრობდნენ. ჩეხებმა კი ჩვეულ, კონტრშეტევებზე აგებულ სტილს არ უღალატეს და მეტოქის შეცდომაზე გამოჭერა სცადეს. გაუმართლათ კიდეც — მეორე პერიოდში მეტისმეტად თავდაჯარებულად მოთამაშე შვედებმა ორჯერ, შეიძლება ითქვას, საკუთარი ხელით გაატანინეს მოწინააღმდეგეს. ჯერ მეკარე ტომი სალომ მარტინ პროჰაზკას მოარტყა შაიბა, მერე კი სკანდინაველები მოთამაშეთა შეცვლისას შეცდნენ და კართან მარტოდ დარჩენილმა ვიქტორ უიჩიკმა ჩეხები ნახევარფინალში გაიყვანა.

E ჯგუფი

**ფინეთი — კანადა 4:2**
2:0 2:2 0:0

1:0 რინტანენი 2'10; 2:0 კარალაჰტი 11'24; 2:1 ფრიზენი 20'43; 3:1 ელორანტა 21'25; 4:1 კარალაჰტი 26'55; 4:2 ბლეიკი 33'49

თავად განსაჯეთ, ვინ უფრო კმაყოფილი უნდა იყოს მატჩის შედეგით. ფინელებს, რომლებმაც საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ „კანადური სინდრომისგან" (რაც 1996 წლამდე აწუხებდათ) განიკურნენ და პირველი ადგილი დაიკავეს, F ჯგუფში მოულოდნელად განვითარებულმა მოვლენებმა ნახევარფინალში რუსების ნაცვლად შვედები დააჯახა. მათ მიერ დამარცხებულ კანადელებს კი მათთვის უფრო ხელსაყრელი მეტოქე — ჩეხეთი ერგოთ.

**აშშ — შვეიცარია 3:0**
2:0 0:0 1:0

1:0 სმოლინსკი 10'25; 2:0 მოტო 18'55; 3:0 კალენი 41'20

ამერიკელები ბედს არ უნდა უჩიოდნენ. შარშანდელი კრიზისის შემდეგ მათი წლევანდელი ასპარეზობა, თანაც არცთუ ძლიერი შემადგენლობით (ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ნაკრების სამი მეკარიდან არც ერთი იყო ნჰლელი), წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

E ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 0 | 0 | 13:6 | 6 |
| კანადა | 2 | 0 | 1 | 14:7 | 4 |
| აშშ | 1 | 0 | 2 | 7:8 | 2 |
| შვეიცარია | 0 | 0 | 3 | 3:16 | 0 |

F ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 11:8 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 | 6:4 | 4 |
| რუსეთი | 1 | 1 | 1 | 9:7 | 3 |
| სლოვაკეთი | 0 | 1 | 2 | 5:12 | 1 |

*ბომბარდირები:* კოივუ (ფინეთი) 14 (4+10); პალფი (სლოვაკეთი) 10 (5+5); იაშინი (რუსეთი) 9 (8+1); ნესლუნდი 9 (5+4); ალფრედსონი (ორივე — შვედეთი) 8 (4+4); სელიანე (ფინეთი) 8 (3+5); დონატო (აშშ) 8 (2+6); უიჩიკი (ჩეხეთი) და ჰოსა (სლოვაკეთი) 7 (5+2).

დღეს და ხვალ ნახევარფინალში ითამაშებენ

**ფინეთი — შვედეთი**
**ჩეხეთი — კანადა**


REUTERS ოსლოდან

წაქცეულ შვედ იან ლარსონს ორი ჩეხი წამოსდგომია

ხელბურთი

# თამაშ-თამაშ, ფრენა-ფრენით...

REUTERS სენტ ლუისიდან

**გაისად**, 21-30 იანვარს, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ხელბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. კონტინენტის პირველობაში მონაწილეობა მხოლოდ ორ გუნდს — მასპინძლებს და წინა გათამაშებაში გამარჯვებულ შვედეთს აქვთ დაბევებული. დანარჩენები კი დღეიდან ჩაერთვებიან შესარჩევ ციკლში, რომელიც მაისის ბოლომდე გასტანს. 27 გუნდი შვიდ ჯგუფადაა დაყოფილი. საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები პორტუგალიის, სლოვაკეთისა და ლატვიის გუნდებს მეექვსე ჯგუფში შეეცილება საევროპო საგზურს.

ქართველები დღეს პირველ შეხვედრას პორტუგალიაში გამართავენ და ცხადია, ქომაგთ აინტერესებთ, ვის უხმო მთავარმა მწვრთნელმა ზაზა დოლიძემ პორტუგალიური მატჩისთვის. თავიდანვე გეტყვით, რომ ნაკრების საბაზო გუნდი ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი სტუ — „შევარდენია". ამას უცხოეთში მოთამაშე ხელბურთელებიც დავუმატოთ და ნაკრების [illegible] უფრო კონკრეტულად კი, ზაზა დოლიძემ ევროპის დასალიერში ეს მოთამაშეები წაიყვანა:

მეკარეები: როლანდ ერაძე („ვოევოდინა უნივერექსპორტი", იუგოსლავია), შოთა თევზაძე (მართვე);

ირაკლი კეკელიძე, გიორგი გვაზავა, ალეკო ბოყოჩაძე, სერგო დათუკაშვილი, ვახტანგ მეიფარიანი, ლევან გელაშვილი, ბექა ორჯონიკიძე, ომარ ყიფიანი (ყველა სტუ-„შევარდენი"), გარი თურქია („პოვარდარი", მაკედონია), ტიტე კალანდაძე („ვარდარი", მაკედონია).

აქვე გაგაცნობთ საქართველოს ნაკრების მატჩების განრიგს:

12.05 — პორტუგალია — საქართველო
16.05 — საქართველო — პორტუგალია
20.05 — საქართველო — სლოვაკეთი
22.05 — სლოვაკეთი — საქართველო
26.05 — ლატვია — საქართველო
30.05 — საქართველო — ლატვია

ველორბოლა

# ღმერთი სამობითაა

**შვეიცარიაში** დამთავრდა „რომანდის ტური", რომელიც ფრანგმა ლორან ჟალაბერმა (ონსე) მოიგო. კატალონიისა და ბასკეთის ტურების შემდეგ ეს ჟალაბერის მესამე წარმატებაა ამ სეზონში.

ბოლო ეტაპი (180,2 კმ), რომელიც სიონიდან ჟენევამდე გაიმართა, იტალიელი მარიო ჩიპოლინის გამარჯვებით დასრულდა. საფინიშო სპრინტში „საეკოს" წევრმა ჰოლანდიელ ბლიილევენსსა და და ესპანელ ედო ალსინას აჯობა.

„კვირა საკმაოდ კარგად ჩავათავე, სამი ეტაპი და მთლიანად ტურნირი მოვიგე. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ასეთი შედეგის ჩვენებას ნამდვილად არ ველოდი. ყველას ვაჩვენე, თუ რა შემიძლია" — განაცხადა მსოფლიო კლასიფიკაციის ყოფილმა პირველმა ნომერმა ლორან ჟალაბერმა.

თუ რამდენად კარგ ფორმაშია ჟალაბერი, ისევე, როგორც სხვა ძლიერი მრბოლები, ამ კვირის ბოლოდან გამოჩნდება. 15 მაისს ველომრბოლთა სეზონის სამი უმთავრესი შეჯიბრიდან პირველი, „ჯირო დ იტალია" იწყება. მანამდე გამართულ პატარ-პატარა, თუნდაც პრესტიჟულ ტურნირებს უძლიერესი ველომრბოლები ხომ „ჯირო დ იტალიას", „ტურ დე ფრანსის" და „ვუელტას". მოსამზადებლად იყენებენ.

„რომანდის ტური" კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ შვიდთვიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ შვეიცარიელებმა არმინ მეიერმა (საეკო), ლორან დიუფომ (საეკო) და ალექს ცულემ (ბანესტო) პირველად იასპარეზეს რამდენიმეეტაპიან შეჯიბრში. მათ, რა თქმა უნდა, ვარსკვლავები არ მოუწყვეტიათ და საერთო ჩათვლაში შესაბამისად, 21-ე, 31-ე და 33-ე ადგილებს დასჯერდნენ.

**გაგი გურული**

**ბოლო ეტაპის შედეგები**

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია) — 4 საათი, 22 წუთი და 02 წამი
2. ჯერონ ბლიილევენსი (ჰოლანდია)
3. ანხელ ედო ალსინა (ესპანეთი)
4. მარკუს ზბერგი (შვეიცარია)
5. კრისტიან ჰელი (შვეიცარია) — ყველას იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) — 19 საათი, 23 წუთი და 31 წამი
2. ბეატ ბერგი (შვეიცარია) — ჩამორჩა 44 წამით
3. ვლადიმირ ბელი (იტალია) — ჩამორჩა 1 წუთით და 9 წამით
4. პაოლო სავოლდელი (იტალია) — ჩამორჩა 1 წუთით და 20 წამით
5. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია) — ჩამორჩა 1 წუთით და 50 წამით

მოტორბოლა

# ოქროს ბიჭის დაბრუნება

**ვალენტინო როსი** არსად არ წასულა, ოცი წლის ოქროსკულულება იტალიელთა კერპს არც თავისი რკინის მერანი მიუტოვებია, არც ავად დაკლაკნილი მოტოტრასები. თუმცა არა, ოქროსკულულები და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კლას 125-ში ჭაბუკობას გაატანა, თვითონ კი ერთი წლით დავაჟკაცებულმა უფრო პრესტიჟულ 250-ში გადაინაცვლა.

ოქროს ბიჭს ძლიერი კონკურენციის მიუხედავად აქაც ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ. მუდამ მხიარულ როსის მარტო თავისი „განხრით" არ უშოვია თაყვანისმცემელი — თითქმის ყოველი კვირის საუკეთესო ფოტოზე ვალენტინოს მორიგი „ფოკუსია" აღბეჭდილი — ხან ილლიაში ამოჩრილი კაცის სიმაღლე ერთიანით, ხან მოტოციკლზე გენერალივით გაჭიმული, ხან გასაბერი ქალით საპატიო წრეზე, პოდიუმის კეკლუც გოგონებს ხომ ვალენტინოს კუთვნილი შამპანურის მწველი შხეფებისგან მოსვენება არა აქვთ. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი დაუბრუნდა მსოფლიო მოტოტრასებს, დაუბრუნდა პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე მცტმუტავ ლამაზ იტალიელ ბიჭთან ერთად — წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი, რომელიც ესპანეთში ხერესის ტრასაზე გაიმართა, კარგა ხნის შესვენების შემდეგ ისევ ვალენტინო როსმა მოიგო.

ამბობენ სიხარული და მწუხარება ერთად დადიანო. იმ დღეს ხერესის ტრასაზე ტრაგედიაც დატრიალდა — 500 კბ/სმ მოტოციკლების საკვალიფიკაციო რბოლებისას დაიმტვრა ბოლო წლების უცვლელი ჩემპიონი ავსტრალიელი დუენი. რბოლა ტრასაზე ზედიზედ მესამედ მოიგო ალექს კრივილემ. კლას 125-ში როგორც ჩანს, ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა — იაპონელმა მასაო აზუმამ მალაიზიისა და იაპონიის დიდ პრიზებს ესპანეთის დიდი პრიზის გამარჯვებულის ტიტულიც დაამატა და მეტოქეებიც კარგა გვარიანად ჩამოიტოვა.

**ირაკლი ბერიაშვილი**

**ესპანეთის დიდი პრიზი**

ხერესის ტრასა, 4,423 მ.

125 კბ/სმ
1. აზუმა; 2. ჩეკინელო; 3. ალზამორა

250 კბ/სმ
1. როსი; 2. უკავა; 3. კაპიროსი

500 კბ/სმ
1. კრივილე; 2. ბიაჯი; 3. კიბერნე

**სამი ეტაპის შემდეგ**

125 კბ/სმ
1. აზუმა — 75 ქულა; 2. ალზამორა — 52; 3. სკალვინი — 33

250 კბ/სმ
1. უკავა — 60 ქულა; 2. კაპიროსი — 57; 3. როსი — 45

500 კბ/სმ
1. კრივილე — 54 ქულა; 2. რობერტსი — 53; 3. ჩეკა — 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

11 მაისი. მე-9-12 ადგილებისთვის

ლილეჰამერი
ბელარუსი — ლატვია 2:1
1:0 1:0 0:1
ბელარუსი: პანკოვი (13'53), ჩურლაკო-ვი (32'53)
ლატვია: კიპრისი (55'27)

ლილეჰამერი
ავსტრია — ნორვეგია 3:0
1:0 2:0 0:0
ავსტრია: ლავუა (03'03), კონიგი (34'50), ტრატნიგი (35'17)

### გერმანია

ვერდერი 1:0 შალკე
1:0 დაბროვსკი (54)

### ინგლისი

ლიდსი 1:0 არსენალი
1:0 ჰასელბაინკი (86)

### ავსტრია

XXXIII ტური
ტიროლი 4:0 ლინცერი
გრაცერი 2:0 ლუსტენაუ
ზალცბურგი 0:0 რიდი
შტაირი 1:4 შტურმი
რაპიდი 0:0 აუსტრია

### შვედეთი

იორგრიტე 2:2 გიოტებორგი



REUTERS ლიდსიდან

ლიდსი — არსენალი. ლონდონელმა ფეხბურთელებმა დიავარამ (მარცხნივ) და ანელკამ თავში ხელი წაიშინეს. შესაძლოა მათ ინგლისის ჩემპიონის ტიტული გაუშვეს ხელიდან

## ნაბახუსევს ყველა კატა ნაცრისფერია

კვირადღეს ბერლინის „ჰერტასთან“ ფრემ მიუნხენის „ბაიერნს“ მე-15 ბუნდესტიტული და ნამატჩევს უგონოდ თრობის გამორჩეული უფლება მოუტანა... ბარაქიანი ბაიერნული ლუდით ჭყუმპალაობა ბიჭებმა ჯერ კიდევ მოედანზე დაიწყეს და ყანწები არც საზეიმო ბანკეტზე დაუკლიათ. კარსტენ იანკერი თურმე ისე დამთვრალა, რომ მილეთის თვალწინ მავან მდედრთან „ზასაობაც“ უკადრია. მეორე დღეს მთელი გერმანია ამარჩიელებულა, ნეტა ეგ ქალი ვინაა, აქამდე რატომ არსად შეგვიმჩნევიაო? პასუხი ამ კითხვაზე თავად მეგოლესაც ვერ გაუცია და მერე რა მოხდა — ნაბახუსევს ხომ ყველა კატა ნაცრისფერიაო...



REUTERS მიუნხენიდან

## ჰაი, გიდი, რა გედი!

საპარდო და სამაისო სიდნეიში ინგლისელი ბალერინები ჩაფრენილან. ამბობენ, „გედების ტბა“ უნდა წარადგინონო... ჰოდა, აბა ეგრე ნასტუმრებ დედალ გედებს იქ ვინ უნდა დახვედროდა, თუ არა ავსტრალიური ბურთაობის ოსტატ მობურთავეთა გუნდის, „სიდნეელი გედების“ ხვადაგი შემადგენლობა? არც არავინო, გვპასუხობენ უცხოური სააგენტოები და ისეთ ფოტოს გვაწვდიან, სადაც ბურთების შემოგდებას შეჩვეულ მამალ გედს ადამ გუდზს მხარზე თეთრი ხორცის ამბავში ისე რა, ბარკლებისა და მათი გადანახსენებისაში კი ჩვეულებისამებრ რიგიანი დედალი შემოუგდია და ისე ჰალალად ჩაუბღუჯავს, ლამის გედის სიმღერაც დააძახებინოს... შიდაგედური ურთიერთობების ამსახველი სხვა, უფრო სისხლსავსე კადრები ჩვენ ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ რაწამს მოვიხელთებთ, უკლებლივ გააზლებთ...



REUTERS სიდნეიდან

## ბადმინტონი დაბრკოლებებით



REUTERS ბადმინტონიდან

ინგლისურ ქალაქ ბადმინტონს უქმეებზე ტრადიციული მარულისთვის უმასპინძლია... ერთ-ერთი დაბრკოლების გადალახვისას ავსტრალიელმა სტიუარტ ტინიმ თავის უდროოდ ამძუვნებული ჭაკი ვერ დაიმორჩილა და იქვე მდგომ მოსეირეებში გადაეშვა. ჭაკის ნასუქი გავა და დაქნილი ფლოქვები ყველაზე მაგრად თურმე ცნობისმოყვარე კამეროსანს მოხვედრია. შედეგად: ლავიწის დამტვრეული ძვლები და სამოყვარულო კინემატოგრაფზე უიმედოდ აცრუებული გული...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29